№1
2017

ISSN 2587-4551

სკოლა და ცხოვრება

საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი

№1
2017

ISSN 2587-4551

საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი

სკოლა
და
ცხოვრება

გამოდის 1924 წლიდან

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის
პედაგოგთა კავშირი

მთავარი რედაქტორი
გარი ჩაფიძე

სარედაქციო კოლეგია

1. ოლეგი ალავიძე
2. შალვა ამონაშვილი
3. აზა ბუაძე
4. ლია გიგაური
5. ლეილა გეგეშიძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
6. სერგო ვარდოსანიძე
7. აკაკი ზოიძე
8. პავლე თვალიაშვილი
9. კახა კოზერიძე
10. ზვიადი ლაზარაშვილი
11. მეუფე იოანე
12. ვაჟა მიროტაძე
13. რუსუდან მოსიძე
14. ინგა შამილიშვილი
15. ზურაბ ცუცქირიძე
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
16. მამუკა ხამხაძე
17. დიმიტრი ჯაიანი

რედაქციის მისამართი: 0182; ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №7;
3700; ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5;
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: (032)2 27-89-00;
(0341) 22-25-00; 25-37-00;
პასუხის მგებელი მდივნის: (0341) 22-45-00;
განყოფილებათა რედაქტორების: (032)2 27-89-01;
(0341) 27-51-00; 27-61-00;
გავრცელების სამსახური: (0341) 22-80-80;

სარჩევი

გვილოცავენ 3, 4, 11, 15, 19

გარი ჩაფიძე - სამეცნიერო-პედაგოგიური
ჟურნალის მნიშვნელობა და აქტუალობა 5

შალვა ამონაშვილი - ჰუმანური პედაგოგიური აზროვნებისა
და პრაქტიკის საყრდენები 12

ოლეგი ალავიძე - საქართველოს იაკობ გოგებაშვილის
სახელობის პედაგოგთა კავშირის ისტორია . 16

ზურაბ ცუცქირიძე
ნინო ორჯონიკიძე - უცხოური თეორიები
განათლების გზების შესახებ 20

ლამარა გერგედავა - ნოველად ქცეული გაკვეთილი 32

დავით ახლოური - იაკობ გოგებაშვილი 37

აკაკი ზოიძე - სწავლებისა და აღზრდის იცნოვაციური
მეთოდები და ტექნოლოგიები 42

ნანა ჯალალონია - მშობლების ჩართულობის მნიშვნელობა
მოზარდის სასკოლო ცხოვრებაში 56

მამუკა ხამხაძე - სკოლის წარმატების საიდუმლო 59

ნანული ქათამაძე - შინაგანი მოტივაციის
ამაღლება სასწავლო პროცესში 61

ნინო კაკიაშვილი - „ხმათა ხავერდებისა და
ღმერთების ენა“ 63

მერი ხიმშიაშვილი - ქართული ენის რეფორმატორი 65

ნორა მამარდაშვილი - „ცოდნის ლამპარი“ 69

ჯონ დიუი - ჩემი პედაგოგიური მრწამსი 74

ბოლოსიტყვა

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მიესალმება ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ აღდგენას და იმედოვნებს, რომ მკითხველს არაერთი საგანმანათლებლო პროექტის გაცნობაში დაეხმარება.

განათლებაში მიმდინარე პროექტების ობიექტური და ხარისხიანი ინფორმაციის მიწოდება, რეფორმების განხორციელებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ვიმედოვნებთ, რომ ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა უპასუხებს ზოგადი განათლების გამოწვევებს, მკითხველს დროულად მოაწვდის სიახლეებს და პროფესიული განვითარების მოტივაციას შეუქმნის.“

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

პროლოგი

მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირს იმ შემოქმედებითი საქმიანობისთვის, რომელსაც წლების მანძილზე ახორციელებს. იმისთვის, რომ აგრძელებს ეროვნულ ტრადიციას და საზოგადოებას არ ავიწყებს ისეთ საგანმანათლებლო პუბლიკაციას, როგორიცაა ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“. სასკოლო განათლების სისტემის გაუმჯობესების ინიციატორი როგორც წესი სახელმწიფოა, თუმცა საზოგადოების როლი სასკოლო განათლების სისტემის განვითარების პროცესში არცთუ უმნიშვნელოა. სწორედ სკოლისა და საზოგადოების ურთიერთობაზეა დამყარებული განათლების სისტემის ყოველი წარმატება. იმედს ვიტოვებ, რომ ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება“ საშუალებით განათლების სისტემაში არსებულ სიახლეებსა და ინიციატივებს გაეცნობა არა მხოლოდ რუსთავის განათლების სფეროს წარმომადგენლები, არამედ სრულიად საქართველო.

პატივისცემით,

თამარ ხეჩიკაშვილი
ქ. რუსთავის საგანმანათლებლო
რესურსცენტრის ხელმძღვანელი

გარი ჩაფიძე
პროფესორი

სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალის მნიშვნელობა და აქტუალობა

ხშირად ისმის კითხვა – როგორი ქვეყანა იქნება ჩვენი სამშობლო საქართველო? პასუხი ერთია – ისეთი როგორ თაობებსაც ავღზრდით ჩვენ. გამოდის რომ ქვეყნის გადარჩენის ბერკეტი ჩვენს ხელშია, რაშიც მშობელთან ერთად უდიდესი წვლილი პედაგოგებს მიუძღვის, ამიტომ განსაკუთრებული რუდუნებით, პიროვნული ღირსება უნდა მოვიხადოთ საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე; ამ ვალის მოხდა კი, მთელი შესაძლებლობების მაქსიმალურ სრულყოფას, სრულფასოვნებას და დაუღალავი ენერგიის ლოკომიტივად გადაქცევას ნიშნავს...

აღზრდის ხელოვნება ერთ-ერთი უძველესი და ურთულესია, იწყება იგი საიცრად უბრალო და უეშმაკო ამოცანისაგან: მიიღო და შეიყვარო აღსაზრდელი ისეთი, როგორიც ის არის! თუკი გაკვეთილი ურთიერთობაა და არა უბრალოდ შრომა; ხელოვნება და არა მხოლოდ სასწავლო ღონისძიება; ცხოვრება და არა საერთო განრიგში ჩასმული საათები, მაშ უფრო ხშირად ჰკითხეთ საკუთარ თავს: – რატომ შევდივართ გაკვეთილზე? ჩვენ მოსწავლეებთან მივდივართ (!) რათა ისინი ჩვენზე უკეთესები, კეთილები, უფრო ჰუმანურები, ძლიერები და მამაცები იყვნენ, რამეთუ წინსვლისას გამონახონ გამოსავალი ყველა სიძნელიდან და უკან არ დაიხიონ; რამეთუ თითოეული თავად ქმნიდეს საკუთარ ბედს და არ შენატროდეს სხვის ლამაზად მოწყობილ ცხოვრებას... აღმზრდელ-პედაგოგებმა, ლექტორებმა მწვავედ უნდა დასვუსვათ კითხვები საკუთარ მეს, – რა აზრები გადავეცი მოზარდებს და რა გრძნობები გავუღვივე მათ? – რაზე ფიქრობდნენ მაშინ როცა ვესაუბრებოდი? – იქნებ სულაც არ მისმენდნენ ან იქნებ ფიქრობდნენ იმაზე, რაც სულ არ მითქვამს, მიყურებდნენ მე და აზროვნებდნენ პირადულზე.

ყოველი ახალგაზრდა ორი მიმართულებით სწავლობს, ერთი საგაკვეთილო, მეორე საშინაო და მას კარის მეზობელი, იმავე სად-

არბაზოში მცხოვრები ყმაწვილი ან რომელიღაც დაქალი განაგებს, ამიტომ ჩვენს ყოველდღიურობაში უნდა გავითვალისწინოთ ორივე პროგრამა!

გაკვეთილზე შესვლა ნიშნავს, ადამიანის სულში შესვლას, კაცობრიობის სულის მთავარი თვისება კი ისაა, რომ მას სწყურია ურთიერთობა, კონტაქტი მეორე ადამიანის სულთან, ასე ბავშვის აღზრდა უფრო ადვილია. ბავშვები ჩვენზე უფრო მეტად საჭიროებენ ურთიერთობებს. ვიდრე გონება არ არის ჩამოყალიბებული სულს უკავია ფსიქიკის მთელი სივრცე. ბავშვებთან ურთიერთობა არ ნიშნავს ლაპარაკს, კითხვებზე პასუხის გაცემას, ეს თავისთავად მნიშვნელოვანია, ურთიერთობა კი სულ სხვა რამაა.

აღზრდა თავის მხრივ სამ სხვადასხვა კომპონენტს აერთიანებს: მართვას, სწავლას და ურთიერთობას. ჩვენ უნდა ვასწავლოთ და ვმართოთ ბავშვები, სანამ ისინი პატარები არიან, მაგრამ თუ მარტო ამით შემოვიფარგლებით, გვერდზე მოვიტოვებთ ყველაზე მნიშვნელოვან პედაგოგიური მოქმედებას – ურთიერთობას! ადვილი მისახვედრია რა შედეგს მოიტანს თუ ჩვენ გამოვტოვებთ – ურთიერთობას! – ის შეუთავსებელია მართვასა და სწავლებასთან!

სწავლებისთვის აუცილებელია, რომ მასწავლებელი ცოდნით, გამოცდილებით აღემატებოდეს აღსაზრდელს. მართვისთვის კი, მით უმეტეს საჭიროა ასაკით, გამოცდილებით, თანამდებობით, ან ავტორიტეტით მოპოვებული უპირატესობა.

რაც უფრო დიდია უპირატესობა, მით უფრო ადვილია მართვა, მართვას განამტკიცებს ძალაუფლება.

ურთიერთობა კი, პირიქით, მოითხოვს აბსოლიტურ თანასწორობას, ყოველგვარი არათანასწორობა, უპირატესობა, ძალაუფლება, აუცილებელია მართვისთვის, მაგრამ იგი შეუძლებელს ხდის ურთიერთობას...

ბევრი ფიქრობს, რომ მართვით ჩვენ ვასწავლით ბავშვს უმთავრეს კანონებს, ვუნერგავთ სასარგებლო ჩვევებს. ეს აზრი მატყუარაა. მართალია, ის, თითქოს, პასუხობს საღ აზრს, სინამდვილეში კი მხოლოდ ურთიერთობით ემორჩილება ბავშვი აღზრდას, ისინი უფროსებთან ერთად ექვემდებარებიან მართვას და სწავლას.

ენერგიული მართვა ჭეშმარიტია მხოლოდ იმდენად, რამდენარაც ის შეიძლება დაეყრდნოს დაფარულ, მოხელთებულ გულითად ურთიერთობას. მართვა ზღუდავს, იმონებს, ხოლო ურთიერთობა ათანასწორებს, აადამიანურებს მათ... სადაც არ არის ურთიერთობა, იქ შეუძლებელია ბავშვების მართვა – ისინი არ უსმენენ უფროსებს, რაც უფრო ვერთობით მხოლოდ მართვით, მით უფრო ცუდი შედეგი აქვს აღზრდას, და ჩვენც ვჩივით, რომ აღსაზრდელად გვერგო ძნელი, უემოციო, თანაგრძნობას მოკლებული ბავშვები...

მშობლები რომლებსაც არ შეუძლიათ დაამყარონ ასეთი კონტაქტები, მათ აღაშფოთებთ ბავშვებთან თანასწორობის იდეა.

კონტაქტი ბავშვებთან, სულიერი ურთიერთობა მათთან, პირველი და საბოლოო გზაა აღზრდის პროცესის შესამოწმებლად. არის კონტაქტები – ყველაფერი კარგად მიდის. და თუ არ არის – შედეგის წინასწარი განჭვრეტა შეუძლებელია... ასეთ შემთხვევაში აღზრდა, ჩვენზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მრავალ ცხოვრებისეულ გარემოებაზე, საზოგადოებაზე, სკოლაზე, ანდა ქუჩაზე. სამწუხაროდ, ყველა ადამიანი არ არის საკმაოდ ემოციური, რომ იგრძნოს, აქვს თუ არა კონტაქტი ბავშვებთან, და ყველა არც საჭიროებს ამ კონტაქტებს. სხვები თავს მშვენივრად გრძნობენ ბავშვებთან ურთიერთობის გარეშეც და აქ უკვე ვერაფერს გახდები. რჩება მხოლოდ ერთი: შეეცადეთ! ასე გამოგივა, ისე – არა...

მაგრამ როგორაა მემკვიდრეობა? გენები? სწავლულებმა აღმოაჩინეს ადამიანს აქვს ზედმეტი ქრომოსომები.

როცა ჩვენ არ გამოგვდის კონტაქტი ჩვენს ბავშვებთან, თავს დამნაშავედ ვგრძნობთ და გვინდა ჩვენი დანაშაული ვიღაცას გადავაბრალოთ! ყველაზე ადვილი კი საზოგადოებაზე გადაბრალებაა.

...და მიგორავს ბურთულა სიბრტყეზე... რომ გავიგოთ მისი მოძრაობა, ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ყოველი მოცემული გაელვება, იმყოფება რაღაც მოცემულ წერტილში და არც იმყოფება... არც დასაწყისში, არც შემდეგ... არამედ ერთბაშად არის იქ და არც არის, სხვანაირად მოძრაობას ვერ გაიგებ. თანამედროვე ფიზიკა სავსეა შესაძლებლობებით "და არის და არ არის", მაგრამ ნუთუ ადამიანი ელექტრონზე და ბურთულებზე უფრო მარტივია?

მემკვიდრეობითობის საკითხი ჩემი აზრით, წყდება ასე: ადამიანში ყველაფრის გადამწყვეტია მემკვიდრეობა, გენები და რაც მთავარია, აღზრდა. მათ შორის თანაფარდობაა ორმოცდაათ-ორმოცდაათზე. ყველაფერი არის აღზრდით და მემკვიდრეობით. შეხედეთ ნებისმიერ ადამიანს, თუნდაც მეტროში, როგორ ზის და როგორ მოძრაობს, როგორი სახე და თქვენ თვალნათლივ დაინახავთ ასეთი შეხედულების მართებულობას.

მაშ როგორ – არის და არ არის დამოკიდებული?..

ასეა: ჩვენ უნდა მივცეთ ბავშვებს დამოკიდებულება და არც უნდა მივცეთ, უნდა გავუგოთ ბავშვებს და არც უნდა გავუგოთ, უნდა გავანებივროთ პატარები და არც უნდა გავანებივროთ. უკვე რამდენიმე წელია ვერაფრით მოვუძებნე ამომწურავი პასუხი კითხვას, რატომ არის, რომ ერთ იჯახში კარგი ბავშვი იზრდება, ხოლო მეორეში კი რთული უფრო მეტიც, ერთ ოჯახში აღზრდილი ერთი ბავშვი კარგია, მეორე კი რთული ალბათ, ეს შეკითხვა ბევრ თქვენთაგანსაც დაბადებია, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა თუ იგი აზრთა და მეცნიერებათა უსიერ ტყეში შემიყვანდა, რომელსაც სახელი არ ჰქონდა... არც ფილოსოფია, არც პედაგოგიკა, არც ეთიკა, არც ფსიქოლოგია... არადა მხოლოდ ეს კი არა, სხვა ბევრი რამეც უნდა ვიცოდეთ, რომ ბავშვი აღზარდოთ, ამიტომაცაა უდუდესი ინტერესი საოჯახო პედ-

აგოგიკისადმი, რომელიც სათავეს გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან იღებს. მსოფლიო ვერ უმკვალდება თავის შვილებს, მშობლები ვერ ასწრებენ შეეგუონ, მიუსადაგონ თავიანთი ბავშვები შეუწყნარებლად ცვალებადი ცხოვრების პირობებს. არ ძალუძთ შესაბამისად ჩქარა ცვალონ თავიანთი პედაგოგიური შეხედულებები და აღზრდის მეთოდები.

პედაგოგიკა მეცნიერებაა ბავშვთა აღზრდის ხელოვნებაზე, მაგრამ ჩვენ ერთი რამ უნდა გავარკვიოთ, ესაა ხელოვნება არა საკუთარი, არამედ მხოლოდ სხვისი შვილების აღსაზრდელად... როცა საქმე მიდგება საკუთარი შვილების აღზრდაზე, ყოველგვარი მეცნიერება, მოძღვრება მთავრდება და იწყება – კაცმა არ იცის რა! გინახავთ ისეთი ქირურგი, რომელმაც საკუთარ გულს გაუკეთა ოპერაცია? დიახ ზრდიან პედაგოგები, მაგრამ ხშირ შემთხვევაში საკუთარს ვერა, რამეთუ პედაგოგიური მეცნიერება შესანიშნავად მოქმედებს, როცა აღმზრდელის წინაშე ათასი ბავშვია, ხოლო სავსებით ცუდია, როცა აღმზრდელს ორი ან ერთი ბავშვი აბარია, მე აღმოვაჩინე: – ყველაზე განათლებულ მშობლებსაც კი არ გაეგებათ, რომ ორიდან ხუთ წლამდე ბავშვი გამუდმებით ჯიუტობს და მზად არის ყოველგვარი თავხედობისათვის. ეს მძიმე „ორჯერ-ორი“ ჩვენგან მხოლოდ მოთმინებას მოითხოვს. იაპონიაში ხუთი წლის ასაკამდე მოზარდმა არ იცის სიტყვა – „არა!“ – მისი არსი და მნიშვნელობა, რამეთუ იქ მათ არაფერს უშლიან და არასოდეს ეუბნებიან უარს სურვილების შესრულებაზე. დიახ, უნდა მოვახდინოთ სასწაულები, რომ არ შევაკრთოთ მოზარდი ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ მშობლებმა არ იციან, რომ ნეგატივიზმი – საერთო კანონია. ფიქრობენ, რომ თუ სამი წლის ბავშვი ცუდად იქცევა და არ ასწავლეს მას მოქცევა, მაშინ ის ასეთად დარჩება, სინამდვილეში ამ სწავლებით ისინი მას ხდიან ავს! საჭიროა გავიგოთ აღზრდის პროცესი, უნდა გავარკვიოთ რა ხდება ჩვენსა და ბავშვებს შორის, როცა ჩვენ მათ ვზრდით რა ძალა აქვს ჩვენს პედაგოგიურ მოქმედებას, ზოგიერთს ეს შველის თუნდაც იმიტომ, რომ ისინი იმ დღიდან უკეთ ეპყრობიან შვილებს. გრძნობენ თავიანთ შესაძლებლობათა საზღვარს და არ მოითხოვენ ბავშვებისათვის იდუმალ სრულყოფას. ბუნებრივია, ცუდისათვის ვსჯით, ვკიცხავთ, ხოლო კეთილი საქმისათვის ვასაჩუქრებთ მოზარდს. აბა სხვაგვარად როგორ მოვიქცეთ? მთელი სამყარო ხომ ამაზეა დაფუძნებული! სინამდვილეში კი ეს ასე გვეჩვენება, რამეთუ საზოგადოებრივი განვითარების არც ერთი ინფორმაცია არ შეიძლება იყოს დაფუძნებული ჯარიმებსა და ჯილდოებზე. სამყარო პრინციპულად სხვანაირად არის მოწყობილი. ცხოვრება გვთავაზობს ამოცანებსა და არჩევნების მთლიან ჯაჭვს. წარუმატებელ არჩევანს უეჭველად მოსდევს უსიამოვნო, ზოგჯერ მძიმე, გამოუსწორებელი შედეგი, ხოლო კეთილზნეობისთვის ყოველთვის არ მიეზღვის ადამიანს, რადგან ცხოვრებაში ჯილდოებისა და ჯარიმების

განაწილების სამართლიანობის ალბათობა უმცირესია. ცხოვრებაში სხვა უამრავი კატაკლიზმების გვერდით. არსებობს გაჭირვება, დანაკარგი, უბედურება, ავადმყოფობა და ისინი ხშირად დამნაშავეთა წილად კი არ მოდის, არამედ მათ ერგება, ვისაც არაფერი დაუშავებია... წახალისებითა და დასჯის მეთოდით ბავშვის შეგნებაში პირველი დღიდანვე საფუძველს ვუთხრით რწმენას სამართლიანობაზე. მოზარდი ძალიან მალე აღმოაჩენს, რომ ჯილდო ყოველთვის როდი ხვდება იმას, ვინც სიკეთეს ჩადის და არც ავის მქმნელს ეზღვება საკადრისად! იგი ვერასოდეს შეიცნობს სამართლიანობის არსს. ვერ გაიგებს, რომ სამყარო არენა არაა, არც ბაზარია და არც სავაჭრო მოედანი. სამყარო უფრო სახელოსნოს ჰგავს. დიახ, აქ არც გაცვლა-გამოცვლაა, რომ ვთქვათ: „მე ჩავიდენ სიკეთეს და სამაგიეროს ვიღაც მომიზღავს“. ადამიანი თავისი სულიერი ცხოვრებით ვაჭარი კი არა-შემოქმედია! ჩვენ გვიყვარს ადამიანები, ჩვენ ვცდილობთ სიკეთე ვთესოთ. ვშრომობთ და ვტკბებით ცხოვრებით, იმიტომ, რომ ის თავისთავად არის შემოქმედება; ცხოვრება პრობლემური ხასიათისაა და არა გაცვლითი. სამყაროს სამართლიანობა – მის შემოქმედებაში, პრობლემურობაში, ჩვენს საქმიანობასა და შრომაშია... ბუნებრივია, ჩვენ ხშირად შევხვედრივართ სიტუაციას როდესაც მოზარდის ცუდი ქცევების გამო მის აღზრდაზე მშობლები და პედაგოგები აგებენ პასუხს, რადგან არ აუხსნეს, როგორ უნდა მოიქცეს და თუ აუხსნეს ამის მერე თითქოს იგი გამოსწორდება. ამ მიზნით აუცილებელია მორალის გაკვეთილები, სადაც ჯერ კიდევ დაწყებით კლასებში უნდა ვესაუბროთ ბავშვებს, რომ არ უნდა გაიტაცოს სხვისი მანქანა, არ უნდა აიღოს სხვისი ნივთი... მაგრამ რატომ არის, რომ ადამიანები, რომელთაც თვალითაც არ უნახავთ სისხლის სამართლის კოდექსი, არ ჩადიან დანაშაულს, ხოლო ისინი, რომელთაც ზეპირად იციან კოდექსის ყველა მუხლი, ხვდებიან დამნაშავეთა სკამზე. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამქვეყნად თუნდაც ერთი ბავშვი არსებობდეს, რომელმაც არ იცოდეს, რომ არათუ მანქანის არამედ სხვისი ნემსის აღებაც კი ცუდი საქციელია, რამეთუ „ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი“... ერთნაირი დამნაშავეა. ყველა მშობელი მხოლოდ კარგის კეთებას უნერგავს შვილებს, მაგრამ ჩემი მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილების შუქზე უამრავ ისეთ მშობელს შევხვედრივარ, რომელიც „დათვურ“ სამსახურს უსწავს შვილს და ამით მასში უზნეობის ფაქტორს აყალიბებს, ხოლო არ მინახავს ისეთი, რომ შვილს ცუდი რამ ჩააგონოს. ბავშვები ცუდ ადამიანებად იმიტომ კი არ იზრდებიან, რომ არ იციან, რა არის კარგი და ცუდი, არც იმიტომ, რომ უნებისყოფონი არიან, არამედ სულ სხვა მიზეზის გამო. აქ აუცილებელია ცნობილი უკრაინელი პედაგოგის ვ. სუხომლინსკის სიტყვები გავიხსენოთ: „აღმზრდელის უძლურების მიზეზი, ბავშვის აღზრდაში ის კი არ არის, რომ აღსაზრდელია გამოუსწორებელი, არამედ იმაშია, რომ თვით აღზრდის პროცესი მიმდინარეობს მცდარი გზით.

აღმზრდელი ცდილობს ბავშვის სულში ამოძირკვოს ბიწიერება. უკეთეს შემთხვევაში აიცილებს მის წარმოშობას, ჩასახვას. გამოცდილება კი გვარწმუნებს, რომ ამ გზით არ შეიძლება აღვზარდოთ მყარი ზნეობრივი რწმენა... მანკიერებით თავისთავად ამოიძირკვება, ბავშვისთვის შეუმჩნევლად ქრება და მის მოპოვებას არავითარი მტკივნეული მოვლენები არ ახლავს თუ მას გამოდევნის ღირსების ძლიერი ამონაყარი". არადა, ამ „ღირსების ძლიერ ამონაყარს" ყოველთვის ვერ ვღებულობთ.

სწორედ ამიტომ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში" არა მარტო პედაგოგთა პროფესიული დაოსტატებისათვის, არამედ მშობელთათვისაც იმუშავებს სპეციალური რუბრიკები, რამეთუ ერთად შევქმნათ თაობათა ნათელი მომავალი... ისე კი... ამ ჟურნალის განახლებას განსაკუთრებული რუდუნებით გვსურს გავართვათ თავი, მიუხედავად იმისა, რომ სარედაქციო კოლეგია, პედაგოგიური ბირთვის ძველი კორიფეებითაა დაკომპლექტებული. 1924-წლიდან მოყოლებული, დღიდან ჟურნალის დაარსებისა, გვინდა ყველას წინაშე მოვიხაროთ ქედი, რედაქტორების სარედაქციო კოლეგიის წევრებისა თუ რიგითი ავტორებისა, განსაკუთრებული ყურადღება გვსურს მკითხველებსაც დავუთმოთ, დიახ, სწორედ მკითხველთა უსაზღვრო სიყვარულმა გამოაწრთო ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება", ჩვენც, მთელი სარედაქციო კოლეგია, გპირდებით, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მკითხველის ერთგულებითა და თანადგომით, ჟურნალის მორიგი ნომრის გამოსვლა პედაგოგიკის ერთგვარ ზეიმად იქცეს.

დიახ. თუ სამართლის თვალით გავსინჯავთ საგანს, ცხადი შეიქმნება ჩვენთვის, რომ დედამიწის ზურგზედ იქნება მეორე ხალხი არ არსებობდეს, რომელსაც იმდენი წყურვილი ჰქონდეს სწავლისა, როგორც აქვთ იმერ ქართველებს. გაზვიადებული არ იქნება ვსთქვათ, რომ ბევრს იმერს წიგნის ცოდნა იმდენად სწყურიან, როგორც ცხელის უდაბნოს მწყურვალს ირემს ცივის წყაროს დაწაფება.

იაკობ გოგებაშვილი

პეიზაჟები

სკოლა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ფეხდაფეხ მიყვება ცხოვრების მსვლელობას, მძაფრად განიცდის ეპოქის მაჯისცემას და მუდმივად ზრუნავს იმ ღირებულებათა შენარჩუნებაზე, რომლებიც ქვეყნის არსებობის ქვაკუთხედს წარმოადგენს. განათლების სისტემა მუდმივად განახლებადია და პასუხობს ეპოქის მოთხოვნებს, მისი სრულყოფილად განხორციელება კი სააღმზრდელო პროცესს, პედაგოგს უკავშირდება. იყო მასწავლებელი – ეს უდიდესი პატივი და ამასთანავე უდიდესი პასუხისმგებლობაა. ქვეყნის, ცივილიზაციის წარმატება უპირველესად მომავალი თაობების აღზრდაზეა დაფუძნებული, ეს კეთილშობილური მისია სწორედ პედაგოგმა იტვირთა და ქვეყანის სტაგნაციის პერიოდშიც, მიუხედავად გაუსაძლისი სიდუხჭირისა, არცერთი დღე არ მიუტოვებია თავისი საქმე, თავისი მოსწავლე, რადგან გააზრებული ჰქონდა, რომ მხოლოდ წიგნიერ მომავალს შეეძლო ქვეყნის გაძლიერება, რომ განათლება უდიდესი საგანძურია, რომლის გასაღებიც დაუღალავი, უანგარო შრომა იყო და რომ სახელმწიფოს დაცვა იარაღით კი არა, ცოდნით იყო შესაძლებელი.

დღეს სასწავლო პროცესი კლასიკურთან ერთად თანამედროვე ტექნოლოგიურ ინოვაციურ მეთოდებსა და უცხოურ გამოცდილებას ეფუძნება. ამიტომაც სკოლამ მუდმივად უნდა აუწყოს ფეხი მიმდინარე პროცესებს და მყისიერად დაამკვიდროს იგი, რათა ღირსეული თაობა აღზარდოს. ამიტომაც, მნიშვნელოვნად მიმაჩნია ჟურნალის „სკოლა და ცხოვება“ გამოცემის განახლება. ამ ჟურნალმა წლების წინ დიდი მისია იტვირთა და ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის ყველა სიახლე და მიღწევა ასახა თავის ფურცლებზე. იგი ერთგვარ მეთოდურ გზამკვლევად იქცა მრავალი თაობის პედგოგთათვის. მჯერა, რომ დღესაც გააგრძელებს ეს ჟურნალი არჩეულ გეზს და დღევანდელ საგანმანათლებლო პროცესში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, ვინც ამ ჟურნალის განახლების კეთილშობილური მისია იკისრა და თავად ჟურნალს კი წარმატებული და შინაარსიანი წლები ვუსურვო.

ინგა შამილიშვილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ჰუმანური პედაგოგიური აზროვნებისა და პრაქტიკის საყრდენები

1. ჰუმანური პედაგოგიკის ცნება

ამ ცნების წყარო კლასიკური პედაგოგიკაა. ჰუმანურობის იდეა კლასიკური პედაგოგიკის არსი და თვისებაა. ცნების შინაარსი კლასიკოსთა მოძღვრებაში საკმაოდ ღრმად არის გახსნილი, თუმცა ლექსიკონური ხასიათის განმტკიცებას აქ ვერ ვხვდებით.

ჩვეულებრივ ლექსიკონებში ეს სიტყვა განიმარტება მატერიალისტური თვალთახედვით, რომლის თანახმადაც გამოდის, რომ ჰუმანიზმი ნიშნავს ადამიანურობას, ადამიანთა მიმართ სიყვარულსა და ზრუნვას, საერთო კეთილდღეობისათვის მოღვაწეობას და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს შინაარსები იგულისხმება ჰუმანურობის ცნებაში, მაგრამ არსს ვერ გამოხატავს. სიტყვა ჰუმანური არ არის ლათინურ ან ინგლისური წარმოშობისა. სწორედ ამ ენებში სიტყვა დაკნინდა და თავისი ჭეშმარიტება დაკარგა.

ჰუმანური – სანსკრიტული სიტყვაა, მისი არსი კი შემდეგია: მოკვდავი ადამიანი, რომელიც თავის თავში უკვდავებას ეძებს, ეძებს სულის საყრდენს, ღმერთთან კავშირს. ის, ვინც ამგვარ ძიებაშია, ჰუმანურად იწოდება. თვითშემცნების გზაზე დამდგარი კაცია ჰუმანური, ხოლო ის, ვინც ამ გზას ასცდა, ან ვერც გაუგია, რისთვის არის გაჩენილი, დურად იწოდება (ესეც სანკრიტული სიტყვაა). უმენ და დურა ურთიერთ საპირისპირო სიტყვებია. გასაგებია, რომ ჰუმანურად განწყობილი ადამიანი საკუთარი თავის შემეცნებას სხვა ადამიანთა გარეშე ვერ შეძლებს. აქედან იბადება მეორადი შინაარსი, როგორც შედეგი არსისა: ადამიანთა სიყვარული და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა ჰუმანურობის ცნება ჰუმანური პედაგოგიკის საყრდენია. "ჰუმანური პედაგოგიკის მანიფესტიში" (2011წ.) ვკითხულობთ" "უმანური პედაგოგიკა არის თეორიული და პრაქტიკული საშუალება პიროვნების ჰუმანური სულისკვეთებით აღზრდისა".

აქ ჰუმანურობა ნახსენებია სულიერებათა კავშირში. ჰუმანურობა ბუნებრივად ითავსებს სულიერებას. მაგრამ რადგან დღევანდელ საზოგადოებრივ ცნობიერებაში ეს სიტყვა მხოლოდ მატერიალური მნიშვნელობით იხმარება, ამიტომ აღვუდგინეთ მას სულიერება, რის შედეგადაც მივიღეთ ცნება "სულიერი ჰუნამიზმი".

ჰუმანური პედაგოგიკის თეორია გულისხმობს, რომ მასწავლებელმა (აღმზრდელმა) თავისი შემოქმედებითი პრაქტიკით ბავშვი (მოზარდი, ახალგაზრდა) საკუთარი თავის შეცნობის გზაზე უნდა დააყენოს. როგორც დიდი პოეტი ამბობს:

ყმაწვილმა უნდა იცოდეს
საცნობად თავისადაო,
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო.

2. ჰუმანური პედაგოგიკა

მთლიანად კლასიკური პედაგოგიური მოძღვრება, ოთხგანზომილებიან ცნობიერებას ემყარება. იგი ღებულობს მატერიალისტურ სამ განზომილებას (მატერიალ, დრო, სივრცე), ხოლო პედაგოგიკაში – მემკვიდრეობითობა, ორგანიზებული და არაორგანიზებული აღმზრდელობითი გარემო), შემოაქვს მეოთხე პოსტულატე – სულიერება (რწმენა). აქედან გამომდინარეობს ბავშვის ფილოსოფიური ხედვა: იგი არის მოვლენა, მას თან მოაქვს თავისი მისია (ცხოვრების საკუთარი გზა), მასში მოქმედებს სულის უსაზღვრო ენერგია. ეს ხედვა განსაზღვრავს ბავშვის აღზრდისა და განათლების შინაარსსა და მეთოდებს. კერძოდ, ჰუმანური პედაგოგიური პროცესი მიზნად ისახავს მოზარდში კეთილშობილებისა და დიდსულოვნების აღზრდას სულიერი ერთობის საწყისებზე.

3.თანხმობის ფსიქოლოგია

მართვის ფსიქოლოგია ავტორიტარული, ძალისმიერი პედაგოგიური პროცესის განმსაზღვრელია. ჰუმანური პედაგოგიკა კი მოზარდის აღზრდასა და განათლებაში თანხმობის ფსიქოლოგიას ემყარება. კერძოდ, მოზარდის, მრავალმხრივი ბუნებიდან გამოყოფს, სამ ფსიქოლოგიურ ფაქტორს, რომელთაც იგი ემორჩილება. ეს არის: განვითარებისაკენ სწრაფვა, დიდობის მოთხოვნილება, თავისუფლების დამოკიდებულება. ჰუმანური პედაგოგიური პროცესი მაქსიმალურად აკმაყოფილებს მოზარდის ამ დაუოკებელ მისწრაფებებს, რაც მასში დადებით მოტივაციურ ძალებს აღძრავს: მას უხარია სწავლა, იგი თავად გვეხმარება საკუთარი თავის აღზრდაში.

4. მასწავლებლის, აღმზრდელის პიროვნება

ჰუმანური პედაგოგიკის ბედი შინაარსსა და მეთოდებზე კი არ არის დამყარებული, არამედ მასწავლებლის პიროვნებაზე. ჰუმანური პედაგოგიკა ხელოვნებაა, ამიტომ მასწავლებელი (აღმზრდელი) შემოქმედებით წვაში ივითარებს, პედაგოგიურ ხელოვნებას. ერთმა დიდმა მოაზროვნემ ასეთი უბრალო აზრი გამოთქვა: სადაც კარგი მასწავლებელია, იქ მოსწავლეებიც კარგები არიან. მასწავლებელს ორი რამ მოეთხოვება: სულიერი სიმშვენიერე და სიწმინდე აზრისა და აზროვნებისა და გულწრფელი, ნაზი, ფაქიზი სიყვარული მოსწავლეებისა.

ჰუმანური პედაგოგიკა მიყვება აქსიომებს: სიკეთე სიკეთით აღიზრდება; სილამაზე სილამაზით აღიზრდება და ა.შ. ეს აქსიომები ჰუმანური მასწავლებლის სახელმძღვანელო პრინციპებია.

5. კლასიკური პედაგოგიური სიბრძნე.

პედაგოგიური კლასიკა ჰუმანური პედაგოგიკის წყაროა. სიბრძნე, რომელიც კლასიკურ პედაგოგიკაში დაიბადა, ამ პედაგოგიკის მიმართულებას განსაზღვრავს. ასეთი პოსტოლატებია: ჩვენი სოციალური წარმოშობისაა (მარკ ფაბიუს კვინტილიანე); მიწიერი ცხოვრება მარადიული ცხოვრებისათვის მომზადებაა (იან ამოს კომენსკი);

სიყვარულის პირობებში ბავშვი ორჯერ უფრო მეტ წარმატებებს, აღწევს (იოჰან ჰენრის პესტალოცი); ბავშვი არ ემზადება ცხოვრებისათვის, იგი უკვე ცხოვრობს (კონსტანტინე უშინსკი);

პატივი ეცით ბავშვის უცოდინრობას (იანუშ კორჩაკი);

სულიერი ერთობის გარეშე აღზრდა არ შედგება (ვასილ სუხომლინსკი).

6. ჰუმანური პედაგოგიკის იდეათა გავრცელება

ჰუმანური პედაგოგიკა მასწავლებელთა, აღმზრდელთა, მშობელთა, საზოგადოებრიობის მოძრაობაში გადაიზარდა. მას ჰყავს ათეულ ათასობით მიმდევარი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. შექმნილია უკრაინის ჰუმანურ პედაგოგთა რესპუბლიკური ასოციაცია, ლატვის, ლიტვის, ესტონეთის, ყაზახეთის, ფინეთის, ბულგარეთის, ყირგიზეთის, რუსეთის, ჰუმანური პედაგოგიკის რესპუბლიკური ცენტრები. ბევრ ქვეყანაში მოქმედებს ჰუმანურ პედაგოგთა გაერთიანებები, ლაბორატორიები, კლუბები.

ანალოგიური პედაგოგიური მოძრაობა მსოფლიოში არ არსებობს.

ყოველწლიურად იმართება რესპუბლიკური და საერთაშორისო პედაგოგიური კითხვები. 2018 წლის მარტში ქ. ბაქოში ჩატარდება მე-17 საერთაშორისო პედაგოგიური კითხვები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 700-ზე მეტი მასწავლებელი, აღმზრდელი, მშობელი. თემა ამ კითხვებისა: „ოჯახი ადამიანური კულტურის ბუდეა“.

ასევე ყოველწლიურად ტარდება ჰუმანურ პედაგოგიურ იდეათა ფესტივალი ყოველი წლის ნოემბრის დასაწყისში. მეხუთე საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდება 2017 წლის ნოემბერში ქ. კრასნოდარში.

ჰუმანური პედაგოგიკის საფუძვლების ასათვისებლად გადასამზადებელი და კვალიფიკაციის ამაღლების საერთაშორისო კურსები გაიარა 40 ათასზე მეტმა მასწავლებელმა. ასეთი საერთაშორისო კურსები ტარდება სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებში, აგრეთვე თელავის რაიონის სოფელ ბუშეტში ამონაშვილების მამულში. ახლად აღორძინებულ ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება“ ხელმძღვანელობას ვურჩევ ქართულ ენაზე გამოაქვეყნოს „ჰუმანური პედაგოგიკის მანიფესტი“, რომელშიც ამ პედაგოგიკის იდეებია ასახული.

შალვა ამონაშვილი
აკადემიკოსი, ჰუმანური პედაგოგიკის
საერთაშორისო ცენტრის
საპატიო პრეზიდენტი.

ᲒᲕᲘᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ

სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“ თითქმის საუკუნის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ქართულ პედაგოგიკას, მომავალი თაობის აღზრდას, მრავალი ათეული წელი კვალიფიციურად აშუქებდა სწავლებისა და განათლების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს; იგი პედაგოგებისათვის სამაგიდო ჟურნალს წარმოადგენდა ჟურნალის ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას მოუთმენლად ელოდნენ ჩვენი პედაგოგ-მასწავლებლები. ისინი უამრავ საინტერესო და აქტუალურ მასალას პოულობდნენ ჟურნალში, რომელიც მათ ყოველდღიურ საქმიანობას უადვილებდა, სტიმულს აძლევდა, ეხმარებოდა და უჩვენებდა გზას პრობლემების გადასაჭრელად.

ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, ისევე როგორც ბევრი დიდი ტრადიციის მქონე გამოცემა, სამწუხაროდ, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების სიდუხჭირეს ვერ გაუმკლავდა და დაიხურა, მაგრამ დღეს ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში კვლავაც განახლდა მისი გამოცემა. ახალი იდეებით, ახალი შემართებით, ახალი რუბრიკებითა და ახალი შემადგენლობით, ახალ სიციცხლეს იწყებს ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“.

კვლავაც მკითხველის სიყვარულს, სიმრავლესა და მხარდაჭერას გისურვებთ.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲯᲐᲘᲐᲜᲘ
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლებისა და კულტურის მინისტრი

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის ისტორია

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც საქართველოში 1961 წლიდან ფუნქციონირებს. დაგვეთანხმებით რაოდენ ძნელი უნდა ყოფილიყო ეროვნული იდეოლოგია, რომ საბჭოთა სინამდვილეში 60-იან წლებში ასეთი გადაწყვეტილება მიეღოთ და შექმნილიყო ქართული პედაგოგიური ნიჭისა და გენის ყველაზე ხატოვანი პიროვნების „დედა-ენის“ შემქმნელი იაკობ გოგებაშვილის სახელობის ორგანიზაცია.

საწყისი კი საიდან მოდის:

1879 წელს ქართველ მოღვაწეთა ჯგუფმა დიდი ბრძოლის შემდეგ მიიღო უფლება მეფისნაცვლისაგან დაარსებულიყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი სახოგადოება“. მოგვიანებით ქართული ინტელიგენცია აღიარებს, რომ ეს გადაწყვეტილება იყო ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენისა. ასეც იყო, რადგან ამ ორგანიზაციამ მისცა დასაბამი ქართული ენის, ისტორიისა და კულტურის შემდგომ პროპაგანდასა და აღმავლობას.

ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა: იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის, ნიკო ცხვედაძის, ვახტანგ თულაშვილის მიერ დაარსებული ეს ორგანიზაცია, სულ მალე უზარმაზარ სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრად იქცა. პირველი დაწყებითი სკოლები გაიხსნა საქართველოს ყველა კუთხეში, ქალაქებში, უბრალო, უპოვართა შვილებმაც კი შეძლეს წერა-კითხვის შესწავლა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, გიორგი ყაზბეგი. საზოგადოებამ საქმიანობა იაკობ გოგებაშვილის სიკვდილის შემდეგაც განაგრძო და საკუთარი მისია შესრულებულად 1921 წელს ჩათვალა. მისი გაუქმების შესახებ განკარგულება მისმა უკანასკნელმა თავმჯდომარემ, იასონ ლორთქიფანიძემ გამოსცა.

სწორედ ამ საზოგადოების სამართალმემკვიდრედ ითვლება იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი, რომელიც განგების ძალით ისევ ლორთქიფანიძის, ამჯერად დავითის მიერ უნდა ყოფილიყო ხელდასმული.

1961 წლის 14 ივლისს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს №429-ე დადგენილების შესაბამისად შეიქმნა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა საზოგადოება.

აქედან იწყებს თავის არსებობას ჩვენი ორგანიზაცია, რომელიც 1997 წელი საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედგოგ-

თა კავშირად გადაკეთდა და მემკვიდრეობის უმდიდრესი ინტელექტუალური პოტენციალი მიიღო.

კავშირის წესდება უამრავ სასარგებლო საქმიანობას ითვალისწინებს. გაგვიჭირდება, ვრცლად მოგითხროთ ყველა იმ საქმიანობაზე, რომელსაც იგი 50 წლის მანძილზე ანხორციელებდა, ერთს კი უდაოდ დავძენთ, მუდამ აპოლიტიკური ორგანიზაცია არა მხოლოდ დიდი იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობის პროპაგანდას ახდენდა, არამედ ჰეგემონს წარმოადგენდა განათლების ყველა სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურის წამოწყებაში. ორგანიზაციის შეცვლილი და გაფართოებული ფუნქციები უფლებას გვაძლევდა მუდამ გვერდით ვდგომოდით განათლების სამინისტროს, მის ყველა წამოწყებასა და იდეის განხორციელებაში, არც მათგან გვაკლდა თანადგომა.

პედაგოგთა კავშირმა ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე დაფუძნებული ყველა იდეა და იდეის მატარებელი მეცნიერი შეაკავშირა. მისმა გამგეობამ, რომელშიც სხვადასხვა დროს შედიოდნენ: აკად. დავით ლორთქიფანიძე, პროფესორები: გიორგი ჯიბლაძე, ოთარ ქინქლაძე, კარლო მაჭარაშვილი, მამია დარჩია, ნათელა ვასაძე, ოლეგ ალავიძე, ზურაბ ცუცქირიძე, თამარ ლაშქარაშვილი, გრიგოლ საჯაია, მრავალი სასკოლო საქმე აკეთეს დიდი იაკობის სახელის მატარებელი ორგანიზაციის ეგიდით.

როგორც მოგახსენეთ, ორგანიზაციამ მემკვიდრეობით საქართველოში მოქმედ ყველა საგანმანათლებლო სტრუქტურაზე ზრუნვა მიიღო, ამიტომ ფუნქციონირებს საქართველოს სხვადასხვა რაიონსა და ქალაქში ადგილობრივი განყოფილებები, რომელიც თავის რიგებში ასობით პედაგოგსა და მეცნიერს აერთიანებს.

ადგილობრივი განყოფილებები და მისი საბჭოები ადგილზე ეწევიან მეტად საჭირო საქმიანობებს. იყო ქვეყნისთვის მეტად მძიმე წლები, როდესაც ორგანიზაციის არსებობა საფრთხის ქვეშ იდგა, პედაგოგები წელიწადში იმ ერთ ლარ ანარიცხსაც ვერ იხდიდნენ, რომელიც დებულებით გვაქვს გათვალისწინებული, მაგრამ შიშველ ენთუზიაზმზეც კი შეიძლება ეროვნული საქმე აკეთო.

არც ერთ განძსაცავს არ ჰყოლია იმდენი მცველი, რამდენიც იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირს, ჩვენს არსებობას დარაჯად ედგნენ რიგითი მოქალაქენი, პედაგოგები, მშობლები, არც ზემდგომ ორგანოებიდან გვაკლდა თანადგომა (მხოლოდ მორალური), ამან შეგვაძლებინა, გადაგვეტანა კატალიზმებით აღსავსე რამოდენიმე წელი.

ძალმოკრებილნი, ახალი შემართებით შევუდექით საქმიანობას, მთელი რესპუბლიკის პედაგოგები ყოველწლიურად ჩვენს მიერ გამოცხადებული კონკურსებში იღებენ მონაწილეობას.

რესპუბლიკამ გაიცნო კლასის საუკეთესო დამრიგებლები, ის საუკეთესო კაბინეტები, რომელიც თითოეულ სკოლაშია გახსნილი და რომელიც იაკობ გოგებაშვილის სახელს ატარებს. პედაგოგთა კავშირში მრავალი ისეთი ნაშრომი ინახება, რომელშიც იაკობ გოგებაშვი-

ლის ცხოვრების, შემოქმედებისა და პედაგოგიური მემკვიდრეობის შესახებ რუდუნებით მოპოვებული მასალაა წარმოდგენილი.

მსგავსი კონკურსების შეჯამება ერთგვარი ზეიმიცაა, რადგან გამარჯვებულს ჯილდოდ, ქართველი პედაგოგისათვის უპირველესი განძი, იაკობ გოგებაშვილის მემორიალური მედალი გადაეცემა.

ვამაყობთ იმით, რომ გარდა მემორიალური მედლისა ჩვენს ორგანიზაციას კიდევ ორი უმშვენიერესი ჯილდო აქვს პედაგოგთათვის – იაკობ გოგებაშვილის მედალი „პედაგოგიურ დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ და „ლაურეატის“ საპატიო მედალი, რომელიც 3 წელიწადში ერთხელ გამოცხადებული კონკურსის შედეგად გამოვლენილ, საუკეთესო ნაშრომის მკვლევარსა და სახელმძღვანელოს ავტორს ენიჭება.

ჩვენი მუშაობის სტილმა და იმ ფაქტმა, რომ მუდამ განათლების სამინისტროს ინტერესებს ვიზიარებთ, ერთ მთლიან ბირთვად შეგვაკავშირა და კვლავაც გვინდა სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა ჩვენი ორგანიზაციის მხარდამჭერ ჭირისუფლად მოიაზრებოდეს.

ძნელია ყველაფერი ერთმა წერილმა დაიტიოს, მაგრამ ჩვენთვის უმთავრესზე და უპირველესზე მაინც გიამბობთ.

მრავალი წელია ჩვენი დაწესებულება დიდ რუდუნებით მისხალ-მისხალ აგროვებს იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ყველა ნივთსა და დოკუმენტურ მასლას. გვაქვს უნიკალური ლიტერატრურა, პუბლიცისტური ნაშრომები, არქივიდან ამოღებული გამოძიებულია ათობით ისეთი შინაარსის შემცველი დოკუმენტი რომლის არსებობა ჯერაც უცნობია ფართო პედაგოგიური საზოგადოებისათვის.

ვფიქრობთ ავასრულეთ ოცნება და თბილისში კარგარეთელის 7 ნომერში არსებულ საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმს გადავეცით გოგებაშვილისეული ავეჯი, ნივთები, რომელიც მისმა მემკვიდრეებმა საჩუქრად გადმოსცეს ჩვენს ორგანიზაციას და რადგანაც იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი არის სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოებრივი ორგანიზაცია დადგინდა და გაიხსნა “იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლო სამეცნიერო მუზეუმი” ქალაქ რუსთავში, შევჩენკოს ქ.№5 (აკადემიური ქალაქი) სადაც განთავსებულია პედაგოგთა კავშირის ადმინისტრაცია.

აი, მოკლედ ყველაფერი ის, რასაც წლების მანძილზე ახორციელებდა პედაგოგთა კავშირი და დაგვეთანხმებით, რომ არც თუ მცირე მონაპოვარია.

გვჯერა, მომავალშიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდამხარ ვიღვაწებთ, რადგან არ არსებობს არანაირი სახის განათლების რეფორმა, სწავლისა და აღზრდის პრიორიტეტული კონცეფცია, რომელსაც დიდი იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ დოქტრინას არ დავუდებთ საფუძვლად.

ოლეგი ალავიძე
პროფესორი

ბოლოსიტყვა

ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ოციან წლებში აღმოცენდა. მან დაარსებისთანავე მიიქცია ქართველი პედაგოგიური ელიტის ყურადღება. ჟურნალი გამოცდილი თუ ახალბედა პედაგოგ-მასწავლებლების მეგზური, ერთგული მეგობარი და მრჩეველი გახდა. იგი არა მარტო განათლების, არამედ მეცნიერების ყველა დარგის წარმომადგენელმა შეიყვარა და შეისისხლხორცა. ჟურნალი სამაგიდო წიგნად იქცა. მოუთმენლად ელოდნენ მისი ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას. თითოეულ ნომერს რუდუნებით ებყრობოდნენ ჩვენი პედაგოგ-მასწავლებლები და გულისყურით ეცნობოდნენ, რამეთუ ყველა ახალ ნომერში ახალი, საინტერესო და აქტუალური მასალა იბეჭდებოდა. ასე იარსება ჟურნალმა რამოდენიმე ათეული წელი. იგი ძლიერი, მრავალტირაჟიანი და უფრო მეტად საინტერესო გახდა... ესეც ჩვენი პედაგოგ-მასწავლებლების ღირსეული დამსახურებაა.

მაგრამ როგორც მრავალმა პერიოდულმა გამოცემამ, ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ ჟამთასვლას ვერ გაუძლო, მისი გამოცემა შეწყდა მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. მიუხედავად ჩვენი პედაგოგიური ელიტის მრავალმხრივი მცდელობისა ჟურნალმა არსებობა შეწყვიტა.

დღეს კი, უკვე მეოცე საუკუნის ისევ ოციანი წლების მიჯნაზე ფენიქსივით აღსდგა ჩვენი „სკოლა და ცხოვრება“. თუმცა აქ დაუჯერებელი და გასაკვირი არაფერია, სასიხარულო კი ნამდვილად არის. ახალ სიცოცხლეს იწყებს ჩვენი ჟურნალი ახალი შემართებით, განახლებული სარედაქციო კოლეგიით, ახალი იდეებით.

გილოცავთ ამ დიდ და საპატიო საქმის კვლავ წამოწყებას

მჯერა „სკოლა და ცხოვრება“ კვლავაც გახდება სასკოლო მუშაობის შემადგენელი ნაწილი, რამეთუ იგი საინტერესოდ და კვალიფიციურად გააშუქებს განათლების სფეროში მიმდინარე მოვლენებს, სიახლეებს. გამართავს საინტერესო დისკუსიებს, აქტიურად დაეხმარება პედაგოგებს თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში.

სოსო ცოტნიაშვილი
სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის განათლების
სამსახურის უფროსი

უცხოური თეორიები განათლების გზების შესახებ

სკოლის მუშაობის თეორიული ბაზა მთელ მსოფლიოში მუდმივ განახლებასა და კორექტირებას განიცდის. ამ მუდმივ პროცესს ხელს უწყობს ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტორი: მუდმივად მზარდი ცოდნის მოცულობა, ბავშვობის ბუნების კვლევის შედეგები, სასწავლო დაწესებულების მუშაობის გამოცდილება დას ხვ. სკოლას რეგულარულად სჭირდება გარკვეული, ხშირად ერთობ სერიოზული ცვლილებები. გასული საუკუნის 60-70-იანი წლების მეცნიერულ-ტექნიკურმა და ტექნოლოგიურმა რევოლუციამ და ინფორმაციულად ორიენტირებული საზოგადოებისაკენ შემობრუნებამ 80-90-იან წლებში სასკოლო განათლების წინაშე მაღალი მოთხოვნილება დააყენა. სკოლა აუცილებლად უნდა მოვიდეს შესაბამისობაში წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის ახალ დონესთან. ამრიგად, სკოლის მუშაობის, სასკოლო განათლების განახლება აქტიური და გადაუდებელი ამოცანაა.

მსოფლიო თანამეგობრობა განსაზღვრავს ახალი განათლების შინაარსს. ამ პროცესში იგი ეჯახება ზღვარსგადასულ სტანდარტიზაციასა და რეგლამენტაციას, რითაც იქმნება იმის ილუზია, თითქოს ყველაფრის სწავლება შეიძლება მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობით. ხშირად უგულებელყოფენ იმის აუცილებლობას, რომ სწავლების საშუალებით წახალისდეს საღი აზრი, ცნობისმოყვარეობა, ექსპერიმენტირებისაკენ ლტოლვა. განათლებას (განსაკუთრებით ევროპაში) ჯერ კიდევ აწევს აბსტრაქტული სწავლების ტვირთი, რომლის მიხედვითაც მთავარი არ არის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

სხვადასხვა ქვეყანაში განათლების მნიშვნელობა და მიზნები, რომ გავიაზროთ, აუცილებელია ეროვნული ტრადიციების გათვალისწინება. მაგალითად, ინგლისში განათლებას მომავალი სოციალური მდგომარეობის შესაბამისად აფასებენ; გერმანიასა და საფრანგეთში შესამჩნევია ინტელექტუალური განათლების პატივისცემა; აშშ-ი განათლებას პრაგმატისტულად უდგებიან. ინგლისელი მეცნიერი მ.სადლერი ამგვარ სიტუაციას რომ აღწერს, შენიშნავს: „როცა განათლებაზე ჩამოვარდება კითხვა, გერმანელიკითხულობს – რა ეცოდინება, ფრანგს აინტერესებს როგორი იქნება გამოცდები, ამერიკელს – რის გაკეთებას შეძლებს, ინგლისელს – კარიერა“.

თანამედროვე მსოფლიოს მზარდი ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში იცვლება განათლების მიზნები და ამოცანები. ამის ტიპიური მაგალითი დიდი ბრიტანეთის განათლების ეროვნული კომიტეტის მოხსენებაში გადმოცემული იდეები (1993წ.) ეფექტიანი განთლების მთავარი ამოცანაა – ნათქვამია მოხსენებაში, – ვასწავლოთ აღსაზრდელებს წარმატების მიღწევა.

სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული საკითხები აღმო-

სავლეთისა და დასავლეთის პოლიტიკური ლიდერების ყურადღების ცენტრშია. მნიშვნელოვანი სასკოლო რეფორმების ინიციატორები იყვნენ ტეტჩერი (ინგლისი), ი. ნაკასონი (იაპონია), რეიგანი, ბუში (უფროსი), კლინტონი (აშშ), ჟისკარ დესტენი (საფრანგეთი) და ა.შ.

სსკოლო განათლების საკითხებზე მუშაობს ბევრი ეროვნული ცენტრი, პირველ ყოვლისა პედაგოგიური უნივერსიტეტები, საუნივერსიტეტო კათედრები და დეპარტამენტები. გარდა ამისა, ამ თემაზე მუშაობენ სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი პედაგოგიური ცენტრები: განათლების ეროვნული აკადემია (აშშ), ეროვნული პედაგოგიური ინსტიტუტი და პედაგოგიური დოკუმენტაციის ცენტრი (საფრანგეთი), განათლების აკადემია (რუსეთი), პედაგოგიური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი (იაპონია) და ა.შ.

დასავლეთელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სასკოლო განათლების თეორიის დამუშავებაში თავიანთი ძალები უნდა გააძლიერონ და უნდა გააერთიანონ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებებმა. ამჟამად საკორდინაციო ფუნქციას ასრულებენ ისეთი სამეცნიერო ცენტრები, როგორიც არის: აღზრდის ინტერნაციონალური ბიურო (შვეიცარია), პედაგოგიკური კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი (გერმანია), საერთაშორისო პედაგოგიური ცენტრი (საფრანგეთი), განათლების საერთაშორისო ინსტიტუტი (აშშ) და სხვები.

მოწინავე სახელმწიფოები ქმნიან სასკოლო განათლების დიდმასშტაბიან პროექტებს. არის ენობრივი ბარიერების ლიკვიდირების სერიოზული ცდებიც. დსავლეთ ევროპის ქვეყნების განათლების მინისტრებმა დაამტკიცეს პროგრამები – „ერაზმუსი“ (1987წ.) და „ლინგვა“ (1989წ.), სადაც უცხოური ენის შესწავლა ნავარაუდევია უკვე დაწყებით სკოლაში. საშუალო სკოლაში, კი ბავშვმა ორი უცხო ენა უნდა იცოდეს. 1996 წლიდან „საერთაშორისო ბაკალავრიატის“ სასწავლო დაწესებულებები ფუნქციონირებენ თითქმის 80 ქვეყანაში. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულებს ეძლევათ დიპლომი, რომელიც უფლებას აძლევთ მათ სწავლა განაგრძონ მსოფლიოს ნებისმიერ სასწავლებლებში.

დღეს ბევრი პედაგოგი ფიქრობს, რომ ამჟამინდელი სკოლა მოძველდა. „უნდა შეიცვალოს არა მინისტრები, არამედ სკოლა, – წერს ფრანგი მეცნიერი ა. მადლენი – რადგანაც ამაზეა დამოკიდებული სკოლის ბედ-იღბალი“. მის აზრს იზიარებს ამერიკელი ე. ტოფლერი, რომელიც მოუწოდებს სკოლის კონსერვატიზმის დამსხვრევისაკენ.

პედაგოგიკის თეორეტიკოსები გვთავაზობენ სკოლის კრიზისიდან გამოყვანის ორ ძირითად გზას: წინმსწრები და ინტენსიური სწავლების გზებს. წინმსწრებმა სწავლებამ მოსწავლეები უნდა მოამზადოს მომავალი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული გარდაქმნებისათ-

ვის. ინტენსიური საწავლება კი ორიენტირებულია არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ ცვლილებებზე სასკოლო განათლებაში. ამ დიდაქტიკურ კონცეფციებს საფუძვლად უდევს სხვადასხვა კრიტერიუმები და მიდგომები. ეს შეიძლება იყოს სასწავლო უახლესი ტექნიკის პროცესის მეთოდების რეორგანიზაციის იდეა, გამოყენება სწავლებაში, პედაგოგიური ფსიქოლოგიის ახალი მონაცემების გათვალისწინება და ა.შ.

დასავლეთის პედაგოგიკაში თვალშისაცემ დიდაქტიკურ კონცეფციებს შეიძლება მივაკუთვნოთ ტრადიციული პარადიგმა, რაციონალისტური მოდელი და ფენომენოლოგიური მიმართულება. იდეური პლურალიზმის პირობებში ხშირად გვთავაზობენ ისეთ თეორიულ მოდელებს, სადაც ერთდროულად არის ასახული განსხვავებული დიდაქტიკური პარადიგმები.

დიდაქტიკურ ტრადიციონალიზმთან განსაკუთრებით ახლოა სკოლის „კონსერვანტული როლის“ შენარჩუნების იდეა. ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლამ უნდა შეინახოს და მომავალ თაობებს გადასცეს წარსულის კულტურა. სასკოლო განათლების მიზანია ახალგაზრდა თაობისათვის ადამიანური ცივილიზაციის კულტურული ღირებულებების გადაცემა. ტრადიციონალიზმის მომხრეებს გადაწყვეტილი აქვთ ახალი სიცოცხლე მიანიჭონ აკადემიურ განათლებას, რაც ტრადიციული სასწავლო დისციპლინება გულისხმობს სტანდარტული პროგრამების ფარგლებში.

დასავლეთ ევროპაში ტრადიციული დიდაქტიკის გავლენა მუდამ ძლიერი იყო. ტრადიციონალიზმი, მაგალითად, დამახასიათებელია ფრანგული პედაგოგიური აზროვნებისათვის. გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი ალენი (ე. შარტიე) თავის დიდაქტიკურ მითითებებში ერთგულია ფორმალური განათლებისა და მთავარ ყურადღებას უთმობს ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებას. სწავლების მთავარი მიზანი, – ალენის აზრით არის „გონების გიმნასტიკა“, „ცოდნაზე მონადირე მშიერი აზრის“ ჩამოყალიბება. ამას რომ მივაღწიოთ, მოსწავლეს რაც შეიძლება მცირე მოცულობის ცოდნა უნდა მივცეთ. მისივე აზრით, განათლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეებმა აითვისონ ფუნდამენტური იდეები და გამოცდილებანი, რაზეც შემდგომში დაშენდება აუცილებელი პროფესიული ცოდნა. ცოდნის ათვისებასთან ერთად, მოსწავლემ უნდა ისწავლოს საკუთარი შემეცნებითი საქმიანობის მართვა.

ალენის მოსაზრებანი პრინციპულად ემთხვევა ჩვენს პედაგოგიკაში დამკვიდრებულ შეხედულებებს, რომელიც ზოგიერთ ფსევდორეფორმატორს კომუნისტური რეჟიმის პროდუქტი ჰგონია ან მეცხრამეტე საუკუნის უიმედო გადმონაშთად მიიჩნევს. მაგალითად, ალენს მიაჩნია, რომ თუ დაწყებით სკოლაში სწავლების „მთავარი კომპასი“ თვალსაჩინოებაა, საშუალო სკო-

ლაში ძირითადია აბსტრაქტული აზროვნება. მისი აზრით, მოსწავლეს უნდა ვასწავლოთ სიძნელეები მაღალი, მაგრამ მისაწვდომ (!) დონეზე. ამასთან იგი გვირჩევს ჩავრთოთ სწავლების პროცესში თამაშის ელემენტები. ალენს სწამს, რომ შესაძლებელია მოსწავლის ყურადღების დაპყრობა და მართვა, გულგრილობისა და მოწყენილობის დაძლევა სწავლების პროცესში, თუ მას დასაძლევ სიძნელეს შევთავაზებთ, საკუთარ ძალებში დავარწმუნებთ.

ალენის არგუმენტაციამ განვითარება ჰპოვა ზოგიერთ სოციოპედაგოგიურ კონცეფციაში (ჟ. მაჟო, ლ. კარო, ჟ. კაპელი და სხვ.)

სასკოლო განათლების ტრადიციონალიზმისკენ მობრუნების ტენდენცია აშკარად არის გამოხატული ამერიკულ პედაგოგიურ აზროვნებაშიც (გ. კეველტი, დ. რავიჩი, ჩ. ფიჩი და სხვები), სადაც გამოცოცხლდა აკადემიური განათლების იდეა, ისინი თანდათან სცილდებიან პრაგმატიზმს სწავლებაში. ბევრი ამერიკელი მეცნიერი პედაგოგი პირველ პლანზე აყენებს მტკიცე, მეცნიერულად სტრუქტურულ სწავლებას.

დასავლეთის სასკოლო განათლებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სკოლის რაციონალური მოდელი. მის ავტორებს მიაჩნიათ, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობა უნდა დაეუფლოს ცოდნას და შეეგუოს ცხოვრების სოციალურ პირობებს სასკოლო განათლების საშუალებით.

სკოლის რაციონალისტური მოდელის კარგი ილუსტრაციაა „სკოლა“ „ფაბრიკა“ (რაზეც ჩვენ ამ ორი ათეული წლის წინ ვწერდით ქართულ სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალში) გერმანელი პედაგოგი რ. ფინკი ასე ახასიათებს ამ სახის სკოლას და თეორიას: „ისინი ადამიანს უყურებენ, როგორც ნედლეულს, როგორც მასალას, რომელიც დაგემორჩილება (დაემორჩილება დამუშავებას) თუ მართვისა და ზეგავლენის სწორ მეთოდებს გამოვიყენებთ“.

სასკოლო ცოდნას რაციონალისტები განიხილავენ როგორც ობიექტური ფაქტების სისტემას. მასწავლებელი – „მენეჯერი“ არეგულირებს მოსწავლეების მიერ ამ ფაქტების ათვისებას. მოსწავლეთა როლი მეტწილად პასიურია. ისინი ითვისებენ ე.წ. „ქცევის რეპერტუარს“ (ცოდნა, უნარ-ჩვევები), რაც აუცილებელია საზოგადოებაში ცხოვრებისათვის. ასე უცქერიან სასწავლო პროცესს ბიჰევიორისტული (ქცევისმიერი) ორიენტაციის პედაგოგები (ამერიკელები ჰ.ბლუმი, რ. ტაილერი, ბ. სკინერი და სხვები). ისინი ამტკიცებენ, რომ ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება გადავიყვანოთ ქცევისმიერი ტერმინების ენაზე, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანისთვის დამახასიათებელი ყველა სახის რეაქციას (აზრი, გრძნობა და მოქმედება).

სხვა შეხედულება აქვს სასკოლო განათლებაზე ფენომენოლოგიური მიმართულების წარმომადგენლებს. ისინი ქადაგებენ სწავლების ჰუმანურ მიმართულებას და მიაჩნიათ, რომ სწავლება უნდა იყოს პერსონა-

ლური, თითოეული მოსწავლის პიროვნების შესაბამისი ფენომენალური მიმართულების ერთ-ერთი მამამთავარია ამერიკელი მეცნიერი ა.მასლოუ.

დიდაქტიკაში ფენომენალურ მიმართულებას მიეკუთვნება „ახალი პედაგოგიკის“ ზოგიერთი კონცეფცია და თეორია. მაგალითად, „ღია სწავლება“, „არადირექტიული დიდაქტიკა“ დას ხვ. „ღია სწავლების“ წარმომადგენლებმა ააღორძინეს პრაგმატისტული განათლება („სწავლება მოქმედების საშუალებით“). ისინი (მაგალითად, ამერიკელი ჩ.პეტერსონი) მიიჩნევენ, რომ მოსწავლეებს უნდა მიეცეს საშუალება თვითონ აირჩიონ მიზანი, პრობლემები და მოქმედების სახეები. მასწავლებელი ამ შემთხვევაში „შემეცნების წყაროა“, რომელიც აიოლებს შემეცნების პროცესს.

განათლების გლობალურ მიზნად მათ მიაჩნიათ ახალგაზრდა თაობის მიერ სოციალური გამოცდილების საფუძვლების ათვისება: 1. ბუნების, საზოგადოების, ტექნიკის, ადამიანისა და მოქმედების შესახებ ცოდნა; 2. უნარჩვევების განვითარება; 3. შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილება; 4. სამყაროსა და საქმიანობისადმი ემოციურ-ღირებულებითი დამოუკიდებლობის გამოცდილება.

განათლების შინაარსში მთავარი, – მათი აზრით, არის სოციალური დაკვეთა, რომელიც უნდა „ითარგმნოს“ პედაგოგიკის ენაზე. ამისათვის ჯერ უნდა შემუშავდეს განათლების შინაარსის შესახებ ზოგადი თეორიული წარმოდგენები, შემდეგ კი წარმოდგენა სასწავლო საგნის დონეზე, ბოლოს კი წარმოდგენა სასწავლო მასალაზე. ამრიგად, სწავლების შინაარსი რეალურად არსებობს მხოლოდ სასწავლო პროცესში. ეს პროცესი მოითხოვს ინფორმაციის შეგნებულ აღქმასა და მის დამახსოვრებას. მოსწავლესა და მასწავლებლის ურთიერთდაკავშირებული მოქმედება უნდა აისახოს სწავლების მეთოდებში. მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა გაიარონ ცოდნის ათვისების ორი ეტაპი: 1) შეგნებული აღქმა და დამახსოვრება; 2) მისი გამოყენება. ეს დონეები რეალურ სასწავლო პროცესში ვარიანტულად ცვლიან ერთმანეთს.

იაპონიაში განათლების მიზნად მიჩნეულია მომზადების დადგენილი დონის მიღწევა და ახალი ცოდნისა და უნარ-თვისებების ჩამოყალიბება. როგორც იაპონელი მეცნიერები ტაკელა მასანო და სუძუკი სინიჩი აღნიშნავენ, უკანასკნელ წლებში განათლების მიზანმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა: მაღლდება ზოგადი განათლების დონე, შემოღებულია ახალი სასწავლო დისციპლინები და სასწავლო საქმიანობის სახეები და ფორმები. განათლების შინაარსი იცვლება ახალი ცხოვრებისეული პრიორიტეტების შესაბამისად, კერძოდ, დღის წესრიგშია ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობა, განათლების გადაქცევა უფრო მეტად მოტივირებულ პროცესად და ა.შ.

პროგრამების ცვლილებათა შესახებ

სასკოლო პროგრამები მუდმივად იცვლება და კორექტირებას განიცდის მთელ მსოფლიოში. ეს ობიექტური პროცესია, რომელიც ასახავს სკოლის რეაქციას იმ ცვლილებაზე, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში განუწყვეტლივ მომდინარეობს. სასკოლო პროგრამების მყარ, თითქმის უცვლელ ბირთვს წარმოადგენს მშობლიური ენა, ბუნებისმცოდნეობა, მათემატიკა, ფიზიკური მომზადება, უცხოური ენები და ზოგი სხვა საგანიც. მსოფლიოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებობს რამოდენიმე ტიპის სასწავლო პროგრამა. ტრადიციული ტიპის პროგრამაა-სავალდებულო კურსი. სავალდებულო სასწავლო კურსი ათამდეა. ბევრად უფრო მრავალფეროვანი საგნებია წარმოუდგენელი სპეციალურ პროგრამებში, რომელიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა კონტიგენტის ამა თუ იმ ნაწილისათვის.

სპეციალური პროგრამების გამოყენების მასშტაბები დამოკიდებულია მათ შინაარსსა და კონკრეტული ქვეყნის საგანმანათლებლო პროექტებზე. მაგალითად, აშშ-სა და ინგლისში, რომელთა სახელმწიფო ენა ყველაზე მეტად არის გავრცელებული მსოფლიოში, უცხოურ ენას საწავლობს მოსწავლეთა მხოლოდ 50% (უფროსკლასელები). ევროპის ქვეყნებსა და იაპონიაში კი უცხო ენები სავალდებულო საგნების ციკლში შედის. ამ ენებს დიდი ადგილი უკავიათ აგრეთვე სპეციალური პროგრამებში.

ცალკეული პროგრამები შეიძლება სავალდებულო ციკლიდან სპეციალიზებულში გადავიდეს სწავლების საფეხურსა და ამ საგნის მნიშვნელობის გათვალისწინებით. ამის მაგალითია შრომითი სწავლება.

აშშ-ს საშუალო სკოლის უფროს საფეხურზე მოსწავლეთა ერთი მეოთხედი ორიენტირებულია პროფესიულ მომზადებაზე. მოზარდებს საშუალება აქვთ დასპეციალდნენ მწარმოებლური შრომის ამა თუ იმ დარგში.

ინგლისში შრომითი სწავლების პროგრამებს სკოლების 60%-ი იყენებს, სადაც მათ ათვისებაზე იხარჯება სასწავლო დროის 20%-ი. აქ გამოიყენება რამდენიმე ვარიანტი „პროფესია“ „ინდუსტრიული პროექტი”

საფრანგეთის ზოგადსაგანმანათლებლო ლიცეუმში შრომითი სწავლება ფაკულტეტურია. ტექნოლოგიური და პროფესიულ ლიცეუმებში შრომითი სწავლების პროგრამები აუცილებელი საგანთა ნუსხაშია მოქცეული.

იაპონიაში მოსწავლეთა (უფროსკლასელთა) 27%-ზე მეტი გადის შრომით და პიფერიულ მომზადებას.

გერმანიაში ძირითადი სკოლები 70%-ზე მეტი იძლევა შრომით და პროფესიულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს.

70-იანი წლების დასაწყისში დასავლეთში (მათ შორის ჩვენშიც), სპეციალური პროგრამებით აკადემიურ დისციპლინებს სწავლობდნენ მასობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც და ნიჭიერ ბავშვთა სპეციალიზებულ სკოლებშიც. მაგალითად, აშშ-ში სპეციალიზებული სკოლებისათვის იქმნე-

ბოდა მრავალრიცხოვანი „ახალი კურსები“, საბუნებისმეტყველო და ფიზიკა-მათემატიკური ციკლის საგნებში. ამ პროგრამებში ისეთი შინაარსი იყო შეტანილი, რომელიც ადრე მხოლოდ სპეციალისტებისთვის იყო მისაწვდომი. ამან იმ მოსწავლეთა განთესვა გამოიწვია, რომლებიც მათემატიკას, ფიზიკასა და ბუნებისმეტყველებას ვერ სწავლობდნენ.

ტრადიციულის პარალელურად მსოფლიო სასკოლო პრაქტიკაში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ინტეგრირებული პროგრამები. ინტეგრირებული კურსის კლასიკური მაგალითია დაწყებითი სკოლის ბუნებისმცოდნეობის კურსი. ამ კურსში გაერთიანებულია ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის ელემენტები. ამგვარი პროგრამებით სწავლების ხანგრძლივობა მერყეობს 2-დან 6 წლამდე.

(შევნიშნავ, რომ ქართულ პედაგოგიკას აქვს ინტეგრირებული კურსის შექმნის ტრადიცია. ამის მაგალითია იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“).

ინტეგრირებული პროგრამის ამოცანაა გააცნოს მოსწავლეებს შესაბამისი მეცნიერების ძირითადი მოვლენები და ფაქტები, გამოუმუშაოს მათ შესასწავლი მოვლენების კლასიფიკაციისა და შეფასების უნარი, განუვითაროს მეცნიერული ინტუიცია. მათი ავტორები ცდილობენ მუიახლოვონ განათლება თანამედროვე მეცნიერულ დონეს. ამიტომ არის, რომ პროგრამებში რადიკალურად არის შემცირებული, ზოგჯერ სულაც ამოღებულია ზოგიერთი ტრადიციული თემა, სამაგიეროდ შეტანილია მასალები უახლესი ცოდნისა და გამოცდილების მარაგიდან.

ამ პროგრამებში არის ცდა იმისა, რომ მასალები გაერთიანდეს ძირითადი იდეის გარშემო, დაიძლიოს ფრაგმენტულობა განათლებაში, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

ამ ამოცანის გადაწყვეტა რთულია, რადგან ინტეგრირებული კურსები, როგორც წესი, გათვალისწინებულია მოსწავლეთა მასობრივი კონტიგენტისათვის და იგი ვერ ითვალისწინებს სხვადასხვა კატეგორიის მოსწავლეთა მიდრეკილებასა და მოთხოვნილებებს.

სასკოლო პროგრამების ცვლილებები მეტყველებს იმაზე, რომ ნაკლოვანია ენციკლოპედისტური სწავლება, როცა ცდილობენ გვერდი აუარონ სასწავლო მასალის ფაქტოლოგიურ ჩამოთვლას და აყალიბებენ მოთხოვნებს, რამაც უნდა განსაზღვროს სწავლების სტრატეგია. ამავე დროს აუცილებლად არის მიჩნეული მყარი საბაზო მომზადება.

წამყვან ქვეყნებში სასკოლო განათლების პროგრამებს თუ ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ, რომ დღეისათვის არსებობს ორი სხვადასხვა პოზიცია სავალდებულო და ილექტიური განათლების პროპორციულობისადმი მიდგომაში. აშშ-სა და ინგლისში საბაზო გეგმები მოიცავენ შედარებით ნაკლებ წრეს საგნებისას საშუალო განათლების დონეზე, ვიდრე ეს არის გერმანიაში, საფრანგეთში, იაპონიასა და რუსეთში.

იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც 60-იან წლებში დაიწყეს სასკოლო განათლების შინაარსის შეცვლა, პირველი იყო ამერიკის შეერთებული შტატები. 60-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში განათლების შესახებ იმდენი საკანონმდებლო აქტი მიიღეს, რამდენიც ამ ქვეყნის მთელი ისტორიის განმავლობაში არ მიუღიათ.

აშშ-ში დაწყებითი სკოლის პროგრამების რეფორმა მიმდინარეობდა „ძირითადი ჩვევების" კონცეფციის აშკარა ზეგავლენით. ეს კონცეფცია გულისხმობს, პირველ ყოვლისა, მოსწავლეთა მიერ ძირითადი ჩვევების – კითხვა-წერის, ანგარიშის, აშშ-ს სოციალურ-პოლიტიკური წყების შესახებ ფუნდამენტური წარმოდგენების, საზოგადოებრივი მორალისა და ქცევის ნორმების მტკიცედ დაუფლებას; ხელს უწყობენ „წინმსწრები პროგრამების" განხორციელებას იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც ცოდნას ღებულობდნენ სტანდარტების ზევით. სართოდ, პროგრამები გართულდა. მაგალითად, დაწყებით სკოლაში გადმოიტანეს ცოდნის ის ელემენტები, რომელიც ტრადიციულად საშუალო სკოლაში ისწავლებოდა.

პროგრამების მოდერნიზაციას ძირითადი ყურადღება მიექცა საშუალო სკოლის რეფორმის პროცესშიც. მომზადდა ახალი პროექტები მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, მათში შევიდა ეკოლოგიის, გენეტიკის, ბიოქიმიისა და სხვა თანამედროვე მეცნიერული საკითხები. ახალი პროგრამები ორიენტირებული იყო მოსწავლეთა ინტელექტუალურ ელიტაზე.

1961 წელს აშშ-ში დაიწყო უფროსი საშუალო სკოლის რეფორმა „ხუთი ბაზისის" პრინციპის საფუძველზე. იგი იმაში მდგომარეობდა, რომ სავალდებულო სწავლება მცირდებოდა 5 კონცენტრამდე: ინგლისური ენა და ლიტერატურა (4 წელი:1 წელი უმცროს, 3 წელი უფროს საშუალო სკოლაში), მათემატიკა (4 წელი: I წელი უმცროს, 3 წელი უფროს საშუალო სკოლაში), სოციალური მეცნიერებანი (3 წელი უფროს საშუალო სკოლაში), კომპიუტერული სწავლება (0,5 წელი უფროს საშუალო სკოლაში), ყოველი მიმართულება რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. მაგალითად, ბაზისი „მათემატიკა" – ალგებრის, გეოგრაფიის, ტრიგონომეტრიის, საქმის წარმოებისა და ინფორმატიკისაგან. ხუთი სავალდებულო მიმართულებებისათვის შეიქმნა ახალი სასწავლო კურსები სრული და შეკვეცილი პროგრამებით, ისე, რომ სრული პროგამით მხოლოდ ერთი ნაწილი სწავლობდა. 80-იანი წლების დასაწყისში „ხუთი ბაზისის" მოთხოვნით მუშაობდა უფროსი საშუალო სკოლის 90%.

„ბაზისებრის" შემოღება ნიშნავს არა მარტო სავალდებულო განათლების შეკვეცას, არამედ ამავე დროს ხელს უწყობდა ელექტიური (არჩევითი) კურსების დანერგვასაც. ამის შედეგად 80-იანი წლების დასაწყისში ელექტიურმა კურსებმა დაწყებით კლასში სასწავლო დროის ბიუჯეტის 35% დაიკავა.

აშს-ს ზოგიერთ სკოლაში, მაგალითად, სან-ფრანცისკოს სკოლაში, სავალდებულო ბაზისის რაოდენობა სამ კონცენტრამდე შემცირდა: ინგლისური ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და სიციალური მეცნიერებები. ამავე დროს მკვეთრად გადიდდა ვიწროსპეციალური, უტილიტარული კურსების რაოდენობა. ანალოგიურად შემცირდა ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კურსები. არცერთ შტატში სავალდებულოდ აღარ ითვლებოდა უცხოური ენის შესწავლა. მხოლოდ მოსწავლეთა უმცირესობა ეუფლება სრული პროგრამით ისეთ სამეცნიერო დისციპლინებს, როგორც არის ფიზიკა (16%), ქიმია (35%), ბიოლოგია (35%).

საბაზო განათლების დროისა და მოცულობის შემცირებამ სწავლების ხარისხი არა თუ არ აამაღლა, არამედ შეამცირა კიდეც. ჟურნალ "ნიუს-უიკის" მონაცემებით, 1988 წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მესამედმა არაფერი იცოდა მოლეკულის შესახებ, ექვსიდან ხუთს წარმოდგენა არ ჰქონდა გენურ ინჟინერიაზე, ორ მესანედს რადიაციაზე და ა.შ.

რეფორმის ამგვარი მოვლენების ფონზე ამერიკაში დაიწყო მოძრაობა – „უკან საფუძვლებისაკენ", რომლის მიზანი იყო არსებული მდგომარეობის გამოსწორება. ამ მიზნით დაიწყო სრული საშუალო განათლების სავალდებულო ნაწილის გაფართოება.

დასავლეთ ევროპაში სასკოლო პროგრამების რეფორმები ისეთსავე პოლიტიკას მიჰყვებოდა, როგორიც აშშ-ში ხორციელდებოდა. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ამერიკელმა დიქტატმა განათლებაში აღმოსავლეთი ევროპა და პოსტსაბჭოთა სივრცეც დაიბყრო.

ინგლისში რეფორმები ძირითადად გაერთიანებულ სკოლებს შეეხო. აქ სასწავლო დროის ნახევარი დაეთმო ე.წ. ბირთვის – სავალდებულო საბაზო სასწავლო დისციპლინების სწავლებას; მეორე ნახევარი დაიკავა არჩევითი სავალდებულო საგნების სწავლებამ. 1988 წლამდე საბაზო ბირთვში შედიოდა 4 საგანი: ინგლისური ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, რელიგია, ფიზიკური აღზრდა. შემდეგ ბირთვის შემადგენლობა შეიცვალა: ფიზიკური აღზრდის ადგილი დაიკავა ბუნებისმცოდნეობამ. პროგრამის დარჩენილი ნაწილი ძველებურად არჩევითი კურსების მიხედვით არის შედგენილი.

გერმანიაში საქმე ამგვარად არის: ძირითად სკოლაში, რეალურ სასწავლებელში, გიმნაზიაში გამოიყენება ასეთი პროგრამები, რომლებშიც საბაზო დისციპლინებთან ერთად შეტანილია ასარჩევ საგანთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

გიმნაზიური განათლება ექვს ძირითად პროფილს გულისხმობს: ტექნიკურს, სასოფლო-სამეურნეოს, ტექნიკურ-ტექნოლოგიურს, საზოგადოებრივ-სამეცნიეროს, მუსიკალური, კომუნალურ-სამეურნეოს. გიმნაზიის დაბალ საფეხურზე მოსწავლეები ირჩევენ სასწავლო დისციპლინითა ერთ-ერთ „პაკეტს",

რომელიც შემდგომ სავალდებულოა მათთვის. სასწავლებლის განმავლობაში გიმნაზიელებს სთავაზობენ დიდი რაოდენობით არჩევით კურსებს. გიმნაზიური განათლების პროფილები დიდ შესაძლებლობებს უქმნის მოსწავლეებს. მაგალითად საზოგადოებრივ-სამეცნიერო მიმართულების პროგრამაში გათვალისწინებულია საზოგადოებათ მცოდნეობის, გეოგრაფიის, ისტორიის, პედაგოგიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, იურისპუდენციის, თეოლოგიის, სოციოლოგიის, ეკონომიკის სწავლება. ამ განხრის უფროს კლასებში სავალდებულოა ორი პროფილური პროგრამის ათვისება: მათემატიკის ან უცხოური ენისა და საბუნებისმეტყველო დისციპლინების პროგრამებისა.

70-90-იანი წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა ზოგადი განათლების პროგრამები საფრანგეთში. კერძოდ, სამჯერ განხორციელდა დაქყებითი სკოლის პროგრამების რეფორმა. 70-იან წლებში იგი ორ ნაწილად იყო გაყოფილი: საბაზოდ (ფრანგული ენა და ლიტერატურა და მათემატიკა) და განმავითარებლად (ისტორია, გეოგრაფია, საზოგადოებადმცოდნეობა, ბუნებისმცოდნეობა, შრომითი სწავლება, ფიზიკური და ესთეტიური აღზრდა). სასწავლო კვირა სამი ნაწილისაგან შედგებოდა: საბაზო დისციპლინებში – 10+5 საათი, განმავითარებელ დისციპლინებში – 12 სააღი. პროგრამებში მოცემული იყო ორი განყოფილება: სავალდებულო და სარეკომენდაციო.

1985 წელს მიღებულ იქნა ახალი სასწავლო გეგმა, რომლითაც განისაზღვრა 7 პრიორიტეტული მიმართულება: ფრანგული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდა, ფიზიკური აღზრდა. ამავე პერიოდში პროგრამებში შეიკვეცა შრომითი სწავლება და იგი ტექნოლოგიის კურსს შეუერთდა. პროგრამაშიშეიტანეს უცხოური ენის სწავლება.

კოლეჯების შექმნასთან დაკავშირებით შემუშავდა ახალი პროგრამები, კოლეჯში სწავლება ოთხწლიანია. იგი ორ-ორ წლიან ციკლებს მოიცავს: დაკვირვებასა და ორიენტაციებს. მთელი სწავლების პერიოდში მოსწავლეები შეისწავლიან საერთო პროგრამით გათვალისწინებულ საგნებს: ფრანგულ ენას და მათმატიკას, უცხოურ ენას, ინტეგრირებულ კურსებს – ისტორია-გეოგრაფია-ეკონომიკა, საზოგადოებადმცოდნეობა, ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგია, ხელოვნება, ტექნიკურ-შრომითი სწავლება, ფიზიკური აღზრდა და სპორტი. მეორე ციკლში შეისწავლება ერთ-ერთი არჩევითი საგანი, ლათინური, ბერძნული, მეორე უცხოური ენა, ტექნოლოგიური დისციპლინა.

70-80-იანი წლებში ჩამოყალიბდა 3 ტიპის პროგრამები ზოგადი განათლების დამამთავრებელი ეტაპისათვის: ზოგადსაგანმანათლებლო ლიცეუმისათვის (3 წელი), ტექნოლოგიური ლიცეუმისათვის (3 წელი) პროფესიული ლიცეუმისათვის (2 წელი).

თავისებურად ხორციელდება სასკოლო პროგრამების რეფორმა იაპონიაში. აქ სხვაგვარად უდგებიან სავალდებულო პროგრამების შეკვეცის იდეას. სასწავლო პროგრამები ითვალისწინებენ სავალდებულო საგნების ფართო წრესა და ცოდნის დიდ მოცულობას. როგორც იაპონელი მეცნიერი კაძეო ისიაკა აღნიშნავს, თუ ამერიკულ საშუალო განათლებას შეიძლება ზედმეტი მრავალფეროვნება ვუსაყვედურით, იაპონური სკოლისადმი მხოლოდ გადაჭარბებული უნიფორმის გამო გვექნება პრეტენზიები.

60-90-იანი წლებში ზოგადი განათლების პრობლემებმა იაპონიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მიღებულ იქნა დაწყებითი, უმცროსი და საშუალო სკოლის ახალი პროგრამები.

რეფორმის შედეგად დაწყებითი სკოლის პროგრამებში შეიტანეს ახალი საგნები: საზოგადოებისმცოდნეობა და მორალი, სეიკაცუს (სიცოცხლის შესახებ), უცხოური (ინგლისური) ენა. შემუშავდა საგანმანათლებლო სტანდარტები იაპონურ ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმცოდნეობაში.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა უფროსმა საშუალო სკოლამ. რეფორმის ერთ-ერთი ამოცანა იყო სასწავლო პროგრამების დივერსიფიკაციის საშუალებით სხვადასხვა მახასიათებლების მქონე სასწავლო დაწესებულებების ჩამოყალიბება.

ეროვნულ სტანდარტებში გათვალისწინებულ იქნა სავალდებულო პროგრამების 2 კა-ტეგორია: ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური. პირველი კატეგორია გათვალისწინებული იყო იმათთვის, ვისაც განზრახული აქვს სწავლა განაგრძოს უნივერსიტეტში ან მუშაობა კონკრეტულ საქმიანობაზე ორიენტაციის გარეშე, სპეციალური განხრით, ვინც უკვე აირჩია საქმიანობის განსაზღვრული სფერო: სოფლის მეურნეობა, ინდუსტრია, კომერცია და ა.შ.

ყველა სკოლას მიეთითა იმის თაობაზე, რომ ერთმანეთს უნდა შერწყმოდა სავალდებულო და სპეციალური მომზადება.ყველასათვის აუცილებელი გახდა სავალდებულო განათლების განსაზღვრული მინიმუმის ათვისება.

უფროს საშუალო სკოლაში დიფერენცირებული პროგრამების უფრო ფართოდ დანერგვის მიზნით, 1991 წელს შემუშავდა ახალი მიდგომა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეთა უმრავლესობას საშუალება აქვს თავისი ინდივიდუალური მონაცემების მიხედვით აირჩიონ საგნები და არ ისწავლოს ერთფეროვანი, ყველასათვის სავალდებულო პროგრამებით.

ახალ პროგრამებში კვლავაც პრიორიტეტი აქვს მინიჭებული საბაზო განათლებას. გათვალისწინებულია 3 ტიპის (სახის) პროგრამა: სავალდებულო, სპეციალური, ინტეგრირებული.

სავალდებულო, პროგრამა ითვალისწინებს 9 სავალდებულო კონცენტრს. ამასთან, რესტრუქტურიზებულია მანმადე არსებული კონცენტრები. ზოგიერთი არჩევითი კონცენტრი

სავალდებულოდ იქცა. შემოღებულია ახალი კონცენტრი – „ინტეგრირებული სამეცნიერო ცოდნა“, რომლის თერაპიაში ყურადღებაა გასამახვილებელი ენერგორესურსების, ენერგეტიკისა და ბიოტექნოლოგიის აქტუალურ საკითხებზე.

1994 წლამდე დიფერენცირებული კურსი დაშვებული იყო მხოლოდ ერთ სავალდებულო კონცენტრში – „ხელოვნებაში“. ამჟამად მოსწავლეებს უფლება აქვთ ისეთი არჩევანი გააკეთონ 4 სავალდებულო კონცენტრში: „გეოგრაფია და ისტორია“ „მოქალაქეობადმცოდნეობა”, „ინტეგრირებული სამეცნიერო ცოდნა“. ამაცე დროს, ისინი ვალდებულნი არიან აირჩიონ 11-12 კურსი სავალდებულო ცოდნის“ კონცენტრიდენ შეიძლება აირჩიონ ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის ან გეოგრაფიის კურსი.

უფრო საშუალო სკოლაში სიახლეა ინტეგრირებული პროგრამები. ამ პროგრამების დანერგვა დაიწყო 1994 წლიდან. მათი მიზანია მოსწავლეებს ერთდროულად მიეცეთ ზოგადი და სპეციალური მომზადება.

სასკოლო სავალდებულო პროგრამების შეკვეცა მხოლოდ მიმდინარეობს. უმრავლესი საშუალო სკოლის პედაგოგები და მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევენ, რომ ასეთი შეკვეცა უარყოფითად იმოქმედებს საერთო მომზადებაზე.

ასევე ნელა ინერგება 3-კომპონენტიანი პროგრამები. ამ შეფერხების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სპეციალისტები კადრების ნაკლებობას მიიჩნევენ. სასკოლო პროგრამების რეფორმები, – როგორც მსოფლიო გამოჩენილი მეცნიერები მიიჩნევენ, დროის მოთხოვნებს შეესაბამება და გამართლებულია სოციალური და პედაგოგიური თვალსაზრისით. ამასთან, არის იმის საშუალება, რომ მეტისმეტად ადრე განხორციელდეს სწავლების დიფერენციაცია, გაუმართლებლად შემცირდეს სავალდებულო ცოდნის მოცულობა და გაიზარდოს არჩევითი კურსების სწავლების მასშტაბები ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ერთობ ღრმად წავიდა ასეთი რეფორმები (აშშ, ინგლისი), უკვე დაისახა საბაზო პროგრამების გაფართოების ტენდენცია.

სასწავლო პროგრამების მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საჭიროა თავი ავარიდოთ უკიდურესობებს. ყველაზე სწორია ასეთი რეფორმების შემუშავება, რაც დაბალანსებული იქნება სავალდებულო, სპეციალიზაციისა და ინტეგრაციის პრინციპების შესაბამისად.

ზურაბ ცუცქირიძე
პედაგოგიკის დოქტორი,
საქართველოს განათლების
აკადემიის წევრი

ნინო ორჯონიკიძე
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ-
ელობისსახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი,
პედაგოგიკის დოქტორი.

ნოველად ქცეული გაკვეთილი

უშორესი ეპოქების ლაბირინთებიდან, გზადაგზა ნაპოვნ მინდვრის ყვავილებს: უფლის საჩუქარზე, ქართულ ენაზე, გამოთქმულ მოსაზრებებს, ჰიპოტეზებს, მეცნიერთა და ხელოვანთა მარგალიტებს, ჟამთასვლის შარაგზებზე ხეტიალისას ნაპოვნ თაიგულს, დედაენის პირველქმნილი სურნელი ასდით...

უკვდავი სულია ქართული ენა... საგალობელს ჰგავს... სასწაულთმოქმედს შეუძლია სამყაროს დიდი წიგნის სტრიქონებს გვაზიაროს... შეუძლია, აღმზრდელთ ლამაზ ნოველად უქციოს გაკვეთილი...

აქაც იფრქვევა მისი სასწაულმოქმედი სურნელი... ის შეუსრუტავთ საკლასო ოთახის კედლებს, პატარა სივრცეს, უკვდავ წარწერებს, წიგნებს, ხან ზღვისფრად, ხან ცისარტყელის მსგავსად აფერადებულ ეკრანს... სწორედ ის სურნელი მიგვაცილებს ხიდისკენ, რომელსაც ჰქვია ეპოქათა გადაძახილი... პათეტიკა, დიდაქტიკა, კითხვების გორა...

* * *

"ქართული ენა – ეს ღმერთების ენაა"

იოანე ზოსიმე

"მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის"

ილია ჭავჭავაძე

"დედაენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული"...

იაკობ გოგებაშვილი

ახალთაობის წესიერად აღზრდისათვის საჭიროა
დედაენაზე სწავლება

ვაჟა-ფშაველა

...მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით
იგი მსოფლიო ენაა

ნიკო მარი

ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა!
იმოდენაა!

მუხრან მაჭავარიანი

ქართული ენა არის ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელი, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისევე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამამთავრისა. მასშია მთელი საქართველო.

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლოკოს-პატრიარქი

* * *

ენავ ქართულო...

აზვირთებულმა ეპოქებმა, ხან ბილიკების, ხან შარაგზების, დიდხანს გატარა...

ოქროს საწმისზე ამოქარგულო, არავინ იცის, როგორი იყო შენი თავდაპირველი ხატება.

არავინ უწყის, ქანდაკად ქცეულს, გვირისტით შემკულს, სხივებად დაღვრილს, ქმნის დიად წამებში, შორეულ წარსულში, რა გიწოდეს ლეგენდარულმა შემოქმედებმა: ლირიზმი, ენიგმა თუ სამყაროს ფრაგმენტი.

უძველესო და ღვთივკურთხეულო მარადისობავ, სამყაროსეულ ბილიკებს დასაბამიდან ესმით შენი ფეხისხმა და ქვეყნიერებაზე, ასევე, შენთან ერთად, ფეთქავენ და მოგზაურობენ ჩვენივე მსგავსნი.

სადღაც უშორეს „სარკოფაგებში“ თვლემენ ენები, სხვათა და სხვათა, დროს ვერ უძლებენ... ამბობენ, თითქოს, შენ ხარ აზიისა და შუამდინარეთის ძველ ცივილიზაციებთან, ხეთურ, ელამურ, ურარტულ, შუმერულ და პელაზგურ მკვდარ ენებთან წილნაყარი...

ალბათ, ებრაული და ქართული ენით შთაგონებულმა ქურუმებმა შეგქმნეს, თავიანთ სამფლობელოში, უფლისციხეში... იქნებ, ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში მოევლინა ქვეყნიერებას, მაშინ, როდესაც მეფე ფარნავაზმა, მთავარ ღმერთებად არმაზი, გაც და გაიმ გამოაცხადა...

ანტონ II კათალიკოსის „მატიანე შემეცნებათას“ დროგადასულ სტრიქონებში, ფერმკთალ ფურცლებში, ჩაკირულან იდუმალი სტრიქონები: „არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი ჟამთაცა შინა ვიდრე ფარნავაზამდე“...

მერე?.. ფარნავაზმა, ჩვენი ანბანი, წარმართული ტაძრიდან ყველასათვის გამოიხმო და: „ამან (ფარნავაზმა) განავრცო ენა ქართული“...

„... და მან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

დროთა არმურიდან შენი გაორებული ისტორია გვეხმიანება...

...მგონი, ბურუსიც აგედევნა დასაბამიდან, ისევე, როგორც ბედნიერებას აედევნება ტრაგიზმი, მშვენიერებას – სიმახინჯე და შუქს – სიბნელე.

თუმცა ანდაზები გვასწავლიან:

ჭექა-ქუხილის წინ ტყე ირინდებაო...

წვიმის წინ ყვავილები უფრო მძაფრად აფრქვევენო სურნელს...

სწორედ ასე ხარ... ქარტეხილების მშფოთვარებაში, დიად სიმშ-

ვიდესა და ადამიანთა უსასრულო მსახურებაში, კიდევ უფრო ამაღლებულხარ, განმტკიცებულხარ, დამშვენებულხარ, ცას ასწვდომია შენი დიდება...

ოაზისო... თავისთავადო, გამორჩეულო... სამყაროს მრავალ ენათა წყაროსთვალიდან ფშაო-გამომავალო...

ოცი მშფოთვარე საუკუნე დამაშვრალხარ, ენავ-ქურუმო... მწერლობასა და ეკლესიის, სახელმწიფოს მსახურებაში. ამდენივე ჟამთასვლას უძლებს, ბასკურ-ქართული ჰიპოთეზაც... (პირინეის ნახევარკუნძულზე, ესპანეთისა და საფრანგეთის ტერიტორიის გარკვეულ მონაკვეთზე არსებულ ენებთან ქართულის ნათესაური კავშირის შესახებ...)

არ ვიცით ვინ შეგქმნა, ჭარმაგო რაინდო, ვინ შეგმოსა წარმართული მზეღვთაების სხივით, როგორ მოგმადლა უკვდავი სული, სიწმინდე, სიმტკიცე და როგორ გადმოულოცა იგი დღევანდელობას...

შენი საიდუმლოს გასაღებს ჯერ დავათის სტელაში-(ახ. წ. IV საუკუნე), მერე ბოლნისის სიონის წარწერებში – (492-493წწ), ეძებდნენ... ბოლოს... ნეკრესში-1990-იანი, 2000-2003 წლებში, მითრას კულტის სახელზე აშენებული ტაძრის ნაშთებში...

გეძებდნენ:

“არაქრისტიანული, ლაბირინთებიანი, დანგრეულკედლებიანი მზის ტაძრის საძირკველში“;

„ყველაზე ძველი ქრისტიანული ეკლესიის ნაშთებში“;

„ქართული დამწერლობის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშებში“.

კახეთის ამ უძველესი სამეფო ქალაქის მიწის ქვეშ, ათასი წლის ისტორიაა ჩამარხული...

ძველი წელთაღრიცხვით II საუკუნეში, ქართლის მეფე ფარნაჯომს აუგია საუფლო ქალაქი;

ახალი წელთაღრიცხვით მე-8 საუკუნეში, არაბი სარდლის, მურვან-ყრუს, მახვილს დაუსვამს წერტილი ნეკრესისთვის და...

ათას ორასი წლის წინათ, საქართველოს რუკიდან გამქრალია იგი...

უკვდავო ქართველო ენავ, სვანურით, მეგრულით, ლაზურით... სხვა ყველა კუთხის თავისთავადი მეტყველებითა და... ასომთავრულით, ნუსხურით, მხედრულით შემკულო...

იდუმალი ანბანური სასახლეების სენაკებისკენ გადაშლილა შენკენ მავალი გზის დასაწყისი და რომელსაც არ აქვს დასასრული...

როგორ ჩაფლულხარ გამოცანებში, მთელი სამყარო კი ჩართულა მათ ამოხსნაში:

ანტიკური ხანის თეორია: კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობის შესახებ... ჰეროდოტეს (Vს. ძვ. წ.) თვალსაზრისი, რომ ორივე ხალხს ენა და ცხოვრების წესი მსგავსი აქვს...

ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე ბაიერი: ქართული შრიფტი ეგვიპტურს ჰგავს...

მე-17-18 საუკუნეები, ევროპელი მეცნიერების თავდაპირველი შეხედულება: კაცობრიობის ენების პრაენა ებრაულია...

მერე უარყოფა იდეისა...

მე-19 საუკუნე... ევროპელი მეცნიერები: ფრანც ბოპი, მარი ბროსე: ქართული ენა ევროპული ენების მონათესავეა... ისევ უარყოფა იდეისა...

გერმანელი გრამატიკოსისა და ლექსიკოგრაფის, იოჰან კრისტოფ ადელუნგის, ჰიპოტეზა... ქართული ენა აზიის ენათა ჯგუფშია...

ყველაზე სარწმუნოდ მიჩნეული გერმანელ-ინგლისელი ფილოლოგის, ენათმეცნიერ ფრიდრიხ მაქს მიულერის, პოზიცია:

ქართულ-კავკასიური ენები დამოკიდებულ ენათა გადმონაშთია...

თამაზ ჩხენკველი: „ქებაი და დიდებაი“ ტექსტი დაშიფრულია...

ალექსანდრე ცაგარელი, კორნელი კეკელიძე, პავლე ინგოროყვა:

„ქებაი და დიდებაის“ განმარტება: „ქართული უფლის ენაა, სხვაზე აღმატებული და უკეთესი. მეორედ მოსვლის შემდეგ უფალი ქართულად განიკითხავს“;

ჰემატრიული კოდის გაშიფრვის ავტორი, პროფესორი ალეკო ცინცაძე:

ქართული ანბანი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1000 წლით ადრე არსებობდა, ჩვენი ძირი კი ქალდეაშია...

ჰიპოთეზები...

“დიდი ბრიტანეთის მეცნიერთა კვლევების შედეგები – “ქართული ენა” მსოფლიო ენების „დედაენაა“:

ბრიტანეთის რიდინგის უნივერსიტეტის პროფესორი მარკ პეიგელი:

“კაცობრიობის უნივერსალური ენის არსებობის იდეა სათავეს ბიბლიიდან იღებს, სადაც ადამიანები საერთო ენაზე საუბრობდნენ, თუმცა ბაბილონის გოდოლის მშენებლობისთვის ჩვენ დავისაჯეთ და სხვადასხვა ენაზე ავლაპარაკდით. საერთო ენის წარმომავლობის ამ ვერსიას ყველა ლინგვისტი არ იზიარებს.

მკვლევართა ნაწილი ფიქრობდა, რომ ენის ფესვების მიკვლევა მხოლოდ 3 ან 8 ათასი წლის უკან არის შესაძლებელი, თუმცა შესაძლებლობა გვაქვს ენის 15 ათასი წლის წინანდელ პერიოდამდე გავყვეთ, რომელიც უკანასკნელი გამყინვარების ხანის დასასრულს შეესაბამება.“

მოსაზრებები...

ევროპელი და აზიელი ადამიანების წინაპრები საერთო ენაზე საუბრობდნენ...

დღევანდელი მსოფლიოს ენებს ერთი საერთო წინაპარი ჰყავს და ეს წინაპარი საქართველოში დაიბადა“...

ეკრანიდან ჟღერს უახლესი არქეოლოგიური მონაცემები:

ადამიანი ერთი ცენტრიდან აფრიკის აღმოსავლეთში წარმოიშვა, ეკოლოგიური პირობების გაუარესების გამო, ჩრდილოეთისკენ,

პალესტინის გავლით, დმანისის ტერიტორიაზე მოხვდა, აქედან გაგრძელდაო მათი მიგრაცია ევროპისკენ.

ამიტომ პირველი ევროპელების სამშობლოდ დმანისია აღიარებული...

ბრიტანელ მეცნიერთა აზრით, ქართული ენა შესაძლოა კაცობრიობის პირველი ენის მემკვიდრეა... მათი თქმით, ბაბილონის გოდოლამდე ხალხი საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილ, ერთ ენაზე საუბრობდა, ამიტომ მის 15 ათასი წლის წინანდელ კვალს საქართველოშიც ხედავენ...

* * *

...დასრულდა ნოველა-გაკვეთილი... სად? რა? როგორ? იდუმალ კითხვებად ქცეული... მე მოგიძღვენით ყვავილები... თაიგულივით შეკრული, მორთული... მერე დავფანტე თითო-თითოდ, რათა გესწავლათ მისი თითოეული ღერო, ფოთოლი, გვირგვინის ფურცელი...

...ოთახში ისმის ცნობისწადილით შებყრობილთა ხმები, შეძახილები და კითხვები... აჰა, პასუხიც:

მე ჯერ კიდევ ვეძებ წარსულის ლაბირინთებში ჩაკარგული დედაენის პირველქმნილ სურნელს სხვა თაიგულებს...

ლამარა გერგედავა
ქ. თბილისის №167-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი

ღონიერი და ჭირთა-მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია.

ილია ჭავჭავაძე

ქვეყნის სამსახურისთვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა საფუძვლიანი განათლება, მრავალგვარი ცოდნა.

იაკობ გოგებაშვილი

იაკობ გოგებაშვილი
(1840-1912)

„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი“ – პოეტის ეს სტრიქონები სრულიად მიესადაგება დიდ იაკობს. მან ხომ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, თავისი წილი ბედნიერება ქართველი ერის კეთილდღეობის სამსხვერპლოზე ზვარაკად მიიტანა.

ილია წერდა: „მამულის სიტყვას მამულისშვილი ყურს უგდებს არა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისთვისაც დუმილიც გასაგონია... საქმე კი საქმეშია, შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ?..“ იაკობი სწორედ თავისმა საქმემ წარმოაჩინა, როგორც დიდი მამულიშვილი. იგი ქართველი ხალხის განათლების, კულტურისა და სოციალურეკონომიკური დაწინაურებისათვის ბრძოლაში ყოველთვის მხარში ედგა ეროვნული მოძრაობის ლიდერს ილია ჭავჭავაძეს: „ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი – აი, ეს ორი სახელოვანი ადამიანი იყო იმ დროს ქართველი საზოგადოების ნამდვილი პატრონი, მოამაგე და ჭირისუფალი. თუ რაიმე პოლიტიკის შესახებ წამოიჭრებოდა საკითხი და გაზეთში მტრისთვის პასუხის გაცემა იქნებოდა საჭირო, მაშინვე ყველა ილია ჭავჭავაძეს მიაპყრობდა თვალებს: ვნახოთ, რას იტყვის ილია, მარტო იმას შეუძლია მტერს პირი დააყოფინოსო, ჩვენს თავს აბუჩად არავის ააგდებინებსო... მეორე მხრით, როცა სწავლა-აღზრდის შესახებ საკითხები წამოიჭრებოდა, როცა სკოლაში ქართული ენის სწავლების აუცილებლობის შესახებ საქმე იყო გასარჩევი თუ გადასაწყვეტი – იაკობ გოგებაშვილს დავუწყებდით ცქერას: ის იყო ქართველთა საესავი, მისგან მოელოდნენ გაჭირვებისაგან ხსნას“ – წერდა თედო სახოკია.

„არ ეწყინება ყოვლადძლიერსო, –
და ჩვენში წინათ, ძალიან ხშირად,
პინას, რომელზეც იდგა იესო,
მამულიანი სჯაბნიდა პინა.
არაფერია, თუ მკითხავთ, ახლაც,
ღირსი დადგომის მამულზე მაღლა!“

მუხრან მაჭავარიანი

როგორც მოგეხსენებათ, იაკობი გორის რაიონის სოფელ ვარიანში დაიბადა, ღარიბი მღვდლის ოჯახში. სწავლაგანათლება ჯერ გორის, შემდეგ თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, 1855 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1861 წლიდან სწავლობდა კიევის სასულიერო აკადემიაში და ლექციებს ისმენდა საბუნებისმეტყველო დისციპლინებში.

უაღრესად ჰუმანური, კეთილშობილი თვისებებით დაჯილდოებული დიდი პედაგოგი ერთხანს თბილისის სასულიერო სემინარიაში მოღვაწეობდა ზედამხედველად, სადაც საკმაოდ უსიამოვნო ფაქტი შეემთხვა; ამ სულკურთხეულ კაცს, სხვა ცილისმწამებლურ ბრალდებებთან ერთად სახელმწიფო თანხის გაფლანგვაც დააბრალეს. იაკობს თავის დაცვის უფლებაც აღარ მისცეს და სინოდის ობერპროკურორის რწმუნებულ კერსკის ბრძანე-

ბით სემინარიიდან გაათავისუფლეს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება. ყოველივე კი იაკობის ეროვნული პოზიციით და პროგრესული პედაგოგიური მოღვაწეობით იყო გამოწვეული. დიდი პედაგოგისათვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო სემინარიაში გამეფებული მკაცრი რეჟიმი, მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა. გაკვეთილების უაზრო დაზეპირების ნაცვლად მოსწავლეებისგან შემოქმედებით აზროვნებას მოითხოვდა, ამასთან წინა პლანზე აყენებდა ეროვნულ საკითხს, რაც სინოდისა და მეფის ხელისუფლების უკმაყოფილებას იწვევდა.

იაკობს ერთხანს თავის მოკვლაც ჰქონია გადაწყვეტილი, თუმცა მამულის სამსახურზე ფიქრმა იხსნა მისი სიცოცხლე... „დავწვი მე ჩემი გეგმები, რომ უკან დაბრუნება აღარ შემეძლოს... ამიერიდან მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემს ქვეყანას უნდა მოვახმარო“, – წერდა სემინარიის ატესტატის, აკადემიის მოწმობის, სამსახურებრივი სიისა და სხვა საბუთების განადგურების შემდეგ.

იაკობს სხვა სახელმწიფოებრივ სამსახურში აღარ უმსახურია, იგი მხოლოდ ერის კულტურული და პედაგოგიური განვითარების საქმეს ემსახურებოდა: 1865 წელს გამოსცა „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, 1868 წელს „ბუნების კარი“, 1876 წელს – „დედა ენა“, 1887 წელს „რუსკოე სლოვო“, რომელიც რუსულ ენაზე შესასწავლი ქართული სულია ყმაწვილთათვის. „ჩვენი ქვეყნის სასწავლებლებში ადგილობრივ ენათაგან მარტო ქართული უნდა იქნეს სავალდებულო“ – წერდა დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებისადმი მიმართვაში.

იაკობი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მომავალი თაობის პატრიოტულ აღზრდას, რაშიც გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა საქართველოს ისტორიიდან სამშობლოს სიყვარულის, თავდადების, გმირობის მაგალითების წარმოდგენას სასკოლო სახელმძღვანელოებში. მისი თქმით, „ისტორიულს მოთხრობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ბავშვის აღზრდაში. საუკეთესო მამულისშვილების მხურვალე სიყვარული თავისი ქვეყნის, თავისი სარგებლობის დავიწყება მისი სიკეთისათვის და თავდადება მამულის ბედნიერებისათვის, უპირველეს ღონისძიებად ირიცხებიან ჩასანერგად და აღსაზრდელად მოზარდი თაობის შორის ზნის პრინციპისა... მაღალი ზნის მასწავლებელი ეპიზოდებით სავსეა ჩვენი ხანგრძლივი და მღელვარე ისტორიული წარსული.

ზოგი თავდადებით ებრძვის გარეგანს მტრებს, ზოგი – შინაგან მტრისგან იფარვის და იხსნის ქვეყანას, ზოგი ებრძვის სამშობლო ქვეყნის უმეცრებასა და სხვანი და სხვანი... ამოირჩიეთ უფრო თვალნათელი ფაქტები, დალაგებით უამბეთ ბავშვებს, გადაუჭარბებლად, უკრიტიკოდ, საზოგადო ფრაზების მორიდებით და თქვენ მისცემთ მათ გონებასა და გულს საუკეთესო საზრდოსა“.

საქართველოს ისტორიით იაკობი ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის დროს დაინტერესდა: „ქართველი ხალხის გმირული წარსული და დაბეჩავებული, კოლონიად ქცეული საქართველოს აწმყო აღშფოთების გრძნობას იწვევდა ახალგაზრდა იაკობში. ამ გარემოებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იაკობის მომავალი პედაგოგიური, პატრიოტული და დემოკრატიული მსოფლმხედველობის შემუშავებაში. აღსანიშნავია, რომ ყოველი მისი სტატია, მოთხრობა თუ პოპულარული ნარკვევი ქართული ეროვნული სულით არის გაჟღენთილი და მომავალი ბრძოლისათვის განაწყობს მკითხველს“ (ილია მახარაძე). იაკობმა საისტორიო მოთხრობები შეიტანა როგორც „დედაენის“, ისე ბუნების კარის“ გამოცემებში. „დაწერა მონოგრაფიებისა გავბედეთ ჩვენ თვითონ იმის გამო, რომ ქართულ ენაზე სრულიად არ არსებობენ საყმაწვილო ისტორიული მოთხრობანი“, – წერდა ავტორი.

ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისათვის იაკობი ცალკე წიგნადაც გამოსცემდა საქართველოს ისტორიული წარსულის შესახებ მოთხრობებს: 1892 წელს გამოიცა იაკობის პირველი ისტორიული მოთხრობა „ასპინძის ომი“, 1895 წელს – მოთხრობების კრებული თევდორე მღვდელზე, სამას არაგველზე, იოთამ ზედგენიძეზე, ცოტნე დადიანზე... ავტორმა მათი შემოკლებული ვარიანტი „დედა ენის“ მეორე ნაწილშიც შეიტანა. 1897 წელს გამოქვეყნდა საისტორიო ხასიათის მოთხრობები: „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „საშინელი სიკვდილი მოღალატისა“, 1898 წელს – „სხივი წარსულისა“ და სხვა.

როგორც დიდ ილიას, იაკობსაც მიუტევებელ ცოდვად მიაჩნდა ქვეყნის წარსულის დავიწყება. „ილია ცდილობდა საქართველოს ისტორიის სრულყოფილი სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობა დაესაბუთებინა. იაკობ გოგებაშვილი კი უკვე კონკრეტულად შეეცადა მის პრაქტიკულად განხორციელებას, – ხელი მიჰყო მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევებისა და ისტორიული მოთხრობების ჟურნალგაზეთებსა და ცალკე წიგნებად გამოქვეყნებით ქართველი ხალხის გმირული წარსულის წარმოჩენასა და პოპულარიზაციას. ცარიზმის რეაქციის პერიოდში, როდესაც საქართველოს ისტორიისა და ქართული ენის სწავლებაც კი ნებადართული არ იყო სკოლებში, გოგებაშვილს მრავლად შეჰქონდა თავის „დედაენაში“ და „ბუნების კარში“ ისტორიული მოთხრობები და ცალკე ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან, რითაც ქართველ ახალგაზრდობას აცნობდა თავისი სამშობლოს წარსულს, უნერგავდა მის სიყვარულს“. ამიტომაც უწოდებენ მას ახალგაზრდების ყველაზე დიდ მასწავლებელსა და გზის მანათობელს.

იაკობ გოგებაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებაში. იგი ხშირად თავმჯ-

დომარეობდა გამგეობის სხდომებს, იყო პედაგოგიური სექციის ხელმძღვანელი და საპატიო წევრი.

თერგდალეულთა ჯგუფი, რომლის წევრიც გახლდათ იაკობი, მთავრობის წინააღმდეგობის მიუხედავად, ხალხში წერა-კითხვისა და წიგნების გავრცელებას ცდილობდა... „ეს ის დრო იყო, როდესაც მშობლიური ენა დევნილი იყო სკოლებში, პატივაყრილი ოჯახებში; არისტოკრატიას ერცხვინებოდა ქართულად ხმის ამოღება, თავისმოსაწონად მიაჩნდა რუსულად ლაპარაკი, თითზე ჩამოსათვლელი ინტელიგენცია რუსულად ფიქრობდა, რუსულადვე მეტყველებდა... და აი, ასეთს განწირულობის დროს გამოდის იაკობ გოგებაშვილი თავისი „დედაენით“ და ცდილობს იმის საშუალებით შევიდეს სკოლებში ქართული ენა. მოწაფეს მშობლიური ენის შეთვისების საფუძვლად „დედაენა“ ჰქონდეს, საძირკველი მის თვალის ახელას, გაადამიანებას „დედაენის“ საშუალებით ჩაეყაროს“ (თ. სახოკია).

არ დარჩენილა პედაგოგიკისა და ცალკეულ საგანთა სწავლების მეთოდიკის არცერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელზეც იაკობ გოგებაშვილს არ გაუმახვილებია ყურადღება. ქართული პედაგოგიური აზროვნების საგანძურია დიდი პედაგოგის ნაშრომები: „ბურჯი ეროვნებისა“, „ხე ნაყოფით იცნობა“, „მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხები“, „განათლების მდგომარეობა საქართველოში“, „ახალი ნაბიჯი ხალხის განათლებაში“, „ახალი სამოსწავლო გეგმის შესახებ“ და სხვა.

იაკობ გოგებაშვილი იცავდა რა ქართულ ენასა და ეროვნულ ინტერესებს, მტკიცედ მოითხოვდა აგრეთვე როგორც ამიერკავკასიაში, ისე ჩრდილო კავკასიაში მშობლიურ ენაზე სწავლების მოწყობას. ამით იგი კავკასიელი ხალხების ეროვნული ინტერესების დამცველადაც გვევლინება. დიდი პედაგოგის აზრით, ქართულ სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე უნდა წარმოებულიყო, სომხურში – სომხურად... „ყოველმა სახალხო მასწავლებელმა უნდა იცოდეს მხოლოდ ერთი ადგილობრივი ენა, სახელდობრ იმ ადგილის მკვიდრი მოსახლეობის ენა, სადაც გახსნილია სკოლა“ – წერდა იგი.

იაკობს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ხალხური შემოქმედების განვითარებაშიც. დავით კასრაძე თავის მოგონებებში წერს: იაკობმა თავისივე შესრულებით გრამფირფიტებზე ჩაიწერა ხალხური სიმღერები: გუთნური, ოროველა, ურმული, კალოური და სხვა იმის შიშით, ვაი თუ მოვკვდე და ეს მოტივებიც გაჰქრნენო.

იაკობის მხატვრული შემოქმედების ძირითადი წყაროც ქართული ფოლკლორია. მოთხრობები: „მერცხალი და მეცხვარე“, „ქურდი და მამალი“ და სხვა ქართული ხალხური ანდაზების საფუძველზეა შექმნილი.

„იაკობ გოგებაშვილი ნამდვილი საზოგადო მოღვაწის განსახიერება იყო – წერდა იოსებ გრიშაშვილი, – თუ რაიმე დაიბეჭდებოდა ჩვენი ეროვნული

გრძნობის შემლახველი, არ შეიძლებოდა, მაშინვე გაზეთით არ ეპასუხა. განსაკუთრებით თავის „დედაენას“, „ბუნების კარს“ ყოველ წელს ბეჭდავდა და ყოველ წელიწადს სიახლე შეჰქონდა. მე არ მინახავს სხვა მწერალი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ყოველდღე ერთ წიგნს თავს დასტრიალებდეს: ასწორებდეს, უმატებდეს, ლექსებსაც თვითონ წერდეს...

იაკობ გოგებაშვილი ჩემი და ჩემი ბადიშების ნამდვილი პაპაც არის და მამაც.

იგი ახალგაზრდების შოთა რუსთაველია!“

„ვის ჰქვიან პატრიოტი? მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზე გადაღობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარებია მამულის ზრუნვისთვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“, – აი, ეს იყო იაკობი. დიდმა პატრიოტმა უძრავ-მოძრავი, მოჭირნეობით შეგროვილი ქონება, რომელიც 100000 მანეთს შეადგენდა, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა. მატერიალურად და ამასთან დიდი ტაქტით ეხმარებოდა აკაკი წერეთელსა და ეგნატე ნინოშვილს. მზრუნველობას არ აკლებდა ღარიბ მოსწავლეებს. სისტემატურად უგზავნიდა ფულს ციმბირში გადასახლებულ ეროვნულ მოღვაწეებს, საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს.

ვინ მოთვლის, რამდენი დიდი ეროვნული საქმის მოთავე და სულისჩამდგმელი იყო იაკობი, ის ხომ თავის გამოსვლებსა და პუბლიკაციურ წერილებში წინა პლანზე ყოველთვის ეროვნულ საკითხს აყენებდა.

„მამულიშვილობას აღზრდა ესაჭიროება“... ჩვენი მამულიშვილობის პირველი აღმზრდელი და პირველი მასწავლებელი სამარადჟამო თანამდევი და მაგალითი იქნება ჩვენი სულიერი წრთობისა.

დავით ახლოური
პროფესორი, საქართველოს
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
პედაგოგთა კავშირის შიდა
ქართლის რეგიონალური
ორგანიზაციის თავმჯდომარე

სწავლებისა და აღზრდის ინოვაციური მეთოდები და ტექნოლოგიები

ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიებისა და მეთოდების მოთხოვნათა შესაბამისად ორგანიზება და შემოქმედებითად გამოყენება სავსებით დროულად დააყენა ცხოვრებამ დღის წესრიგში. სკოლა ბავშვს უნდა ამზადებდეს შრომისთვის,ცხოვრებისათვის. დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილისა და დასავლური პრაგმატული პედაგოგიკის ამ პრინციპის რეალიზაციისთვის, ბაზისური უნარ-ჩვევებით მოსწავლე-ახალგაზრდობის აღჭურვისათვის, აუცილებელია, სწავლება წარიმართოს ახალი, პროგრესული, ინოვაციური მეთოდებით, რომელიც დაეფუძნება ეროვნული სწავლების მეთოდებს, ხერხებს, საშუალებებს და შემოქმედებითად იქნება გამოყენებული პედაგოგიურ მუშაობაში.

უპრიანია აღინიშნოს, რომ ეროვნული ტრადიცული სწავლების მეთოდების ხელაღებით უარყოფამ და ყოველგვარი შემოწმების, აპრობაციის გარეშე უცხოური მეთოდების დანერგვაზე გადასვლამ არა სასურველი შედეგი გამოიღო. აქტიური სწავლება სწავლის მეთოდები, რომელიც სერბიის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს,ფსიქოლოგიის ინსტიტუტისა და იუნისეფის ბელგრადის განყოფილებიდან იღებს სათავეს და ინერგება ჩვენს სკოლებში, უფრო ადრე, განმავითარებელი სწავლების კონცეფციის სახით,რომლის ცალკეული დიდაქტიკური მოდელები-პრობლემური სწავლება, პროგრამირებული სწავლება... გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს განათლების მინისტრის, პროფესორ ოთარ ქონქლაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაინერგა საქართველოს სკოლებში, ხოლო თანამშრომლობის პედაგოგიკის მოთხოვნები, ნოვატორი პედაგოგისა და აღიარებული მეცნიერის შალვა ამონაშვილის ხელმძღვანელობით, 70-იანი წლებიდან ინერგებოდა განათლების სისტემაში. ჩვენ ადვილად ვივიწყებთ საკუთარ კარგს და უცხოურს ვაიდეალებთ. ქვეყანა, რომელიც სამი საუკუნით უსწრებს ევროპის რენესანსს, ქვეყანას, რომელსაც IV-საუკუნეში ჰქონდა ფაზისის აკადემია,სადაც დიდი კულტურის მქონე ბერძნებიც სწავლობდნენ იყალთოს აკადემიის, „მეორე ათინად“ წოდებული გელათის აკადემის პატრონი ერი არ უნდა უარყოფდეს საკუთარ, ეროვნულ, ასწლეულობით შექმნილ, ნალოლიავებ ტრადიციებს და უმდიდრეს გამოცდილებას.

რა თქმა უნდა, საქართველოს ინტეგრაციას ევროპასთან ბუნებრივად თან სდევს პედაგოგიურ ფასეულობების ურთიერთგაზიარება-

დასავლური ღირებულებები აუცილებლად უნდა გავაზიაროთ, მაგრამ არა საკუთარის უგულებელყოფით. საჭიროა, მიკვლეულ იქნას ინტერაქტიური და ტრადიცული სწავლების მეთოდების პედაგოგიურად მიზანშეწონილი თანაფარდობა სასწავლო პროცესში, მათი შეხამების გზის პოვნა.

ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მეთოდების მოთხოვნათა შესაბამისად, განათლების სისტემის სტრატეგიულ მიმართულებად დასახულია პიროვნებაზე, შედეგზე ორიენტირებული განათლება. სწავლების ცემტრში უნდა დადგეს მოსწავლის პიროვნება, მისი შემეცნებითი საქმინაობა, კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარების განვითარება. მან არამარტო უნდა შეძლოს აჩვენოს ის, რომ გარკვეულ ინფორმაციას, ცოდნას ფლობს, არამედ ისიც, რომ მას შეუძლია ამ ინფორმაციის, ცოდნის ეფექტურად და ზნეობრივი პრინციპების გათვალისწინებით გამოყენება.

ამგვარად, თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება. შესაბამისად, სწავლების მეთოდიკაც მოსწავლეზე ორიენტირებული ანუ ინტერაქტიური უნდა იყოს. იგი ეყრდნობა მასწავლებლისა და მოსწავლის ახალი როლების ძიებასა და ჰუმანიზმის პრინციპებს. ინტერაქტიურ სწავლებას შემოაქვს პედაგოგიკაში სწავლების და ცოდნის შეფასების ახალი სტრატეგიები. იგი საშუალებას გვაძლევს გავააქტიუროთ და განვავითაროთ მოსწავლის შემეცნებითი შესაძლებლობები. აღვზარდოთ პატრიოტი, დამოუკიდებელი, შემოქმედებითი, საკუთარი შესაძლებლობების მუდმივად განვითარების შემძლე, ინფორმირებული და ამ ინფორმაციის ადეკვატურად გამოყენების უნარის მქონე, ბუნებრივი გარემოს დამცველი, კანონმორჩილი და ტოლერანტი ადამიანი.

აქტიური სკოლა მასწავლებლისაგან მოითხოვს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მოქნილ ორგანიზაციას. იგი უნდა გახდეს გაკვეთილის ორგანიზატორი, შემქმნელი, დიზაინერი, მოსწავლეებისაკენ მიმავალი „გზების აღმომჩენი“. მან უნდა შეძლოს, უფრო აზრიანი და საინტერესო გახადოს სწავლება აღსაზრდელებისათვის, წაახალისოს და დააინტერესოს ბავშვები შესასწავლი მასალით. მას მართებს ფიქრი – აძლევს თუ არა მისი გაკვეთილი მოსწავლეებს დამოუკიდებელი აზროვნების, ინიციატივის გამოვლენის საშუალებას. უყალიბდება თუ არა გაკვეთილზე მოსწავლეს მრწამსი, მოქალაქეობრივი პოზიცია, საკუთარი დამოუკიდებლობა შესასწავლი საკითხების და საერთოდ სინამდვილის მიმართ.

მასწავლებლის მიერ მოსწავლის ნიჭისა და შესაძლებლობათა გამოვლენას, ინტელექტუალური ძალების ამოქმედებასა და განვითარებას სოკრატე „მეორე დაბადებას“ უწოდებდა.

აღნიშნული ამოცანების რეალიზაციისათვის საჭიროა ჩამოყალიბდეს მოსწავლეთა მოტივაცია საქმიანობისადმი. დაძლეული იქ-

ნას მათი გაუცხოება სწავლისადმი. სკოლა უნდა იქცეს არა მარტო სასწავლო ცენტრად, არამედ თითოეული მოსწავლის მზრუნველად. მასწავლებელმა ისე უნდა წარმართოს საქმიანობა, რომ მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცეთ:

– განავითარონ თავიანთი სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური მონაცემები, ინტერესები და მიდრეკილებანი.

– გამოიმუშაონ ზნეობრივი მრწამსი, შეხედულებანი.

– გააცნობიერონ საკუთარი როლი მომავალში.

– დაეუფლონ საბაზრო ურთიერთობებისა და სწრაფადცვალებად სამყაროში საქმიანობის უნარ-ჩვევებს, თავდაცვის ხერხებს და საშუალებებს.

– მშობლიურ ენასთან ერთად დაეუფლონ უცხო ენებს.

– ჩამოუყალიბდეთ გარემოსადმი ფრთხილი, მზრუნველი დამოკიდებულება.

– შეექმნათ პირობები დამოუკიდებელი, შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისათვის.

ინტერაქტიური სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია:

– ტრანსმისიური სწავლება (ცოდნის გადმოცემის პროცესი)
– აღმოჩენის გზით ანუ ვარაუდების გამოყენებით სწავლება.
– სიუჟეტურ-როლებიანი თამაში.
– პროექტი.
– საკლასო დისკუსია.
– კლასის გაყოფა მომხრეებად და მოწინააღმდეგებად.
– ორმხრივი სწავლა.
– ურთიერთქმედებითი სწავლა.
– ცოდნის შეერთება.
– გუნდური სწავლა.
– გონებრივი ვარჯიშის გაკვეთილი.
– გაკვეთილი ლექცია.
– გაკვეთილი სემინარი.
– კვლევითი მუშაობა მუზეუმებში.
– გაკვეთილი კონფერენცია.
– გაკვეთილი პრესკონფერენცია.
– გამოკითხვა ტესტებით.

ტრანსმისიური სწავლება

ტრანსმისიური სწავლების მეთოდი მოიცავს სწავლების როგორც ტრადიციულ, ისე აქტიურ მეთოდებს. ეს არის ცოდნის გადაცემის პროცესი. მოსწავლეები პასიური მსმენელის როლში რომ არ აღმოჩნდნენ, საამისოდ, გაკვეთილის დაწყებისთანავე უნდა გავუღვივოთ აღსაზრდელებს ინტერესი შესავალი მასალისადმი და ეს ინტერესი მთელი გაკვეთილის მანძილზე შევინარჩუნოთ, რამეთუ მხოლოდ ამ პირობით შეიძლება გააააქტიურო ბავშვები, მოახდინო მათზე, ძლიერი შთაბეჭდილება, შეიჭრა მათ ცნობიერებაში, გამოიწვიო ღრმა განცდები და ემოციები. ხშირად ეს ინტერესი ქვეითდება ან

საერთოდ ქრება, როცა გაკვეთილზე შესავალ საუბარში გადასცემს პედაგოგი ახალი მასალის შინაარსს, უმიზნოდ აწარმოებს ტექსტების კითხვაში ვარჯიშს, ან კლასის აქტიური მონაწილეობის გარეშე ატარებს სასწავლო მუშაობას.

როგორი მარტივიც არ უნდა იყოს შემეცნებითი ამოცანა, მისი გადაწყვეტა გამორიცხავს მზამზარეულ პასუხს და მოსწავლისაგან მოითხოვს ფიქრს, მსჯელობას, შედარებას, ანალიზს, საკუთარი გამოცდილების მოშველიებას.

როგორ შეიძლება განხორციელდეს შემეცნებითი ამოცანები?

პირველ რიგში, განსაკუთრებული ყურადღება ნაწარმოების აღქმას, მოსწავლეთა ფსიქიკურ განწყობილების შექმნას, ტექსტების ლოგიკურ ანალიზს – (გეგმის შედგენა, დასურათება, ფაქტების, მოვლენებისა და მოქმედ პირთა სწორად გაგება-შეფასება, მათი ემოციური აღქმა, დედააზრის გამოტანა) ახალი წარმოდგენების შემუშავებას დაეთმობა. ამ მიზნით, ეფექტურად გამოიყენება ნაწარმოების აღქმა სხვადასხვა თვალსაზრისით, კითხვაში მოსწავლეთა ვარჯიში. მაგალითად, მოსწავლეებს შეიძლება დაავალოთ: წაიკითხეთ და გვითხარით, რა იყო გაუგებარი? რა იყო მოულოდნელი? რა მსგავსი შემთხვევა შეგხვედრიათ ცხოვრებაში? რამ გაგახარათ? რამ შეგაწუხათ? დაგაფიქრათ? წაიკითხეთ ადგილი, სადაც ბუნების სურათია

აღწერილი, გმირის სულიერი მდგომარეობაა გადმოცემული. მოძებნეთ საგაკვეთილო მასალაში ავტორისეული დამოკიდებულება მოქმედი პირისადმი. დააკვირდით სტროფებს და გაარკვიეთ, რა პოეტური ფერებით ხატავს ავტორი გარემოს ან როგორაა აღწერილი ზამთრის ბუნება? შემოდგომა, ზამთარი და ა. შ.

დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა მოსწავლისაგან მოითხოვს ფიქრს, მსჯელობას, აზროვნებას, ტექსტში სათანადო ადგილის მონახვას, საკუთარი აზრის დასაბუთებას.

აღმოჩენების გზით ანუ ვარაუდების გამოყენებით სწავლება

ინტერაქტიულ მეთოდებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აღმოჩენების გზით სწავლებას. იგი ხორციელდება მაშინ, როდესაც:

– სასწავლო სიტუაციის ზოგი ელემენტი ცნობილია, ზოგი – არა.

– ნათელია საკვლევი პრობლემების არსი.

– მოსწავლეები თვითონ პოულობენ პრობლემის გადაჭრის, მისი შემოწმების მეთოდებს და მასწავლებელი ფრთხილად წარმართავს ამ პროცესს.

– აღმოჩენის გზით სწავლება ეხება ცოდნის მოპოვების ინდივიდუალურ ინიციატივაზე დაფუძნებულ ცოდნას.

ცოდნის მოპოვების აუცილებლობის ინიციატორი, ორგანიზატორი, მეგზური მასწავლებელია. მან გაკვეთილი პერსპექტივაში

უნდა წარმოისახოს. თუ ტრადიციულად მხოლოდ ჩასატარებელი გაკვეთილის გეგმა იწერებოდა, ინტერაქტიური სწავლების დროს მხოლოდ წინასწარი გეგმა კი არ იწერება, არამედ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გაკვეთილის შემდგომ ანალიზს, რეფლექსიას, გაცნობიერებას. ასე, რომ გაკვეთილის ჩატარებამდე და გაკვეთილის შემდეგ აქტიურია მასწავლებელი, გაკვეთილზე კი – მოსწავლე.

აღმოჩენების გზით ანუ ვარაუდების გამოყენებით სწავლების პროცესი ასე წარიმართება.

ზოგიერთი მხატვრული ნიმუში მთლიანად კი არ შეისწავლება, არამედ მისი გარკვეული ნაწილი – შემდეგ კი დაისმება მასწავლებლის კითხვა: რიგორ ფიქრობთ, რა მოხდება შემდეგ?

მაგალითისათვის მოგვაქვს ქობულეთის №4 საჯარო სკოლის მასწავლებლის ლალი აბაშიძის მიერ ჩატარებული გაკვეთილის ნიმუში.

გაკვეთილის მასალა გიორგი ნატროშვილის „კეთილი გული“

ვაკეთებ ხიდს ძველი მასალიდან ახალზე გადასასვლელად. ვაცნობ გაკვეთილის თემას და ვიწყებ მოთხრობის კითხვას: „თამაზი სოფლის ბოლოში ცხოვრობდა, სკოლა შორს იყო და ამიტომ ბიჭი ადრიანად მიდიოდა ხოლმე. ერთხელ შუა გზაში რომ იყო, დაინახა ერთი სახლის ფანჯრიდან შავი კვამლი გამოდიოდა. თამაზს ტირილის ხმა შემოესმა“. აქ ვწყვეტ მასალის კითხვას და ვარკვევ

– რას ნიშნავს, ფანჯრიდან შავი კვამლი გამოდიოდა?

მოსწავლე – ეს იმას ნიშნავს, რომ სახლს ხანძარი გაუჩნდა.

მასწავლებელი – როგორ ფიქრობთ საიდან შემოესმა თამაზს ტირილის ხმა?

მოსწავლე – ცეცხლწაკიდებული სახლიდან.

ახლა უკვე ვსვამ პრობლემურ კითხვას, რის მიხედვითაც ბავშვები გამოთქვამენ თავიანთ ვარაუდებს.

მასწავლებელი – როგორ ფიქრობთ, როგორ მოიქცევა თამაზი?

I მოსწავლე – თამაზი შეშინდა და გაიქცევა.

II მოსწავლე – თამაზი მეზობლებს დაუძახებს.

III მოსწავლე – თამაზი გააგრძელებს გზას, რადგან იცის ცეცხლს ვერ ჩააქრობს.

IV მოსწავლე – თამაზი ეცდება, როგორმე გადაარჩინოს გოგონა.

მასწავლებელი – ახლა ვნახოთ სინამდვილეში როგორ განვითარდება მოვლენები. წაკითხული შეადარეთ თქვენს მიერ გამოთქმულ ვარაუდებს.

„...თამაზი ფირცხლავ შევარდა ეზოში და ცეცხლწაკიდებული სახლიდან პატარა გოგონა გამოიყვანა.

ამასობაში... მაინც გადაწყვიტეს ეპოვათ ეს ბიჭი. ისევ ვჩერდები და ვეკითხები ბავშვებს:

– როგორ ფიქრობთ, იპოვნიდნენ თამაზს?

მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს.

I მოსწავლე – კი, ის იქვე იქნებოდა, სახლში.

II მოსწავლე – კი, ის გოგონას დედას დაელოდებოდა.

III მოსწავლე – კი, გმირ ბიჭს არ გაუშვებდა ხალხი.

IV მოსწავლე – არა, მას სკოლაში ეჩქარებოდა.

ვაგრძელებ კითხვას, – რა მოხდა სინამდვილეში?

„...ეძებეს, ეძებეს და ვერსად იპოვეს. ან როგორ იპოვნიდნენ? თამაზი უკვე კლასში იჯდა და გულმოდგინედ უსმენდა მასწავლებელს“.

ბოლოს ვსვამ პრობლემურ კითხვას: – როგორ ფიქრობთ, თამაზი მოუყვებოდა ვინმეს თავის გმირობის შესახებ? მოსწავლეები აქაც გამოთქვამდნენ ვარაუდებს.

I მოსწავლე – მოუყვებოდა, იმიტომ, რომ ყველამ შეაქოს.

II მოსწავლე – არ მოუყვებოდა, რადგან მან სიკეთე გააკეთა და სამაგიეროს არ მოითხოვს.

აზრს რამდენიმე მოსწავლე გამოთქვამს და მიმდინარეობს კამათი. კამათში ვერევი, რათა სწორი მიმართულება მივცე მას. მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით ვაკეთებ დასკვნას.

ეს მეთოდი ძალიან უყვართ ბავშვებს. მისი გამოყენებით ვაღწევ იმას, რომ მოსწავლეებს უძლიერდებათ ინტერესი ტექსტის მიმართ. ინტერესის გაძლიერებას თან ახლავს ემოციური მომენტიც: გაკვირვება, აღფრთოვანება ან იმედგაცრუება. გაკვეთილზე რაღაც უცნობის, მოულოდნელის აღმოჩენის განცდით დამუხტული მოსწავლეები ეჩვევიან მსჯელობას, დისკუსიას. მათ ეძლევათ შემოქმედებითი ინიციატივისა და ნიჭის გამოვლენის მეტი შესაძლებლობა.

სიუჟეტურ-როლებიანი თამაში

თამაში ბავშვის ქცევის წამყვანი ფორმაა. მისი გამოყენება სასწავლო პროცესში ააქტიურებს მოსწავლეს, ამაღლებს მის შემეცნებით აქტივობას

სიუჟეტური თამაში მცირე დადგმა, მცირე მოცულობის სპექტაკლია, რომელიც შესასწავლად მასალას, მოვლენებს, უცნობ ფაქტებს, გათამაშების გზით აცოცხლებს მოსწავლეების წინაშე.

შესასწავლ თემას არჩევს პედაგოგი, ადგენს სიუჟეტს (სცენარს) და აღსაზრდელებთან ერთად ანაწილებს როლებს. ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს წარმოდგენა (სპექტაკლი). წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მთელი კლასი მონაწილეობს მის განხილვაში.

პროექტი

პროექტი-მოსწავლეთა მიერ წინასწარ დაგეგმილი და დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოა, რომელიც შეიძლება წარმოადგინონ მოხსენების, ჩანახატის, ლექციის, ლექსის და სხვა სახით.

პროექტის თემას არჩევს მასწავლებელი და სთავაზობს მოსწავლეებს. ბავშვები გეგმავენ, როგორ შეასრულონ დავალება, რა ლიტერატურა გამოიყენონ, რა წყაროები მოიძიონ. თემის შესაბამისად, განისაზღვრება პროექტის შესრულების ვადა. იგი შეიძლება იყოს რამდენიმე დღე, კვირა ან თვე.

პროექტი უნვითარებს ბავშვს აკადემიურ-სოციალურ და შემოქმედებით უნარ-ჩვევებს. იგი ეფექტური გზაა თეორიული ცოდნიდან პრაქტიკამდე.

ბათუმის №5 საჯარო სკოლის უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი მზია გაგნიძე ხშირად იყენებს პროექტზე მუშაობას აღსაზრდელთა გონებრივი განვითარებისა და ზნეობრივი სრულქმნისათვის.

ერთ-ერთი ასეთი საჩვენებელი, სამოდელო გაკვეთილი ხელოვანმა პედაგოგმა X კლასში სამოქალაქო განათლებაში ჩაატარა. გაკვეთილს პედაგოგებსა და სკოლის ხელმძღვანელებთან ერთად ესწრებოდნენ აჭარის განათლების სამინისტროს კულტურისა და სპორტის წარმომადგენლები. გაკვეთილის თემა იყო სახელმწიფოს სიმბოლოები – დროშა, გერბი, ჰიმნი.

მიზანი: სააქართველოს სახელმწიფოს სიმბოლოების ისტორიის, მათი როლისა და მნიშვნელობის გაცნობა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, სიმბოლოებისადმი პატივისცემის,სიყვარულისა და ერთგულების გრძნობების გაღვიძება.

რესურსები – სახელმწიფოს ატრიბუტებზე მიძღვნილი ნაშრომები, ატრიბუტების ნიმუშები, საინფორმაციო ბუკლეტები, პლაკატები, სლაიდები, აუდიო და ვიდეო კასეტები, სამუშაო რვეულები.....

ესთეტიკური გემოვნებით გაფორმებული და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით მოწყობილი გეოგრაფიის კაბინეტი და ყვავილების სურნელება ამაღლებულ განწყობილებას, შესანიშნავ ფონს ქმნიდა შემოქმედებითი შრომისა და აზროვნებისათვის.

გაკვეთილი სახელმწიფო ჰიმნის შესრულებით დაიწყო. მასწავლებელი მიესალმა ფორმებით გამოწყობილ, სახეგაბრწყინებულ, თვალხატულა გოგო-ბიჭებს:

„უფალი იყოს თქვენი შემწე და მფარველი“ – მიმართა აღსაზრდელებს და ბრძნული შეგონება: „სტუმარი ღვთისაა“ მოაგონა. ჩვენც პატივი ვცეთ მობრძანებულ სტუმრებს ყურადღების, გულისხმიერების, ტაქტის, ცოდნის, აზროვნების, შემოქმედებითი ნიჭის გამომჟღავნებასა და საკუთარი აზრის დახვეწილად, ლამაზად, სხარტად, ხატოვნად და ემოციურად გადმოცემაში.

ცნობისათვის: კლასში 26 მოსწავლეა. სახელმწიფოს ატრიბუტები დროშა, გერბი და ჰიმნი როცა შეისწავლეს, ბავშვებს დაებადათ იდეა მოემზადებინათ პროექტი, შეექმნათ კლასისა და სკოლის სიმბოლიკა. როცა მასწავლებელს გაანდეს იდეა, მოწონება დაიმსახურეს და კლასში ხუთმა ჯგუფმა კლასის, ხოლო მეექვსე ჯგუფმა სკოლის ატრიბუტები წარმოადგინეს.

მოზარდები იმანაც დააინტერესა, რამდენად სრულყოფილად იცნობს ფართო საზოგადოება თავისი ქვეყნის სიმბოლიკას. ამ მიზნით აწარმოეს გამოკითხვა ქალაქ ბათუმისა და ხელვაჩაურის რაიონში. შედეგები არასახარბიელო აღმოჩნდა. ბავშვებისათვის ისიც მოულოდნელი ოყო, რომ სოფლის მოსახლეობა უფრო უკეთ იცნობს სახელმწიფო სიმბოლიკას, ვიდრე ქალაქისა.

სამოქალაქო განათლების ძირითადი მიზანია, ერთის მხრივ, არჩევანის თავისუფლების, ხოლო მეორე მხრივ, საკუთარ არჩევანზე პასუხისმგებლობის გააზრების სწავლება, მოსწავლეებისათვის გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარება.

ეს მხარეები კარგად გამოიკვეთა გაკვეთილზე. მოსწავლეებმა კარგი მომზადება, საკითხის საფუძვლიანი ცოდნა, შემოქმედებითი უნარი, მსჯელობის, დიალოგის, კამათის, დებატების წარმართვის, დასკვნის გამოტანის, ურთიერთპატივისცემისა და სხვისი აზრის მოსმენის კულტურა გამოამჟღავნეს.

ბავშვებს შესანიშნავი სიმბოლიკა შეექმნათ. პრეზენტაციისათვის ჯგუფებს შვიდ-შვიდი წუთი მიეცათ. ჯგუფის ხელმძღვანელებმა ჩინებულად მოახდინეს სიმბოლოების პრეზენტაცია. ნათლად წარმოაჩინეს სიმბოლოების ცალკეული დეტალები და მათი სიმბოლური მნიშვნელობა. აღინიშნა, რომ დროშაზე ცისფერი ზოლი განასახიერებს შავ ზღვას, ცისფერსხივებიანი მზე – მზიურ საქართველოს უღრუბლო, ფირუზისფერ ზეცას, 26 ვარსკვლავი კლასის 26 მოსწავლეს, „დედა ენა“ მშობლიური ენის სიყვარულს, მტრედი – მშვიდობას, ეკლესია – ღვთისმსახურებას, ჩირაღდანი – ცოდნის დაუფლების წყურვილს და ა.შ.

მოსწავლეები არ შემოფარგლულან მხოლოდ კლასისა და სკოლის ატრიბუტებზე საუბრით, მათ ასევე კარგად წარმოაჩინეს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები. ისაუბრეს სახელმწიფო და სამეფო დროშებზე. ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ სამეფო დროშას XII-XIII საუკუნეებში საქართველოს ძლევამოსილ მეფეთა სახელებსაც უწოდებდნენ: გორგასლიანს, დავითიანს, ბაგრატოვანს და ა.შ.

„თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი“ - მოსწავლეებმა მოიტანეს ნაწყვეტი გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოდან“.

ქართული დროშისადმი, როგორც „ერის პატიოსნების, ერის ღირსებისადმი“ ქართველი კაცის უსაზღვრო, ძვალ-რბილში ჩაკირულ-ჩადუღაბებული სიყვარულისა და მისთვის თავგანწირვის ნათელსაყოფად ბავსვებმა სიმონ ჩიქოვანის ლექსი „ქართველი დედა“ გაიხსენეს და მხატვრულადაც წაიკითხეს.

მოსწავლეებმა ასევე ინტერესით ისაუბრეს გერბისა და ჰიმნის შესახებ. მდიდარი ცოდნა დაეხმარათ, ორიგინალური სახით შეექმნათ გერბისა და ჰიმნის ნიმუშები და თავადვე მაღალ დონეზე შეესრულებინათ ჰიმნი.

გაკვეთილზე კარგად განხორციელდა საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მიზნები. კარგად წარიმართა სალექსიკონო მუშაობა. მოსწავლეების ლექსიკა გამდიდრდა ატრიბუტებთან დაკავშირებული სიტყვებით. ბავშვების აქტიურობით, მათ მიერვე შეჯამდა გაკვეთილი.

მოზარდებმა კარგად გაიაზრეს დიდი ბრძენკაცის ილია ჭავჭავაძის შეგონება: დროშას ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა

სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკვლელად დაცვისათვის არა თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი სიცოცხლეს არ ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია“.

გაკვეთილი ორგანიზაციულად, ლოგიკურად და ფსიქოლოგიურად წარმოადგენდა მთლიან პროცესს. მოსწავლეები მუშაობდნენ ჯგუფებად, ავლენდნენ საკუთარ შესაძლებლობებს, დამოუკიდებელი აზროვნების, ძიების, ფიქრის, ანალიზის, თავისუფალი აზრის გამოხატვის, ლოგიკური მსჯელობის, მოსმენის კულტურას.

გაკვეთილი სრულიად თავისუფალი იყო. მას ძირითადად მოსწავლეები წარმართავდნენ. თუმცა მასწავლებელი თითქოს შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც დახვეწილი ტაქტით, დინჯად უძღვებოდა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს. დასაწყისიდანვე დამყარდა პედაგოგსა და აღსაზრდელებს შორის უშუალობისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის განწყობილება, შეიქმნა ძიებისა და მიზანმიმართული მუშაობის სასიამოვნო ატმოსფერო.

გაკვეთილი ეფექტური, ორიგინალური და აკადემიურად დატვირთული იყო.

საკლასო დისკუსია

დისკუსია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. იგი ამაღლებს მოსწავლის შემეცნებით აქტივობას, უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, აჩვევს ფიქრს, მსჯელობას, დასკვნის გამოტანას, აუფლებს კამათის კულტურას.

დისკუსიის მეთოდით სწავლება საშუალებას გვაძლევს ბავშვებს დავანახოთ, რომ ყოველი მტკიცება სხვადასხვა მხარეს შეიცავს და დასკვნის გაკეთებაც უამრავი გზით არის შესაძლებელი.

დისკუსიის ჩატარებას წინ უნდა უძღოდეს მასწავლებლის მიერ მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება. მოსწავლეები ადრეული ასაკიდან უნდა დაეუფლონ სადისკუსიო ქცევის წესებსა და ურთიერთობის ნორმებს. ასეთი მუშაობით აღსაზრდელებს ჩამოუყალიბდებათ ქცევის სტანდარტები. შეეძლებათ სხვისი აქტიური მოსმენა, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და არგუმენტაცია, მსჯელობა, კრიტიკული ანალიზი, სხვისი ნააზრევის შეფასება და განსხვავებული აზრისადმი პატივისცემისა და შემწყნარებლობის დამოკიდებულება.

დისკუსიისათვის უნდა შეირჩეს შესაბამისი მასალა, ვთქვათ, „ფუტკარი და ჭიანჭველა“, „კუ და მორიელი“, „გამზრდელი“, „ხევისბერი გოჩა“, „მატეო ფალკონე“, „ტარას ბულბა“... „სამყაროს კეთილი ელჩი და პაწაწინა სანიტრები (ფუტკარი და ჭიანჭველა) – ამ თემაზე წარმართა დისკუსია ბათუმის № I საჯარო სკოლის პედაგოგმა, აჭარის დამსახურებულმა მასწავლებელმა ლილი ფირცხალაიშვილმა.

გაკვეთილის მიზანი იყო: მწერების – ფუტკრისა და ჭიანჭველას შესახებ მიღებული ცოდნის გაღრმავება.

– ბუნებისადმი სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, მიღებული ცოდნა-ჩვევების ცხოვრებასში გამოყენება.

– კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების, შემოქმედებითი უნარის ჩამოყალიბება, კამათის კულტურის დაუფლება.

გაკვეთილზე მოსწავლეები დაყოფილი იყვნენ ჯგუფებად:

– ფუტკრები.

– ფუტკრის გულშემატკივრები.

– ჭიანჭველები.

– ჭიანჭველების გულშემატკივრები.

მასწავლებელმა ჯგუფებს მისცა დავალება, ესაუბრათ და ემსჯელათ აღნიშნული მწერების მთავარ, ძირითად დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე, დაესაბუთებინათ არჩეული მწერის მეტი სარგებლიანობა ადამიანისათვის.

ინსცენირების სახით, ფუტკრისა და ჭიანჭველის დაპირისპირების შემდეგ, მოსწავლეებს დაეთმოთ „თავისუფალი მიკროფონი". საუბრობენ ფუტკრის „გულშემატკივრები". მათ უამრავი საინტერესო მასალა შეესწავლათ. წარმოაჩინეს სამგზის ოქროს მედალოსანი ქართული, ეროვნული ფუტკარი, „კეთილი ელჩის" საოცარი თვისებები და უპირატესობანი სხვა ქვეყნის ფუტკრის ჯიშებთან შედარებით. აღწერეს, თუ როგორ ამზადებს ფუტკარი თაფლს, ფიჭას. აღნიშნეს, რომ მედიცინაში გამოყენება აქვს არამარტო თაფლს, არამედ ფუტკრის რძესა და შხამს. ხაზი გაუსვეს ფუტკრის უპირატესობას ჭიანჭველებთან.

ფუტკრების „გულშემატკივრებს" არც ჭიანჭველების „გულშემატკივრები" ჩამორჩნენ. ისინი თავდავიწყებით ცდილობდნენ ამ ნამცეცა მწერის საოცარი თვისებების წარმოჩენას. ჭიანჭველები, ბუდის აგების უბადლო ოსტატები, ინჟინრები და არქიტექტორები არიან. „ესრე არის აგებული, ამგებელსა ადიდებდე," – უთქვამთ მათი ბუდეების მნახველთ. ისინი მილიონობით მავნე მწერს ანადგურებენ, აჯანსაღებენ ტყეს, ავრცელებებ მცენარეთა თესლს. ჭიანჭველამჟავა გამოიყენება მედიცინაში.

ჭიანჭველების ბუდის დანგრევა ბრაკონიერობაა, – აღნიშნეს ჭიანჭველას „გულშემატკივრებმა". „იმაზე დიდი რა უნდა იყოს, კაცს თაფლი მისცე, ღმერთს კი სანთელი", – შოთა ნიშნიანიძის ამ სიტყვებით ფუტკარზე თითქმის ყველაფერი თქვეს „გულშემატკივრებმა".

გაკვეთილზე გამოჩნდა ზრუნვა მოსწავლეთა ეკოლოგიურ, ესთეტიკურ და პატრიოტულ აღზრდაზე, ზრუნვა მეტყველების კულტურასა და ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე, აზროვნების, მსჯელობის, ანალიზის, სინთეზის, საკუთარი აზრის არგუმენტაციის განვითარებაზე.

გაკვეთილზე გამოიკვეთა ადამიანის ზნეობრივი ვალი. შრომა ყველა სასახელოა, მაგრამ სხვებისათვის ზრუნვა, სხვებზე გაწეული შრომა უფრო დასაფასებელია. ასეთ ადამიანს ყველა პატივს საცემს. ამგვარად, ფუტკრისა და ჭიანჭველის ცხოვრების წესი ადამიანს

ჭკუას ასწავლის. მოსწავლეები აქტიურობდნენ გაკვეთილზე. აქვთ მსჯელობის, კამათის, ერთმანეთის მოსმენის ჩვევა, შეუზღუდავია მათი ქცევა.

მოსწავლეთა ჯგუფების ცოდნის, კამათის კულტურის შეფასებისას მასწავლებელმა სიმბოლურად გამოიყენა თემიდას სასწორი. შეაქო ბავშვები, რადგან მათ, ფუტკრებისა და ჭიანჭველების მსგავსად, უშრომიათ. უსურვა მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენება.

სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში გამოიყენება დისკუსიის სხვადასხვა ფორმა, კერძოდ:

– „მრგვალი მაგიდა“ – მოსწავლეთა მცირე ჯგუფი (4-5 კაცი) ახდენს აზრთა ურთიერთგაცვლას, ასევე კლასის მოსწავლეებთან.

– „პანელური დისკუსია“ – უძღვება ჯგუფის მიერ წინასწარ დანიშნული ლიდერი.

– „ფორუმი“ – მთელი ჯგუფი ახდენს აზრთა და იდეათა ურთიერთგაცვლას თანაბარ საწყისებზე.

– „სიმპოზიუმი“ – მონაწილეები გამოდიან წინასწარ მომზადებული მოხსენებებით.

– „დებატები“ – აგებულია მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე. კამათში მონაწილეობს ჯგუფის თითო წარმომადგენელი, რიგრიგობით.

კლასის გაყოფა მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად

კლასი იყოფა ორ ჯგუფად:

მომხრეებად და მოწინააღმდეგებად. ერთი ჯგუფი რომელიმე მოქმედ პირს, ფაქტს მხარს უჭერს, მეორე კი იმავეს აკრიტიკებს და უარყოფს (ჯგუფების ფორმირება ხდება მოსწავლეთა სურვილების გათვალისწინებით) მაგალითად, იგავ-არაკის „ჭრიჭინა და ჭიანჭველას“ შესწავლის შემდეგ კლასი გაიყოფა მომხრეებად და მოწინააღმდეგებად. მოსწავლეთა ერთი ნაწილი იცავს ჭიანჭველას, ამართლებს მის მოქმედებას, მეორე ნაწილი კი პირიქით, ადანაშაულებს ჭიანჭველას, რადგან მან ზამთარში ხელი არ გაუმართა ჭრიჭინას, რის გამოც ვერ გამოიზამთრა ჭრიჭინამ.

ზოგჯერ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მესამე ჯგუფი, რომელიც ცდილობს ორივე ჯგუფის მოსაზრებათა სინთეზირებას და მათ შორის კომპრომისის მიღწევას.

ორმხრივი სწავლება

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს 5-6 კაციან ჯგუფებად. ჯგუფს ჰყავს ხელმძღვანელი. მისი მოვალეობაა, ჯგუფის წევრებთან შეთანხმებით დასვას წინასწარ მოფიქრებული პრობლემური კითხვები, გამოსაკითხი გაკვეთილის ძირითადი საკითხების ირგვლივ. შეკითხვები შეიძლება ჯგუფის წევრებმაც მოიფიქრონ. გაკვეთილის გამოკითხვის ეს მეთოდი კარგ შედეგს იძლევა. ის ააქტიურებს თითქმის ყველა მოსწავლეს და იწვევს ინტერესს აღნიშნული მასალისადმი.

ურთიერთქმედებით სწავლა

სწავლის ეს მეთოდი ემყარება იმ ფაქტს, რომ მოსწავლეებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი ცოდნის ის სფერო, რომელსაც ახალი მასალა

ეხება. მასწავლებლის მიერ მოსწავლეზე ცოდნის გადაცემა ძირითადად მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთქმედებაა.

სწავლების პროცესში, რომელიც პედაგოგიური ურთიერთქმედების ფორმას ეყრდნობა, გამოიკვეთება მასწავლებლის, როგორც პარტნიორის როლი. იგი ამ ურთიერთობათა მარეგულირებელია. მისი აქტივობა გამოიხატება შემდეგი ქმედებით: ახალი მასალის ახსნის დროს სწავლის სიტუაციის მთლიანად წარმოდგენა, დიდაქტიკური საშუალებების მომზადება, გაკვეთილის დაგეგმვა, პრობლემური სიტუაციის შექმნა, მოსწავლეთა ჯგუფური ორგანიზაცია.

მოსწავლეთა აქტივობა: არსებული ცოდნა-გამოცდილების მობილიზება, პრობლემური სიტუაციის გადაჭრა.

ურთიერთქმედებითი სწავლა მოსწავლეთა ჯგუფში გულისხმობს მოსწავლეთა დაჯგუფებას მათი მომზადების დონის მიხედვით. მასწავლებელი ქმნის ისეთ პრობლემურ სიტუაციებს, როდესაც აშკარად გამოიკვეთება უფრო მომზადებული და ნაკლებად მომზადებული მოსწავლეების ცოდნა და გამოცდილება. მოსწავლეები სხვადასხვაგვარად მონაწილეობენ სწავლის პროცესში. ერთნი სწავლობენ ერთ ასპექტს, მეორენი კი მეორე ასპექტს. ამის შემდეგ ერთობლივად მიიღწევა მთლიანობა. ჯგუფებს შორის აზრთა გაცვლა, გაზიარება, რაც მათ ურთიერთშევსებისა და გამდიდრების საშუალებას აძლევს.

ცოდნის შეერთება

სწავლების ეს ფორმა „მოსწავლეები – მოსწავლეებისათვის“ ყველაზე მეტად ააქტიურებს მოსწავლეებს. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში.

იქმნება ჯგუფები. თითოეულ ჯგუფს მიეცემა დავალების ერთი კონკრეტული ნაწილის შესრულებისა .შემდეგ კი ხდება ამ ცალკეული ნაწილების გაცვლა და გაერთიანება.

მუშაობის ამ ფორმას საფუძვლად უდევს ის მოსაზრება, რომ კლასში მოსწავლეებს სხვადასხვა გამოცდილება, ცოდნა და უნარი გააჩნიათ. ამ სხვადასხვა გამოცდილებათა მომზადება და გაცვლა ააქტიურებს კლასის ყველა წევრს.

გუნდური სწავლება

გუნდური სწავლება პატარა ჯგუფებში მუშაობის განსაკუთრებული ფორმაა. გუნდური მუშაობისათვის დამახასიათებელია ფუნქციების განაწილება.

სწავლების ასეთი მეთოდი, ძირითადად, პრობლემათა შესწავლას გულისხმობს. პრობლემის გადასაჭრელად მოსწავლეთა მუშა ჯგუფი ანაწილებს ფუნქციებს.შემდეგ ხდება შესწავლილის შეჯამება. მასწავლებლის საქმიანობა სწავლების ამ მეთოდის დროს განისაზღვრება ორგანიზატორის, მუშაობის წარმმართველის და დისკუსიაში პარტნიორის როლით.

გონებრივი იერიში

ამ მეთოდის მიზანია პრობლემის გადაჭრა მთელი ჯგუფის მონაწილეობით, საკუთარი იდეების, მოსაზრებების თავისუფალი გამოთქმის გზით.

გონებრივი იერიში ავითარებს მოსწავლის შემოქმედებით აზროვნებას. ბავშვები სწავლობენ სხვის მოსმენას, ეუფლებიან კამათის კულტურას.

პედაგოგი წინასწარ არჩევს პრობლემას და აცნობს მას მოსწავლეებს. იწყება გონებრივი იერიშის პირველი ეტაპი. მას იდეათა გენერაციის (დაგროვების) ეტაპი ეწოდება. ამ დროს საჭიროა დავიცვათ შემდეგი წესები:

– მოსწავლეების მიერ მოსაზრებების გამოთქმის დროს დაუშვებელია მათი კრიტიკა, კამათი, შეფასება.

– მონაწილეები აზრებს გამოთქვამენ თავიანთი სურვილის შესაბამისად.

– ერთ ბავშვს შეუძლია გამოთქვას რამდენიმე მოსაზრება.

– გამოთქმული წინადადებები იწერება დაფაზე.

– აზრთა გამოთქმის დრო განისაზღვრება 20-30 წუთით.

–შეფასების დროს წყვეტს პედაგოგი. შეიძლება იმავე დღეს შეფასდეს ან სხვა დროს.

შეფასების ეტაპზე:

– ხდება გამოთქმული იდეების მიმოხილვა.

– მსგავსი მოსაზრებები გაერთიანდება.

– განზოგადებული იდეებიდან მოსწავლეები მათთვის ყველაზე ღირებულ მოსაზრებას აირჩევენ.

– ბოლოს გამოიყოფა ყველაზე მნიშვნელოვანი იდეები, რომლებიც დასმული პრობლემის გადაწყვეტისათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება.

გაკვეთილი - ლექცია

პროგრამული მასალის გარკვეული ნაწილი შეიძლება გადაიცეს ლექციის სახით.

ლექციის დასაწყისში პედაგოგი ასახელებს თემას, მიზანს, აყალიბებს პრობლემებს და გამოყოფს მთავარ პრობლემას. თითოეული საკითხის გაშუქების შემდეგ მასწავლებელი კითხვების საშუალებით ამოწმებს, როგორ აითვისეს ბავშვებმა გადაცემული მასალა.

შეიძლება ლექციას დაეთმოს მთელი გაკვეთილის დრო. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გაერთიანდეს რამდენიმე პარაგრაფი ან თემა, ასეთ გაერთიანებას აქვს თავისი დადებითი მხარე. მოსწავლეები გლობალურად შეხედავენ და მთლიანობაში აღიქვამენ რომელიმე საკითხს და მიზეზ-შედეგობრივ კავშირს.

გაკვეთილი-სემინარი

სემინარი თეორიული ცოდნის შემოწმების, მისი პრაქტიკულად გამოხატვის, ფაქტობრივი ცოდნის გამოვლენის საუკეთესო საშუალებაა.

ხელს უწყობს მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის სტიმულირებას, კომუნიკაბელურობას, დიალოგის წარმართვას და ა.შ.

პედაგოგი ადგენს სემინარის გეგმას. კლასს ყოფს ჯგუფებად. ჯგუფებს შორის ანაწილებს თემებს.

ჯგუფებში მოსწავლეები აზროვნებენ, ფიქრობენ, საუბრობენ, მსჯელობენ, კამათობენ დასმული საკითხების ირგვლივ. კამათის დროს გამოვლინდება მოსწავლეთა ცოდნის დონე, გამოიკვეთება მოაზროვნე მოსწავლეები, რომელთა შორის ზოგი სწრაფად აზროვნებს, ზოგი კი შედარებით ნელა. ერთ ნაწილს შეუძლია ლოგიკური აზროვნება, მოვლენების ანალიზი, მათი ურთიერთკავშირიდან შედეგის ზუსტად განსაზღვრა. მეორე ნაწილი კი აზროვნებს წმინდა სუბიექტური შეხედულებებით.

გამოჩნდებიან ისეთი მოსწავლეებიც, რომლებსაც ნაკლები ცოდნა აქვთ. თუმცა ინტერესით არიან ჩართულნი მუშაობაში. გამოთქვამენ საკუთარ აზრებს, მსჯელობენ და კამათობენ. ეს, ჩრდილში მყოფ ბავშვებს, საკუთარი თავის გამოვლენის შესაძლებლობას მისცემს. მოსწავლეთა განვითარებისა და ცოდნის განსხვავებული დონე იძლევა მათ შორის ცოდნის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობას – ყველა თავისებურად აანალიზებს შესწავლილ საკითხს და ხაზს უსვამს თავის მოსაზრებებს და შეხედულებებს.

სემინარზე მასწავლებელი მოქმედებს ტაქტით. ის წარმართავს კამათს. ეხმარება მოსწავლეებს, ნაბიჯ-ნაბიჯ დასძლიონ პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებული სიძნელეები და გააკეთონ მართებული დასკვნები.

ამგვარად ,თანამედროვე ტექნოლოგიური, ინოვაციური მეთოდები სწავლებისა და სწავლის ეფექტური გზისაკენ არის მიმართული. სწავლების ტრადიციულ მეთოდებზე დაყრდნობით, მათი შემოქმედებითად, მიზანმიმართულად გამოყენება, ხელს შეუწყობს კრიტიკულად მოაზროვნე, ფართო თვალსაწიერის მქონე, გონებაგახსნილი, ინიციატივიანი და ქმედითუნარიანი პიროვნების აღზრდას.

თუ როგორ გავითავისებთ ინოვაციურ მეთოდებს, როგორ მოქნილად და უნარიანად წარვმართავთ სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობას, ეს მაასწავლებლის ოსტატობაზე, პროფესიონალიზმსა და შემოქმედებით ნიჭზეა დამოკიდებული.

აკაკი ზოიძე
საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის
პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური
ორგანიზაციის თავმჯდომარე, პროფესორი.

მშობლების ჩართულობის მნიშვნელობა მოზარდის სასკოლო ცხოვრებაში

მოზარდის განვითარებაში, სრულფასოვან პიროვნებად, მოქალაქედ ჩამოყალიბებაში სკოლის როლი უმთავრესია და მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იგი ქმნის უნიკალურ გარემოს, სადაც ბავშვი თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს (12 წელს) ატარებს, ვითარდება, უყალიბდება ღირებულებათა სისტემა, სწავლისა და ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. საზოგადოება თანხმდება, რომ ბავშვის აღზრდა რთული, ხანგრძლივი პროცესია და ცხადია, მისი შესაძლებლობების ყოველმხრივ შესწავლას მოითხოვს: როგორც სასკოლო ცხოვრებაში, ასევე ოჯახსა და საზოგადოებაში. ლოგიკურია, რომ მოსწავლეები მცირე ასაკში ძირითადად ორი წყაროდან იღებენ განათლებას: მშობლისგან და მასწავლებლისგან. ეს წყაროები მომდევნო წლებში, რა თქმა უნდა, უფრო მრავალფეროვანი ხდება: საზოგადოება, მეგობრები, უნივერსიტეტი და სხვ. შესაბამისად, ადრეულ ასაკში ყველაზე დიდ გავლენას მოსწავლის განვითარებაზე ოჯახი და სკოლა ახდენს. გამომდინარე აქედან – მნიშვნელოვანია ორივე რგოლის ჩართვა მოსწავლის განვითარებაში, თანაც ისე, რომ ორივე აცნობიერებდეს ამ მნიშვნელობას და თავის როლს.

უძველესი დროიდან მეცნიერთა დავის საგანია ის, თუ რა უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს მოზარდის განვითარებაზე – თანდაყოლილი თვისებები, გარემო, ორივე ერთად, თუ აღზრდა.

პირველი თეორიის წარმომადგენლები (სოკრატე, პლატონი, ლაიბნიცი) იმ აზრისანი იყვნენ, რომ ადამიანის განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს თანდაყოლილი, ბუნებრივი თვისებები, რომლებიც მას მემკვიდრეობით გადაეცემა; რომ არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია რაიმე ცვლილება შეიტანოს ადამიანის განვითარების პროცესში, რომ მოზარდს მემკვიდრეობით გადაეცემა როგორც ფიზიოლოგიური თვისებები, ასევე ხასიათი, მიდრეკილებები, ტემპერამენტი და ა.შ.

ინგლისელი ფილოსოფოსი და პედაგოგი ბავშვს ადარებდა „სუფთა დაფას“. მისი მტკიცებით, ადამიანი დაბადებიდან ისეთია, როგორც სუფთა დაფა და მისი ჩამოყალიბება სრულფასოვან პიროვნებად მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ზეგავლენას მოახდენს მასზე მისი გარემომცველი სოციალური გარემო, საზოგადოებრივი ცხოვრება [1, 147].

საბოლოოდ მეცნიერები შეჯერდნენ, რომ „პიროვნების ფორმირების პროცესი – ახალდაბადებული ბავშვის ზრდადასრულებულ, ცოდნითა და შეიარაღებულ-ადამიანად ჩამოყალიბება-გარკვეული ფაქტორების ზემოქმედებით მიმდინარეობს, ზოგადად ფაქტორები, რომელთა მეშვეობითაც ხდება პიროვნების ფორმირება, შეიძლება იყოს გარემო, აღზრდა, რომელშიც მოზარდს უხდება ყოფნა და ის გენეტიკური, მემკვიდრეობითი თავისებურებანი, რომლებიც ახალშობილს დაბადებიდან დაჰყვება.

საგულისხმოა, რომ გარემოს ცნებას ორგვარი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს:

1). გარემო, რომელშიც მოზარდის აღზრდა ორგანიზებულად მიმდინარეობს, მაგალითად: სკოლა, ოჯახი და ამიტომ ამგვარი გარემოს ზემოქმედებას მოზარდზე, ჩვეულებრივ აღზრდას ვუწოდებთ;

2). გარემო, რომელიც მოზარდზე არამიზანმიმართულად და არაორგანიზებულად, სტიქიურად მოქმედებს, ასეთ გარემოდ გვევლინება საზოგადოება, მეგობართა წრე, მასმედიის საშუალებები“ (2.8).

ერთი რამ ცხადია: მომავალი თაობის აღზრდა უმთავრესად სკოლაში მიმდინარეობს, მაგრამ სკოლასთან ერთად განსაკუთრებულ, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ როლს ოჯახი ასრულებს. ამიტომ ცხადია მოსწავლეთა თვითაღზრდა პირველ ყოვლისა, მასწავლებელსა და მშობელზეა დამოკიდებული. მათ სწორ აღზრდაში დიდი მნიშვნელობა სწორედაც რომ მშობლისა და მასწავლებლის პირად მაგალითს ენიჭება.

უდავოა, რომ თანამედროვე ცხოვრება, დღევანდელობა მოითხოვს მშობლის აქტიურ მონაწილეობას ბავშვის აღზრდაში, რადგან მოსაწავლის ქცევა სკოლაში დიდად არის დამოკიდებული ოჯახურ აღზრდაზე. სწორი აღზრდა კი ოჯახში ბავშვის დისციპლინისა და კარგი სწავლის საწინდარია.

ოჯახში იწყება ბავშვის აქტიური ურთიერთობა, მისი ძირითადი თვისებების აღმოცენება. აქ ეყრება საფუძველი მის ზნეობასა და მორალს, ესთეტიკურ და ეთიკურ შეხედულებებს, მის პიროვნულ თვისებებს. ამიტომ, ბუნებრივია, აღზრდის შედეგები არსებითად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია ოჯახი, როგორც სააღმზრდელო გარემო, რამდენად მზადაა მშობელი შვილის აღზრდისათვის, როგორია მისი პედაგოგიური კულტურა და როგორია ოჯახის უფროსს წევრებს შორის დამოკიდებულება.

მშობლის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთო წარმატებისთვის. სკოლებში ეს საკითხი მწვავედ დგას – ხშირ შემთხვევაში მშობლებს ნაკლებად აინტერესებთ, როგორ ართმევს თავს სკოლა მათი შვილის აღზრდის და ზოგადად სწავლების საკითხებში. სახელდება მშობლების მხრიდან ერთი მხრივ მოუცლელობა (“მთელი დღე ვმუშაობ და ვერ ვიცლი”), მეორე მხრივ – მენტალური პოზიცია (“მე რატომ უნდა გავაკეთო

ის, რაც სკოლის საქმეა?”). ალბათ, არის სხვა მეტ- ნაკლები მნიშვნელობის მიზეზებიც. მნიშვნელოვანი და საყურადღებო მომენტია კომუნიკაცია მშობლებთან. მასწავლებლებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ მათთან. კომუნიკაციის მეთოდი შეიძლება იყოს მრავალფეროვანი: ინდივიდუალური შეხვედრა მშობლებთან როგორც სკოლაში, ისე ოჯახში და მუშაობა ყველა მოსწავლის მშობელთან კრებების, კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებათა სახით, რადგან წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მშობელსა და სკოლას შორის დამყარებული კეთილგანწყობაა; ყოველთვიური ნიუსების გამოქვეყნება; სკოლაში მიმდინარე პროცესების მიმოხილვა; მოსწავლეთა მოსწრების შესახებ ინფორმაცია; სასკოლო კალენდრის გაკეთება; კომუნიკაცია ინტერნეტ სივრცეში; ყოველთვიურად მშობლისა და მოსწავლის მიერ ტესტის შევსება; სპექტაკლების ჩატარება, რისთვისაც მოსწავლეები თავად დაამზადებენ მოსაწვევებს მშობლებისთვის; მშობელთა სემინარების მოწყობა ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორიცაა „საშინაო დავალების მომზადება“, ინფორმაციული ტექნოლოგიები“, „სასკოლო განთლება“ და სხვა; კონფერენციების მოწყობა წინასწარ შემუშავებულ საკითხებზე მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის მონაწილეობით; ინდივიდუალური და საერთო კრებების მოწყობა; არაფორმალური შეხვედრები (ექსკურსიები, ლაშქრობები) მშობელთა მონაწილეობით.

მშობელთა ინფორმირებულობა უნდა ხდებოდეს, არა მარტო მოსწავლის პრობლემების შემთხვევაში, არამედ საუკეთესო მიღწევებისა და საქციელისთვის, მადლობის სათქმელადაც. მშობლების სკოლაში მისვლითა და ჩართულობით, ისინი დაინახავენ – როგორც მასწავლებლის სწავლების სტილს, ასევე თავიანთ შვილს სასწავლო პროცესში. აქტიური მოქალაქეობისადმი ინტერესის გაღვივების მიზნით, ჩვენ საკუთარი მაგალითებით უნდა დავუმტკიცოთ შვილებს, რომლებიც ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებიან, რომ საერთო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვა ღირს ძალისხმევად და ხშირ შემთხვევაში სახალისო, საინტერესო და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სასარგებლო პროცესია. სასკოლო ცხოვრებაში მასწავლებლის, მოსწავლისა და მშობლის ჰარმონიული თანამონაწილეობა მოსწავლის აღზრდასა და სწავლებაში მნიშვნელოვანად ნაყოფიერია.

ნანა ჯალაღონია
სსიპ აფხაზეთის მეორე საჯარო
სკოლის დირექტორი

სკოლის წარმატების საიდუმლო

მაქვს პატივი ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ რუსთავის №4 საჯარო სკოლის სახელით მივესალმო საგანმანათლებლო ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება“ განახლებას. დღეს ჩვენი ქვეყნის უმთავრესი გამოწვევა თანამედროვე სკოლის შექმნაა. ასეთი ტიპის ავტორიტეტულმა სასკოლო ჟურნალმა შესაძლოა დიდი როლი შეასრულოს საგანმანათლებლო სისტემის განვითარების საქმეში.

რუსთავის №4 საჯარო სკოლას თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმეში. კერძოდ, უკვე რამდენი წელია მეოთხესკოლელთა უმრავლესობა უმაღლეს შედეგებს უჩვენებს საატესტატო და ეროვნულ გამოცდებზე. მაგალითისათვის, 2016-2017 ს/წელს 72 მე-12 კლასელიდან 25 მოსწავლემ უმაღლესი შეფასებები დაიმსახურა გამოსაშვებ გამოცდებზე; სკოლას ჰყავს არაერთი მოსწავლე, რომელიც 100%-იანი შედეგით ამთავრებს სკოლას. ყველა კურსდამთავრებული სკოლის დამთავრებისთანავე გახდა სტუდენტი, ამასთან ჩააბარა სასურველ ფაკულტეტზე და მათგან 58-მა მოიპოვა სახელმწიფო დაფინანსება. არაერთ კურსდამთავრებულს რესპუბლიკის მასშტაბით უმაღლესი შედეგები აქვს ზოგად უნარებში, ქართულის, ინგლისური ენისა და ისტორიის გამოცდებში.

მეოთხე სკოლის მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ სასწავლო ოლიმპიადებსა და პროექტებში. სკოლას ყოველ წელს ჰყავს ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადისა და სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მე-3 ტურში წარმატებით გადასული და გამარჯვებული მოსწავლეები.

მოსწავლეთა ეს მაღალი მიღწევები პირდაპირ კავშირშია მღალკვალიფიციურ პედკოლექტივთან. სკოლაში მომუშვე 102 მასწავლებლდან 70 სერტიფიცირებულია, მათ შორის ათზე მეტი მასწავლებელი იმყოფებოდა უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად განათლების სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის შერჩევით. მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული საგანმანათლებო პროექტებში, მომხსენებლებად მონაწილეობენ სასწავლო კონფერენციებში.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რაში მდგომარეობს მე-4 სკოლის წარმატების საიდუმლო?

ეს შედეგები არის არაერთი წლის განმავლობაში გაწეული თავდაუზოგავი შრომის შედეგი. ბოლო ათი წლის მანძილზე სკოლამ ბევრი რამ გააკეთა სწავლის ხარისხისა და მოსწავლეთა მოტივაციის ასამღლებლად.

განათლების რეფორმის გზაზე შეიძლება სკოლის განვითარების ეტაპები შემდეგნაირად დავყოთ: 2007-2010 წლებში უპირველესად ვიმუშავეთ რეფორმის გამოწვევებისადმი ადეკვატური განწყობების შექმნაზე მოსწავლეებსა და მასწავლებლებში, სიახლეების მიმღებლობისადმი გაზრდაზე; პარალელურად მიმდინარეობდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება; სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა საკალსო ოთახებში; კითხვითი წიგნიერების განვითარება (კითხვის ჯგუფების შექმნა კითხვაში ჩამორჩენილი მოსწავლეებისათვის); სკოლაში ჩამოყალიბდა სასკოლო ტესტირებებისა და გამოცდების უნიკალური სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს საკლასო ოთახში მოსწავ-

ლის მიერ მიღწეული შედეგის შესაბამისობის დადგენას ეროვნული სსაწავლო გეგმის სტანდარტებთან. 2010 წლიდან სკოლამ ადეკვატურად შეხვდა ახალ გამოწვევებს, ეს იყო მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები თუ მოსწავლეთა სააატესტატო გამოცდები; სკოლა ეფექტურად ჩაერთო დაწყებითი განათლების პროექტში, პროდუქტიულად დაინერგა კვლევების სისტემა და ა.შ. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში შეიქმნა ეფექტური, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, რაც უზრუნველყოფს მოსწავლისა და მასწავლებლის მაღალ მოტივაციას სწავლა/სწავლების პროცესში.

უმთავრესი გარდატეხა მოხდა ღირებულებებისა და სკოლისადმი დამოკიდებულების საკითხში. პედაგოგთა უმრავლესობამ გაიზიარა შემდეგი მოსაზრება: წარუმატებლობისათვის არის განწირული ის მასწავლებელი, რომელიც კვარცხლბეკზე შემდგარი უყურებს საკლასო ოთხს და მიაჩნია, რომ მისი კვალიფიკაცია სავსებით საკმარისია კლასის მოტივაციისაათვის. 21-ე საუკუნის მოსწავლეს პედესტალიდან ვერ დაელაპარაკები, შედეგის მისაღწევად საჭიროა ბავშვის მოლოდინების და საჭიროებების გაგება, მის სულთან და გონებასთან ახლოს მისვლა. მაღალი კვალიფიკაციის გარდა საჭიროა მოსწავლემ შენში გულწრფელობა და საქმისადმი თავდადება დაინახოს.

მოსწავლეებში და მშობლებში გაჩნდა და სულ უფრო ძლიერდება სკოლისადმი ნდობა. მეოთხე სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებში გაჩნდა წარმატებულ ადამიანად ჩამოყალიბების განცდა და მოლოდინი. სკოლის მთავარი მიღწევა არ არის ერთეულ მოტივირებულ მოსწავლესთან მიაღწიოს შედეგს. სკოლის მიღწევად ჩაითვლება ის, თუ მოსწავლე საკუთრ თავში აღმოაჩენს დაფარულ შესაძლებლობებს და მაქსიმალურ შედეგს მიაღწევს სხვადასხვა მიმართულებით. ჩვენ ვცდილობთ მოსწავლეს მივცეთ არა მხოლოდ აკადემიური ცოდნა არამედ განვუვითროთ საჭირო უნარ-ჩვევები, რათა შეძლოს ყველა გამოწვევის წარმატებით გადალხვა ცხოვრების გზაზე. ამიტომ ყველა საგანს ვასწავლოთ თანაბრად, რათა დააგროვოს საბაზისო ცოდნა და საშუალო საფეხურის ბოლო ეტაპზე სწორი არჩევანი გააკეთოს. რაც მთავარია, მეოთხესკოლელების მაგალითი ადასტურებს იმას, რომ სწავლაში წარმატების მიღწევა შესაძლებელია სწორედ სკოლაში, საკლასო ოთახში წლების განმავლობაში გაწეული თავდაუზოგავი შრომით. ინფრასტრუქტურის და სასწავლო რესურსის კუთხით არაფრით გამორჩეულმა ერთმა საჯარო სკოლამ მიაღწია შთამბეჭდავ შედეგებს უპირველესად მაღალკვალიფიციური მასწავლებლების თავდაუზოგავი შრომის წყალობით. დღეს საქართველოში წარმატებული პედაგოგობა მოღვაწეობის ტოლფასია. ყველა პედაგოგს ვუსურვებდი მისი შრომა დაფასებულიყოს იმაზე მეტად, ვიდრე ეს დღეს არის. თუმცა ღრმად მწამს, რომ მასწავლებლის შრომის უმთავრესი საფასური მისი წარმატებული მოსწავლეა, რომლის თვალებიდან მადლიერება და სინათლის სხივი კიაფობს. მთავარია არ დავიღლოთ, არ მოვეშვათ და ბოლომდე დავიხარჯოთ საკლასო ოთახებში. სწორედ ასეთი განწყობით შევქმნით თანამედროვე სკოლას, რაც საბოლოოდ გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას.

მამუკა ხამხაძე
ქ. რუსთავის მეოთხე საჯარო სკოლის დირექტორი

შინაგანი მოტივაციის ამაღლება სასწავლო პროცესში

შინაგანი მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობის ფაქტორები:

• მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები;

• შემეცნებითი და სახალისო სტრატეგიები;

• მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება;

• ფსიქოლოგიური ფაქტორები: განწყობა, ნდობა, თავდაჯერებულობა და სხვა;

• მაღალი მოლოდინი მასწავლებლის მხრიდან.

მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა:

• საჭიროებების დადგენა მასწავლებელს ეხმარება მოსწავლეებს მიუდგეს ინდივიდუალურად;

• საჭიროებების დადგენით მასწავლებელი მოსწავლის სწავლასა და შემოქმედებით უნარზეა ორიენტირებული;

• საჭიროებების დადგენით მასწავლებელი მოსწავლეებს ეხმარება აუმაღლოს მოტივაცია;

• საჭიროებების დადგენით მასწავლებელი ზრუნავს კლასის საერთო აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე.

თვითშეფასება:

• მოსწავლეს ეხმარება გააცნობიეროს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარე;

• თვითშეფასების შემდეგ მოსწავლე თავად გეგმავს საჭიროებებს;

• თვითშეფასების შემდეგ მოსწავლე ცდილობს დასძლიოს სუსტი მხარე.

წერითი სამუშაოს შესრულება:

• მოსწავლეს უნდა ეხმარებოდეს საკუთარი ძალების განმტკიცებაში;

• დავალების სახე მოსწავლეს უნდა უძლიერებდეს მოტივაციას შესრულების მიმართ;

• მოსწავლეს უნდა ესმოდეს საშინაო დავალების შესრულების მიზნები.

დისკუსია

• იზრდება მოსწავლეთა შინაგანი მოტივაცია ინფორმაციის მოძიებისა და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის მიმართ;

• მოსწავლეს არწმუნებს საკუთარ ძალისხმევაში;

• ყველა მოსწავლეს აქვს თანაბარი შესაძლებლობა ჩაერთოს დისკუსიაში;

• მოსწავლეებს მოსწონთ მასწავლებლის როლის შესრულება, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, ამიტომ ხშირად ჩართეთ მოსწავლეები მსგავს აქციებში.

გაკვეთილის დაგეგმვა:

• ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილი უფრო დიდ ნდობასა და თანამშრომლობით ურთიერთობას აყალიბებს;

• მოსწავლეს უფრო მეტი სტიმული აქვს მოიძიოს შესაბამისი მასალა და გაამრავალფეროვნოს გაკვეთილი;

• გაკვეთილის ერთად დაგეგმვა მოსწავლეს უღვიძებს შინაგან მოტივაციას სწავლის, ცოდნის მიღების მიმართ.

გუნდური მუშაობა:

• გუნდური მუშაობა მოსწავლეებს უვითარებს თანამშრომლობით კულტურას;

• პატივს სცემენ ერთმანეთის აზრს და შესაძლებლობებს;

• საერთო საქმე მათ ახალისებთ და იკრებენ ძალისხმევას მეტი ჩართულობისათვის.

მოსწავლეთა მიღწევების შეფასება:

• მიღწევების შეფასება მოსწავლეს კიდევ ერთხელ შეახსენებს წარმატებულ და წარუმატებელ მხარეს;

• მიღწევების შეფასება მოსწავლეს არ აძლევს თვითკმაყოფილების საშუალებას;

• მოსწავლე ხდება ობიექტური შემფასებელი;

• მიღწევების შეფასების შემდეგ მოსწავლეები კვლავ გეგმავენ საჭიროებებს, მაღლდება მოტივაცია.

მასწავლებლის ქცევა

• სასწავლო პროცესის გამდიდრება: გამოვიყენე მრავალფეროვანი სასწავლო მასალა, ხალისიანი აქტივობები;

• ვეცადე მოსწავლეთა გააქტიურებას პრეზენტაციებით, დისკუსიით, როლური თამაშებით;

• ჩავრთე მოსწავლეები ცოდნის შეფასების რუბრიკების, კრიტერიუმების შემუშავებაში;

• გამოვიყენე მრავალფეროვანი სირთულის დავალებები მოსწავლეთა შედეგების მიხედვით;

• აქტივობები შეფასების გარეშე დადებითი უკუკავშირით, კომენტარებით შეფასება;

• მოსწავლეები ჩავრთე გაკვეთილის დაგეგმვაში, ხშირად ვიღებ მათგან რჩევებს, გამოვრიცხავ მიკერძოებას, ჩემთვის ყველა მოსწავლის აზრი ფასეულია.

მოსწავლის ქცევა

• მოსწავლეები პატივს სცემენ გარშემო მყოფებს;

• ჩემს მოსწავლეებს არ ეშინიათ თვითგამოხატვისა და საკუთარი აზრის გამოთქმის;

• მოსწავლეები გახდნენ თვითორგანიზებულნი, შეაჯერებენ მოსაზრებებს;

• მოსწავლეები მეხმარებიაან სასწავლო რესურსის ეფექტურად გამოყენებაში;

• მოსწავლეები გააზრებულად ერთვებიან ამა თუ იმ დავალების შესრულებაში, რადგან იციან რა მიზანს ემსახურება;

• განსაკუთრებული ხალისით ეჭიდებიან რთულ დავალებებს;

• მოსწავლეები ჩემთან ერთად ქმნიან შეფასების ინსტრუმენტებს;

• მოსწავლეებმა შეძლეს საკუთარ პროგრესზე დაკვირვება.

ნანული ქათამაძე

შუახევის რაიონის ხიჭაურის წმინდა გიგოლ ხანცთელის სახელობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

„ხმათა ხავერდებისა და ღმერთების ენა“

ერთი უცხოელი ქართველოლოგი ორიენტალისტი ბრძანებდა: „ქართული ალფაბეტი ჩემთვის ჯერაც უცნობი სფინქსია. მარტო ესთეტიკური თვალსაზრისით რომ ავიღოთ, ვერც გოტური, ვერც ლათინური და ვერც სანსკრიტული ენების ანბანი შეედრება თქვენს სადასა და ლამაზ, კოხტა ასოებს.

ქართველები ალბათ ვერც კი ამჩნევთ, რომ არც ერთი თქვენი ისტორიული მეზობლის, არც სხვა, თქვენგან მოშორებით მცხოვრებ ხალხთა ალფაბეტის გავლენა არ ატყვია მას. იგი სრულიად თავისებურია და საოცარი“.

იმედია, გადაჭარბებად არავინ ჩაგვითვლის, თუკი ვიტყვით, რომ საქართველო ჭეშმარიტად გამორჩეული ქვეყანაა, წილხვედრი ღვთისმშობლისა, ხოლო ჩენი ენა – „უპირველესი ნიშანი ეროვნებისა“, არა მხოლოდ იმით გამოირჩევა, რომ მისი “მზისა და მთვარის” ანბანი ერთ-ერთი ულამაზესია ქვეყნად არსებულ 14 ანბანს შორის, იმითაც, რომ „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“ და ამ ენას „სახარებასა შინა ლაზარე ჰქვიან“.

ღმერთს არა ერთხელ მოუვლენია სასწაული ნიშნად იმისა, რომ ეს ყოველივე მხოლოდ სიტყვები არ არის. კარგი იქნება, თუ დრო და დრო ამ სასწაულებს თვალს გადავავლებთ, გავიხსენებთ ხოლმე.

იდგა X საუკუნე. ეს ის ჟამია, როცა საბერძნეთში, ათონის წმინდა მთაზე, თორნიკე ერისთავის, იოანე მთაწმინდელისა და ექვთიმე ათონელის უდიდესი ღვაწლით აღმოცენდა ქართული კულტურის უდიდესი კერა – ათონის ივერთა მონასტერი.

ბიზანტიის საიმპერატორო კარი მძევლებს ითხოვდა საქართველოდან. ქართველმა წარჩინებულებმა, ნაცვლად იმისა, რომ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოეჩინათ ბერად აღკვეცილ იოანეს მცირეწლოვანი ვაჟის მიმართ, სწორედ იგი გაიმეტეს მძევლად.

მოგვიანებით იოანემ მწარედ უსაყვედურა დიდებულებს: „რაი არს ესე? ნუუკვე შვილ არა გეხსნესა თქვენ? გარნა ესე ცხად არს, რომელ მათ სწყალობდით, ვითარცა თვისთა შვილთა და ძე ჩემი, ვითარცა ობოლ, მძევლად გასწირეთ“.

იოანემ იმდენი შეძლო, რომ ძე თვისი, ექვთიმე დაიხსნა მძევლობიდან და თავისთან წაიყვანა, მაგრამ დიდად სწუხდა იმის გამო, რომ ამ ხნის მანძილზე ექვთიმეს ფაქტიურად დავიწყებოდა ქართული ენა.

ერთხელ ექვთიმე ავად გახდა. ჭაბუკის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ მის გადარჩენას აღარავინ ფიქრობდა. შეწუხებული იოანე გამოვიდა ექვთიმეს სენაკიდან და მღვდელი გაუგზავნა მომაკვდავს საზიარებლად, თვითონ კი ხატის წინ დაეცა და ღვთისმშობელს შეავედრა შვილის სული.

სენაკში დაბრუნებულ იოანეს საოცარი სიხარული ელოდა. კარი შეაღო თუ არა, საოცარი ნელსურნელება იგრძნო, ხოლო ექვთიმე სრულიად ჯანმრთელი

წამომჯდარიყო თავის საწოლზე და უღიმოდა.

– რა მოხდა შვილო? – ჰკითხა მამამ.

ექვთიმემ კი სუფთა ქართულით უპასუხა:

– „აწღა წარმომიდგა დიდებული დედოფალი და მრქვა ქართულითა ენითა“:

– რაი არს, რაი გელმის ექვთიმე?

ხოლო მე ვარქუ, ვითარმედ: – მოვკვდები, დედოფალო! – და ვითარცა ესე ვთქუ, მომეხლა და მიჰყრა ხელსა და მრქვა: – არარაი არს ვნებაი შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი! – და აჰა, ესერა, ვითარცა მხედავ, ყოველადვე არღარაი მელმის“.

მართლაც, ალბათ, არ არსებობს სენი უფრო მძიმე, ვიდრე მშობლიური ენის დავიწყებაა. ამ სენისაგან თვითონ ღვთისმშობელმა განკურნა ექვთიმე და თუკი მანმადე ქართულად სიტყვის თქმა უჭირდა, მას შემდეგ მისი პირიდან „დაუყენებლად, ვითარცა წყაროი, აღმოდინ უწმინდეს ყოველთა ქართველთასა“. მას შემდეგ იქცა იგი ქართული ენის თავდაუზოგავ მოსარჩლედ და დაუღალავად იღვწოდა და თარგმნიდა. მისი თარგმანების მსგავსი „არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩვენსა და ვჰგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არსო“ – წერდა გიორგი მთაწმინდელი.

ნინო კაკიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი

ყოველ სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარევის ცოდნა უნდა დაედოს.

ენის გამდიდრება სხვისი სიტყვებით ერს არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებს.

ილია ჭავჭავაძე

კარგი მთქმელი ის არის, ვინც თავის ნათქვამს სხვებს შეასმენს.

აკაკი წერეთელი

ილია ჭავჭავაძე – ქართული ენის რეფორმატორი

ერის სულიერი მოძღვრის ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივ მოღვაწეობაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დადებით მხარეს ყოველთვის წარმოადგენდა ბრძოლა ქართული ენის უფლებების დაცვისა და მისი შემდგომი სრულყოფა-განვითარებისათვის. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ როცა იგი გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე ქართული ენა უფლება-აყრილი, დევნილი და შევიწროებული იყო ცარიზმის მიერ. ენა – რუსთაველისაგან მსოფლიოს უკულტურეს ენებთან გათანასწორებული, უძველესი და უმდიდრესი, ულამაზესი და უნატიფესი, ჟღერადი და მოქნილი, "შემკული და კურთხეული", მე-19 საუკუნეში განდევნილი იყო სახელმწიფო დაწესებულებებიდან და სკოლიდანაც.

ასეთ პირობებში დიდი ბრძენკაცის, ილიას გამოჩენა სამოღვაწეო სარბიელზე დიდი ბედნიერება იყო. მასში ქართველმა ხალხმა იპოვა სულიერი მამა, სულიერი მოძღვარი, რომელიც ენის სულის საუკეთესო გამომხატველი, იმის სულისკვეთების სალარო, გენიოსობის განხორციელება იყო.

საქართველოს ეროვნულ-განმანათლებელი მოძრაობის უპირველესი ფიქრთა მპყრობელი ქართული სალიტერატურო ენის დიდი მოამაგე და ნორმათა კანონმდებელიც გახლდათ. მან განსაზღვრა მისი განვითარების ძირითადი გზები. „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?" – სვამდა კითხვას დიდი ბრძენკაცი და თავადვე პასუხობდა: მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენს მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა. იგი ეროვნების არსებით ნიშანს, მის სულს და გულს წარმოადგენს. მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს. მართლაც მთელი ცხოვრება თავისი გოლიათური შემართებით გამალებული იბრძოდა იმისთვის, რომ ცოდვილის ხელით არავინ შეხებოდა ერის უძვირფასეს განძს და საუნჯეს. დიდი ენათმეცნიერის აკაკი შანიძის სიტყვებით რომ ეთქვათ, ეს ბრძოლა სხვადასხვა გარემოებაში სხვადასხვა სახეს იღებს: ორიგინალურ ბელეტრისტულ ნაწერებში ის ქმნის უკვდავ სახეებს, წარმტაც სურათებს, ჭედს ქართულ სიტყვას, ნათარგმნ რომანში იძლევა მისაბაძ ნიმუშს იმისას, თუ როგორ უნდა იქნეს გადმოქართულებული რომელიმე ნაწარმოები, ცისკრელებთან ბრძოლისას ერთი კალმის მოსმით აუქმებს ახალი სალიტერატურო ენისთვის ზედმეტად გამხდარ ასოებს, იანოვსკის წინააღმდეგ ბრძოლაში თავგამოდებით იცავს ქართული ენის უფლებას და სხვა და სხვა.

დიდი ერისკაცს ნათლად ჰქონდა გააზრებული ის ჭეშმარიტება, რომ ანტონ კათალოკსის „სამი შტილის" თეორიის დოგმებსა და მარწუხებში მოქცეული ქართული სალიტერატურო ენა

ჭეშმარიტ სამსახურს ვერ გაუწევდა ხალხს, არ გამოდგებოდა ერის აღმზრდელად და წინამძღოლად. ამიტომ ენის რეფორმატორმა ერთბაშად დალეწა დედაენის შემბოჭველი ჯებირები და გზა გაუხსნა ხალხის ცოცხალი სასაუბრო მეტყველების მძლავრ ნაკადს. „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკოსი“. აცხადებდა იგი და ნაბიჯ-ნაბიჯ მტკიცედ მიდიოდა წინ ენის გადახალისება-გადახალხურების არჩეულ გზაზე.

ენის დიდმა ქომაგმა პირველი რიგის ამოცანა ორთოგრაფიის და მართლწერის გამარტივება დაისახა მიზნად. მან ხმარებიდან ამოიღო ზედმეტი ასოები, რომელთაც პრაქტიკული ღირებულება დაკარგული ქონდათ. მიუხედავათ ამისა მათი სახალხო უარყოფა და ხმარებიდან ამოღება დიდ გაბედულებას და ავტორიტეტს მოითხოვდა. ეს დიდი მისია ერის სულიერმა მოძღვარმა თავისთავზე აიღო. მან გადაჭრით უკუაგდო ზედმეტად ქცეული ასოები და დამაჯერებლად დაასაბუთა მათი ზედმეტობა და უსარგებლობა.

ერის სულიერი მესაჭის რეფორმატორულმა მოქმედებამ დიდი მღელვარება გამოიწვია უფროს თაობაში. არქაული ენის ქომაგებისათვის ახალი და უჩვეულო იყო ილიას ენა. ეს გახდა ძირითადი მიზეზი ძველ და ახალ თაობას ანუ მამებსა და შვილებს შორის ბრძოლისა, რომელიც ჟურნალ „ცისკარის“ ფურცლებზე გაიმართა.

როცა ძველი თაობის წარმომადგენლებმა მათ შორის იყო გრიგოლ ორბელიანიც, დიდ ერიკაცს და მის თანამებრძოლებს „ენის წახდენაში“ დასდეს ბრალი ამაზე ილიამ ღირსეული პასუხი გასცა. „ენა მაღალი, მის სიღრმე ძალი, ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა, პირველ თქვენგანმა, იმა ბედშავმა მას მკვდრის სუდარა გადააფარა. ენა მდიდარი, თქვენს ხელში მკვდარი, ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად, და ამასაც თქვენ ცოდვად გვითვლით ჩვენ, რაღა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად“.

მართალია ორთოგრაფიული რეფორმის გატარებაში უფროსი თაობის ლიტერატორთა შორის ილიას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მაგრამ საბოლოოდ მისმა ბრძნულმა მეცნიერულმა დებულებებმა გაიმარჯვა. ამას დიდად შეუწყო ხელი „საქართველოს მოამბის“ დახმარებამ. ერის ფიქრთამპყრობელის მიერ შემოთავაზებული ფორმა მიიღო და გაატარა კიდეც ქართულმა მწერლობამ. იგი მტკიცედ დამკვიდრდა სალიტერატურო ენაში.

ერის მოძღვართმოძღვრის მიერ დაწყებული ბრძოლა სალიტერატურო ენის ხალხურობისათვის, რა თქმა უნდა, მარტო ორთოგრაფიასა და მართლწერის სრულყოფით არ შემოიფარგლებოდა. ენაში თავი მოიყარა სხვადასხვა დიალექტის დამახასიათებელმა ფორმებმა და ლექსიკამ, სადაც საკითხები შეიქმნა მორფოლოგიის, სინტაქსის და ტერმინოლოგიის სფეროში. დიდი ილია თანამებრძოლებთან ერთად დაუცხრომლად ზრუნავდა აღნიშნული პრობლემების, სადაო ენობრივი საკითხების მოსაგვარებლად დასალიტერატურო ენის ნორმების დასადგენად.

განუსაზღვრელია ერის სულიერი მესაჭის წვლილი ქართული ლექსიკის გამდიდრება

განვითარების საქმეში. ძნელად თუ მოიძებნება მეორე ქართველი მწერალი, რომელსაც იმდენი სიტყვა შემოეტანოს ქართულ სალიტერატურო ენაში, რამდენიც დიდმა ილიამ შემოიტანა. ილიას ამ მოღვაწეობაში აღსანიშნავია ერთი მხრივ, უცხო სიტყვების შემოტანა და მეორე მხრით, ქართული ენის წიაღში, ხალხის ცოცხალი მეტყველების საუნჯეში დაძებნა ისეთი სიტყვებისა და გამოთქმებისა, რომლებიც საჭიროა მეხსიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგთათვის.

დიდ ბრძენკაცს ჩინებულად ესმოდა, რომ საჭირო იყო ბრძოლა უცხო სიტყვებით ენის დანაგვიანების წინააღმდეგ, ხოლო ამავე დროს კი მწვანე შუქი უნდა მისცემოდა ისეთ სიტყვებს, რომლებსაც ყველა ცივილიზებული ხალხის ენაში გზა ხსნილი აქვს. ნათქვამის ნათელსაყოფად დიდ ბრძენკაცს მოაქვს სიტყვა კრიტიკა. იგი წერს: „კრიტიკა“ – ამის თანასწორი მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულ ენაზე. ეგ სიტყვა ეხლა მთელ კაცობრიობას ეკუთვნის დაყოველი ხალხი, ცოტაოდენად განათლებული ხმარობს თავის ენებში. მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ეგ სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს“.

თავისი აზრის ნათელსაყოფად დიდ ბრძენკაცს მოჰყავს სხვა მაგალითებიც. „ორიგინალი“, „სენტიმენტალური“ და სხვანი მაგგვარი სიტყვები ხმარებულია ჩემს აპრილის სტატიაში, თქვენ უცხო სიტყვებად მიგიღიათ, – მიმართავდა ილია თავის მოწინააღმდეგეებს. ეგ მართალია, ქართული სიტყვები არ არი, მთელი კაცობრიობა კი ხმარობს. თუნდ რომ მე არ ვიხმარო ეგ სიტყვები, მაინც კიდევ უთუოდ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარნენ: პოემა, პოეზია, ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია, ლოგიკა და სხვანი მრავალნი.

ვის, ვინ და ერის სულიერ მესაჭეს ესმოდა, რომ მარტო უცხო სიტყვათა შემოტანით სატერმინოლოგიო საქმეს ვერ უშველი. ამიტომაც იგი ენის საუნჯეში ეძებს ისეთ სიტყვებს და გამოთქმებს, რომლებიც მისი აზრით, გარკვეულ ცნებათა გადმოსაცემად გადმოდგებიან. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ილიას ოდენა საქმე ამ მხრივ არავის აქვს გაკეთებული.

დიდი ერისკაცი ეძებს და პოულობს საჭირო სიტყვებს, აძლევს მათ გარკვეულ შინაარსს, ქმნის ტერმინებს, აწოდებს მათ საზოგადოების პრაქტიკულად გამოყენებისათვის. ასე დაუპირისპირა მან „პივას“ – ლუდი, „გიპსს“ – თაბაშირი, „კოპიოს“ – ასლი, „ტამოჟნას“ – საბაჟო. დღეს ყველასათვის ნაცნობ ამ სიტყვებს ილია ჭავჭავაძემ გაუკვალა გზა სალიტერატურო ენაში.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, ცხოვრების აჩქარებულ მაჯისცემას, ცხადია ისეთი ცნებებიც მოჰყვებოდა, რომელთა შესატყვისი მზამზარეული სახით ქართულ ენაში არ მოიპოვებოდა, საჭირო იყო ახლის შექმნა. ყველაზე მეტად აქ გამოჩნდა ილიას ბრწყინვალე შემოქმედებითი ნიჭი და ენობრივი ალღო. ასე შემოვიდა ილიას მეშვეობით ქართულში სიტყვები „წოდება“, „მიმართულება“.

დედამიწის, დედაბოძის, დედაენის ანალოგიით შექმნა ილიამ დედააზრი, დედაარსი, მიწათმოქმედება, მეურნეობა, წარმოება.

ავიღოთ საყოველთაოდ ცნობილი სიტყვა მამული. ამ სიტყვას ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს "სამშობლო და მიწა-წყალი. რომელიც ვისიმე საკუთრებას შეადგენს და მემკვიდრეობით გადაეცემა მამიდან შვილს". ამ სიტყვის ზოგადი მნიშვნელობა დაჩრდილული, შეიძლება ითქვას მივიწყებული იყო, დიდი ილიას მეშვეობით ადრინდელი ძალა და ბრწყინვალება დაიბრუნა "მამულმა". რა ხშირად ისმის იგი მის მხატვრულ ქმნილებებში.

დიდი ილიას შეუნელებელი ზრუნვით არაერთი სიტყვა შემოვიდა ქართულში გაფართოებული მნიშვნელობით. ასეთი სიტყვებია: დედაკაცი, მოურავი, მიცვალება, მიცვალებული, წყალობა. ამ უკანასკნელ სიტყვას ილია ქართველთა ბინადრობის საკითხს უკავშირებს. მოვუსმინოთ ერის სულიერ მეუფეს: „განა ამისთანა სიტყვები, როგორც არის „წყალობა", „მოწყალე", „შემიწყალე", „მოწყალება", აქ ყველგან „წყალი" ისმის და ის ამისთანა ცოცხალი მოწმე განა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველის ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყალობა" ნატვრისა და ვედრების საგნად გახდომია. ტიგროსისა და გეფრატის გაღმა აღარ ვიტყვი, მარტო რმენია ავიღოთ, სადაც წინათ ბინადრებულა ქართველი და სადაც წყალობა მართლა ღვთის დიდი წყალობაა, იმიტომ, რომ მიწა მდიდარია, ხოლო უწყლოდ კი არა მოჰყავს რა.

ილიას ენიდანვე იღებს სათავეს დღეს საყოველთაოდ ცნობილი და დამკვიდრებული სიტყვები: კაცობრიობა, რწმუნება, აგებულება, აღებ-მიცემა, ეროვნება, მსოფლმხედველობა, მთავრობა, მმართველობა, მოთხოვნილება, რწმუნებულება, ღირებულება, შინაარსში, საქონელი, დასაქონლება, მიმოქცევა, განყენებული, საერთო, საზოგადო, ზედამხედველობა, ცნება, განსახიერება, მზამზარეული, ხელისუფლება, საყოველთო, უფლება, მოხელე, ხილ-ხული, ფლასტი-ფლუსტი, გათქვირული, პირქუში, თქვეფა, საეჭვო, საკომლო, სოფლობა და სხვანი.

ასე დღენიადაგ ზრუნავდა, გუშაგად ედგა, თვალისჩინივით თავს ევლებოდა და ეჭირისუფლებოდა მრავლისმეტყველი, სიბრძნისმეტყველ, მთვარიან და მზიან, შემკულ და კურთხეულ მშობლიურ ენას, ჯავარიან ქართულ სიტყვას და სახილველ ხატს – ქართულ ანბანს დიდი ილია, ამით დიდმა ერისკაცმა დედაენის დაცვა-შენარჩუნების ნამდვილი გმირული მაგალითი მოგვცა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა ილიას ნაჩვენები გზით უნდა წავიდეს და ისიც, რომ „დედაენა კვლავ, რომ ინთებს მკერდზე ციცინათელებს, ამ განძს თუ არ მოუარე, ისე ვერ იქართველებ".

მერი ხიმშიაშვილი
ქ. ბათუმის №11-ე საჯარო
სკოლის პედაგოგი

„ცოდნის ლამპარი“

შენი ხნულია ჩვენი ქვეყანა
და იმ ხნულებში ისევ თესლდები,
დრო ვერ სეცვლის თქვენს არსებობას
და არასოდეს არ დაბერდები.

იაკობ გოგებაშვილი „დედა ენის“ უბრალო სახელმძღვანელოს შემქმნელია, ეროვნული სკოლის საძირკველი „დედა ენა“ არის იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური ოსტატობის მწვერვალი, უფრო მეტიც ქართველი ხალხის ეროვნული გენია. სწორედ იმან განაპირობა რომ „ვეფხისტყაოსანი“-ს შემდეგ საქართველოში არც ერთ წიგნს არ მოუპოვებია ისეთი პოპულარობა და ხალხის სიყვარული, როგორც „დედა ენა“-მ „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ არც ერთ წიგნში არ ასახულა ისე სრულად საქართველო და ქართველი კაცი ადამიანური ბუნება, როგორც „დედ ენა“-ში აისახა.

წიგნმა გაუძლო მრავალ ჭირს და განსაცდელს მან ბეწვის ხიდზე გაიარა და დღესაც კვლავ ჭაბუკური შემართებით დგას საზოგადოებრივი ცხოვრების სამსახურში.

„რამდენ ქარ-ცეცხლს გადაურჩით
მაგრამ ენა ვერ წაგვართვეს
ბევრი ტყვია ჩაგვცეს გულში
და მაინც ვერ დაგვამარცხეს“.

„დედა ენის” მთელი საკითხავი მასალა ისე მოფიქრებულია საქმის ცოდნით ბავშვების ბუნების გათვალისწინებით შერჩეული, რომ იგი თვალწინ გვიხატავს ჩვენს სამშობლოს თავისი გარეგანი და შინაგანი მშვენიერებით. ამ წიგნმა თანდათან შეიყვანა ბავშვი ცოდნის სამყაროში. წერა კითხვის სწავლებასთან ერთად მოახდინა მისი სულიერი სამყაროს ფორმირება.

„დედა ენა“ დედა ღვთისა,
„დედა ენა“ ამბის თქმისა
„დედა ენა“ მშობლიური
„დედა ენა“ დედა შვილსა

იაკობ გოგებაშვილი ეკუთვნის ისეთ ამაღლებულ გონებაგახსნილ სიღრმისეულ პიროვნებას, რომელსაც საუკუნეები იშვიათად შობს. ჩვენთვის ქართველი ერისათვის მომავალი თაობისთვის უდიდესი საზრდოა, სინათლეა, იმედია და გზის გამკაფავია. ის თითოეული მოქალაქისთვის სამომავლო იდეების განმსაზღვრელი ბარომეტრია.

„არ დატოვე ჩვენს მიწაზე
ერთი გოჯიც დაუხნავი
ყველაფერი რომ დაინგრეს
შენ დარჩები დაუწვავი“.

იაკობის წიგნით სწავლობდა ქართველი კაცი სამშობლოს სიყვარულს, შთააგონებდა მოზარდთა თაობას ყოფილიყვნენ პატიოსანი და კაცთმოყვარე, ეცხოვრათ სიამტკბილობით და მეგობრობით.

ვის არ გაჰყვება მთელი სიცოცხლის მანძილზე კეთილი კაცის ნატვრა.

„ნეტავი ჩემი სასახლე მაღალ მთაზედა ამეგო,
გამვლელ გამომვლისათვის ყოველდღე კარი გამეღო,
სიტყვა არვისთვის მეწყინა სუყველას გული მომეგო,
რაც მეშოვნა და მეპოვნა სულ ღარიბებზე გამეყო“.

ვინ არ მოხიბლულა მისი მოთხრობებით სადაც შეტანილია ქართული ერის ტანჯული ცხოვრება და ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის. მაგალითად მან გააცნო ბავშვებს ქვეყნისათვის თავდადებული ქართველები: „სამასი თავდადებული გლეხი“, „ცოტნე დადიანი“, „ბოსტაშილი“ „ცხრა ძმა ხერხეულიძეები“. „მღვდელი თევდორე“ და ცალკეწიგნად გამოსცა “იავნანამ რა ჰქმნა”. საქართველოში პოპულარულ წიგნად გადაიქცა „ბუნების კარი“ რომელიც 1860 წლის სექტემბერში გამოვიდა როგორც „დედა ენის“ გაგრძელება და უფროსკლასელებში საკითხავი წიგნი. მდიდარი ინფორმაცია მიაწოდა მოსწავლეებს ბუნების და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგიდან. არ დატოვა დარჩენილი გარე სამყარო მძიმე მხარე რომლის შესახებ ბავსვს არ შეძლებოდა ინფორმაციის მიღება. შეიძლება თამამად ეწოდოს ბუნების კარს ქართველი ხალხის ფარი და ხმალი. მუდამ იყოს ალესილი ქართული ხალხის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ბრძოლაში.

დღესაც ჩვენს ქვეყანაში მოპოვებული დამოუკიდებლობა, თავდადება დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პრინციპების სათავე „დედა ენით“ დაიწყო და განვითარდა.

იაკობს ძალა, ენერგია შემართება ჭეშმარიტი სიყვარული ერისა თანადგომა საზოგადოებრივი საქმიანობის კეთებაში ეს იყო იაკობის პრინციპული სახე.

„ჩვენი გადასახედიდან
ცოდნის კარი გაგვიღო,
ბილიკიდან ფართო გზაზე
სწავლის ხიდი გაგვიგო“.

იაკობის შემოქმედებით ნიჭზე, უნარზე საუბარი დაუშრეტელი წყაროა, რომელიც არასდროს არ დაშრება და არც დაილევა. მიუხედავად მისი მძიმე ავადმყოფობისა ის მაინც თავის ერზე სამშობლოზე აწყობდა და ალაგებდა აზრებს, რომლის ასრულების იმედი ქონდა. იაკობი სუსტად იყო, ზოგჯერ სიარულიც უჭირდა მაგრამ უშვილო კაცს მთელი ახალი თაობა თავის ღვიძლ შვილებად მიაჩნდა. წერდა და არ იღლებოდა, ტკიოდა მაგრამ უძლებდა, ძილი უნდოდა მაგრამ არ იძინებდა ის სიცოცხლეს მხოლოდ იმისთვის ნატრობდა რომ

ერისათვის სარგებლობა მოეტანა და საუკუნოდა დარჩენილიყო. მისი თითოეული ნაწარმოები დაფუძნებული იყო სრულყოფილ მოდელზე ახალი ცხოვრების ნამდვილ სტანდარტზე. ის ქველოქმედიც იყო მასთან ხშირად მიდიოდნენ ახლობლები. მეზობლები მოიკითხავდნენ ის კი მადლობის გარდა საჩუქრებს ურიგებდათ. იტყოდა „ყველა გაჭირვებული არ მქონე წერა კითხვის უცოდინარი ჩემთვის მეორე სატკივარია“. მისმა შინაგანმა ბრძოლის უნარმა ავადმყოფობას წინ გაუსწრო და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ის რაც ჩაფიქრებული ჰქონდა სიცოცხლეში მოესწრო. შეიძლება ითქვას, რომ კაცი განუმეორებელი მოჭირნახულე ზნეობრივად ამაღლებული, შემკობილი იუმორით ხალხური სიმაღლეების მოყვარული ქართულ ადათ-წესების დამცველი. იაკობმა სიყვარულის ძალაც კარგად იცოდა. მას ბევრჯერ გაუჩენია სურვილი ცოლი შეერთო, მაგრამ აქაც გააზრებული შინაარსის ქმედება გამოიჩინა. მან უარი თქვა შეექმნა ოჯახი, რადგან მისი დაავადება საშიშროებას უქმნიდა შთამომავლობას. არადა ვფიქრობ როგორც ავტორი ამ თემისა იაკობი ღირსი იყო ძლიერი სიყვარულისა, ღირსი იყო შვილების გამრავლებისა. მის შთამომავლობას დარჩებოდა იაკობის გენი და ისიც სასარგებლო იქნებოდა ჩვენი ქვეყნისათვის, ამბობდა: „უფალმა დედამიწას ადამიანი უზარმაზარი ჯილდოს სახით მისცა ამიტომ ის უნდა ჩამოყალიბდეს არა ველური თვისებებით, არამედ ოჯახში და საზოგადოებაში ნამდვილ ადამიანებად. ეხებოდა საზოგადოების მართვის სისტემას რათქმაუნდა მოკლედ მაგრამ მეტად მტკივნეულად განიცდიდა თუ რამ არ მოეწონებოდა.

„მჯერა ყოველ დროს და პერიოდს
იაკობი სჭირდება
ენა ტკბილად მოუბარი
არა-ქილიქი და გინება“.

იაკობის მთავარი ძარღვი ხალხური სიბრძნე იყო. სიბრძნეზე აგებული მხატვრული შედევრი. მისი „დედა ენის“ სიყვარულს ეს განაპირობებს. ქართველები მშობლიურ ენას დედაენას ვეძახით. იაკობს დედა ღვთიურ ძალად მიაჩნია. ამიტომ არის, რომ ჩვენს პლანეტასაც დედამიწა ქვია, მთავარ ქალაქს დედაქლაქი, სახლის მთავარ ბოძს დედაბოძი, „დედა ღვთისა“.

არის ნათქვამი დედობრივმა ძლიერებამ და ძალამ დაამარცხა დედამიწაზე სისხლისმღვრელი თემურ-ლენგი რომლის ფეხქვეშ მიწაც გმინავდა. მოწინააღმდეგეს მიმართა დედამ – არ მომეკარო შენ უბრალო ჯარისკაცი ხარ, მკვლელი – მე დედა ვარ შვილს ვეძებო. ქართველი ქალი ვეფხვებთან მეომარ შვილებს უზრდიდა ქვეყანას. ის საახალწლოდ პურის ხმლებს და შუბებს უცხობდა ბავშვებს. ხან ნაღვლიან იავნანას დაჰღიღინებდა აკვანს ხან ცხრა კუბოს

დაჰქვითინებდა, მაგრამ მისი ამაყი სული მაინც იმედოვნებდა მომავალის უკეთესობაზე. ქართველი დედა იავნანას ხმებით უნერგავდა პატარებს მამულის სიყვარულს. მისმა მოთხრობამ „იავნანამ რა ჰქმნა“ ბრწყინვალე ნიმუშია იაკობის მოთხრობაში, მან გვიჩვენა დიდი შინაგანი ბუნების ძალა მან გამოხატა პედაგოგიური გენიალობაც შეცვლილმა გარემოებამ სოციალურმა ყოფამ და გეოგრაფიულმა გარემომ ქეთოს სახით ქართველი ქალი გადააქცია ლეკ ქალად, კახეთის შვილი დაღესტნის შვილად. ქეთოს უბრუნებენ ძველ გარემოს, მაგრამ ეს სიკვდილის ტოლი იყო მისი დაბრუნება. თვალწინ ედგა ის გარემო, სადაც გაიზარდა დღედაღამ უარესდებოდა მისი მდგომარეობა, მაგრამ ქართველი ხალხის სისხლძარღვში ჩამჯდარი და იმდროინდელი ცხოვრების პირობების დროს გათვალისწინებულმა სიმღერამ სულსხვა დღე გაუთენა. მის სისხლში ამოძრავდა ქართული გენი და ქართული სიმღერა, რომელსაც დედა ხშირად უმღეროდა.

იაკობი სულ ამბობდა საზოგადოებრივ ურთიერთობაში ცხოვრება იცვლება, ადამიანები მიიღებენ ცოდნას და განათლებას და დადგებიან იმ დონეზე, რომ ქვეყანაში ერთად გამონახონ საერთო ენა, მაგრამ ამას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება.

პიველი დაბადება, პირველი გაზაფხული. მისი პირველი ამბმით „აღუ“-თი დაიწყო პირველი გაზაფხული, „ია-ია“-თი დაიწყო. ის ერისათვის ფიქრობდა და მისი ჩანაფიქრი ჯილდოა, საზრდოა და სამუდამოა. ჩემი გადასახედიდან მინდა ვწერო, არასოდეს დამელევა დიდებული ადამიანისთვის მასავით მადლიანი სიტყვა.

დაუსრულებელ სივრცეს წარმოადგენს მისი შემოქმედებითი მუშაობა. შესაშურია მისი ქართველობა, უბადლო ნიჭი გამძლეობის უნარი და დაუოკებელი ბრძოლა ქართველი ერისათვის. მაგალითად მინდა მოვიყვანო ლეჩხუმელი კაცი ელიზბარ მამარდაშვილის მოგონებებიდან: ის როცა ძალიან ახალგაზრდა იყო მგზავრობდა სოფელ ვარიანში თავის ამხანაგთან მათეს ოჯახში. შეთანხმებული იყვნენ სამუშაოდან წასულიყვნენ სოჩაში, გადაწყვეტილი ჰქონდათ ვიდრე გროშს არ დააგროვებდნენ არ დაბრუნდებოდნენ. მათეს ჰყოლია ავადმყოფილი ცოლი და 14 წლის გოგონა. სწორედ უმწეო მდგომარეობამ გადააწყვეტინა წასვლა. ელიზბარი რუსული ენის მცოდნე ყოფილა და ერთად აურჩევიათ გზა. მათეს ოჯახში შემოსულა საშუალო სიმაღლის მამაკაცი ფერმკრთალი და ღიმილიანი. მათემ გააცნო ელიზბარს, როგორც ხალხისათვის და სოფლისათვის მზრუნველი ადამიანი ეს იყო იაკობ გოგებაშვილი. იაკობს ხელში ეჭირა მატერიის ჩანთა რაღაც შიგ ჩალაგებული იყო. მიესალმა სტუმარს და პირველსავე შეხვედრისას ჰკითხა: თქვენს მხარეში სკოლა თუ არისო?. რათქმაუნდა – უპასუხა ელიზბარმა არის 4 კლასი რომლებსაც ასწავლიან წერა კითხვის მცოდნე ხალხი. საუბრის შემდეგ ჯიბიდან ამოიღო ფული და გადასცა მათეს და უთხრა: მოგიტანე თბილი ქურთუკი და წინდები და ეს პატარა გროშიც, რომელიც გამოგადგება.

მაგრამ გირჩევ შენს სამშობლოში ყოფნას გერჩივნოს, გიჭირდეს ვიდრე სხვა ქვეყანაში. შეიძლება თქვენი ავადმყოფი ცოლი ჩემსავით უძლური იყო. მე გირჩევ წასვლისას ვინ იცის კიდევ რა მოხდება. მე ყველგან წასვლაზე თავს ვიკავებ თუნდაც სამკურნალოდ. ყველაფეს ვითვალისწინებ მიუხედავად იმისა, რომ არც ცოლი მყავს და არც შვილი. ჩვენს მაზრაში შევქმენი წერა კითხვის შემსწავლელი ორგანიზაცია. იქ ჩაები სწავლაში, ისწავლე წერა კითხვა რომელიც გონებასაც გაგიხსნის და გზასაც კარგად გიჩვენებს. დაფიქრდა მათე და ელიზბარს შეეკითხა თქვენ რას მირჩევთ? ელიზბარმა უპასუხა: უბედნიერესი კაცი ყოფილხარ, რომ ასეთი ქველმოქმედი და გვერჩი მდგომი კაცი გყოლია. მეც ასეთ გადაწყვეტილებას მივიღებ. იაკობ მრავალჯერ გაიმეორა სიტყვა შენი ენის ცოდნა შენი სამშობლოს სიყვარულია, მტერთან ბრძოლის იარაღია, განათლების მწვერვალია და ეკონომიკური ბერკეტია. იაკობს ერის წარმატებად ეკლესია მიაჩნდა. მან მთელი სტტი დაუთმო ეკლესიას და სარწმუნოებას. ყურადღებას უთმობდა სკოლაში მასწავლებლების სიღრმისეულ ცოდნას და თან საუბრობდა როგორ უნდა მისულიყო მოსწავლე მასწავლებლამდე და რა ხერხით უნდა მიეტანა ცოდნა, რა უნდა ეღონა, რომ იმისათვის ვინმე დაეინტერესებინათ. თუ გადავხედავთ იაკობის შემოქმედებითი მონაწილეობა თანამედროვე ეროვნულ სტანდარტში გვხვდება. კაცმა რომელმაც განსაზღვრა ცოდნის სწავლება გრძელი ვადით.

„არ ვნანობ რა დროც ვატარე
ხან მოკლე იყო ხან პატარა,
ალბათ უფალმა ინება
რაც ვნახე ისიც მაკმარა“.

ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი. იაკობმა გამოუშვა მთელი რიგისა მოთხრობებისა საკითხავი წიგნით. რომელიც შესაბამისად დასათაურებული და გაფორმებული იყო ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე. ის ყოველთვის ეძებდა და იკვლევდა ისეთ ხერხებს დიდაქტიკურ მასალებს რომელიც გზას გაუკვალავდა მომავალ თაობას მეცნიერების დაუფლებისათვის. იაკობს უყვარდა ქართული ხალხური სიმღერები თვითონაც ნიჭი ჰქონდა განსაკუთრებით „ურმული“ „დაიგვიანეს ჯერ არსად ჩანან“ „მრავალჟამიერ“ და „შავლეგო“. ბოლოს მან თვით ახლობლებს უთხრათ როცა ცუდად იყო:

მინდოდა თქვენთან სიცოცხლე,
მაგრამ ბედად არ მერგო,
ლხინის დროს არ დაგვავიწყდეთ
მიმღერეთ ჩემი „შავლეგო“.

ნორა მამარდაშვილი
სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორბელის საჯარო სკოლის პედაგოგი

ჯონ დიუი
– ჩემი პედაგოგიური მრწამსი

მუხლი პირველი: რა არის განათლება

მე მჯერა, რომ ნებისმიერი სახის განათლება სათავეს ადამიანთა მოდგმის საზოგადოებრივ ცნობიერებაში ინდივიდის ჩართულობიდან იღებს. ეს პროცესი, გაუცნობიერებლად, თითქმის დაბადების მომენტიდან იწყება და თანდათანობით გამოკვეთს ინდივიდის ძალებს, ჟღინთავს მის ცნობიერებას, აყალიბებს ჩვევებს, ავარჯიშებს იდეებს და აღძრავს მასში გრძნობებსა და ემოციებს. ამ არაცნობიერი განათლების მეშვეობით ადამიანი, თანდათანობით, კაცობრიობის მიერ თანაცხოვრების განმავლობაში დაგროვებული ინტელექტუალური და მორალური რესურსის თანამოზიარე ხდება. მას მემკვიდრეობით ცივილიზაციის საუნჯე ერგება. მსოფლიოში ყველაზე ფორმალური და ტექნიკური ხასიათის განათლებაც კი, ამ ზოგად პროცესს უსაფრთხოდ ვერ გაემიჯნება; ასეთ განათლებას ამ პროცესის მხოლოდ ორგანიზება ან გარკვეული მიმართულებით წარმართვა შეუძლია. მე მჯერა, რომ ჭეშმარიტი განათლება ბავშვის ძალების იმ სოციალურ ვითარებათა მოთხოვნების მიერ სტიმულირებისგან მოდის, რომლებშიც იგი არსებობს. ეს მოთხოვნები წარმართავენ ბავშვს მოქმედებდეს, როგორც ერთობის წევრი, თავისი ქცევისა და შეგრძნების თავდაპირველ შეზღუდულობას გასცდეს და საკუთარ თავს იმ ჯგუფის კეთილდღეობის გადმოსახედიდან განიხილავდეს, რომელსაც თავად მიეკუთვნება. თავის ქმედებებზე სხვისი პასუხების მიხედვით ბავშვი თითოეული ამ ქმედების მნიშვნელობას სოციალური საზომით იაზრებს. ქმედების ღირებულება ისევ ამ ქმედებაზე აირეკლება. მაგალითად, იმის მიხედვით, თუ რით პასუხობენ ბავშვის ინსტინქტურ ტიტინს, ის აცნობიერებს ამ ტიტინის მნიშვნელობას; ეს ბავშვური ხმები თანდათან ჩამოყალიბებულ ენად გარდაიქმნება და ბავშვიც მასში თავმოყრილი იდეებისა და ემოციების საუნჯეს ეზიარება. მე მჯერა, რომ ამ საგანმანათლებლო პროცესს ორი მხარე აქვს - ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური; და არცერთი არ შეიძლება დაექვემდებაროს მეორეს ან უგულებეყოფილ იქნას თანამდევი ბოროტი შედეგების გარეშე. ამ ორი მხარიდან ფსიქოლოგიური საფუძველს წარმოადგენს. ბავშვის პირადი ინსტინქტები და შესაძლებლობები ძირითადი მასალაა, რომელიც მისი შემდგომი განათლებისთვის ნიადგს ამზადებს. თუ მასწავლებლის მიერ გაწეული ძალისხმევა არ უკავშირდება ბავშვის მიერ დამოუკიდებლად, საკუთარი ინიციატივით განხორციელებულ აქტივობებს, განათლება გარეგან ზეწოლამდე დადის. ამ პროცესს მართლაც შეუძლია გარკვეული გარეგანი შედეგების მოცემა, თუმ-

ცა მას საგანმანათლებლოს ვერ ვუწოდებთ. მაშასადამე, ინდივიდის ფსიქოლოგიური თავისებურებების და ქცევის გააზრების გარეშე, საგანმანათლებლო პროცესი შემთხვევითი და თვითნებური იქნება. თუ ბედად ეს პროცესი ბავშვის აქტივობას დაემთხვევა, ამან შესაძლოა განვითარებისთვის საჭირო გარკვეული ბერკეტები მოგვცეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვური ბუნების შინაგან უთანხმოებას, რღვევას ან განვითარების შეჩერებას მივიღებთ.

მე მჯერა, რომ თანამედროვე ცივილიზაციის მდგომარეობის, სოციალური გარემოებების ცოდნა აუცილებელია ბავშვის შესაძლებლობათა სათანადოდ გაგებისთვის. ბავშვს საკუთარი ინსტინქტები და მიდრეკილებები გააჩნია, მაგრამ ჩვენ არ გვესმის მათი მნიშვნელობა მანამ, სანამ მათ ტოლფას სოციალურ ღირებულებებად არ ვთარგმნით. ჩვენ ამ მიდრეკილებების სოციალურ წარსულში გადატანა და მათი, როგორც კაცობრიობის წარსული გამოცდილების გაგრძელებად დანახვა უნდა შეგვეძლოს. ჩვენ, ასევე, მათი მომავალში განჭვრეტის ძალა უნდა შეგვწევდეს, რათა თვალსაჩინო გავხადოთ მისი შედეგი და მიზანი. ახლახანს მოყვანილი მაგალითის ფარგლებში, სწორედ ბავშვის ტიტინში მისი მომავალი სოციალური ურთიერთობის პერსპექტივის, პოტენციისა და მეტყველების საფუძვლის დანახვა აძლევს ადამიანს ბავშვის ამ ინსტიქტებთან სათანადოდ ურთიერთობის საშუალებას.

მე მჯერა, რომ ეს ფსიქოლოგიური და სოციალური მხარეები ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია და განათლება არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მათ შორის კომპრომისი ანდა ერთის მეორეზე უპირატესობა. ჩვენ გვეუბნებიან, რომ განათლების ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განსაზღვრება ფორმალური და უნაყოფოა – რომ ის იდეებს გონებრივი შესაძლებლობების მხოლოდ განვითარების შესახებ გვაწვდის და მათი გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე არაფერს გვეუბნება. მეორეს მხრივ, ამტკიცებენ, რომ განათლების სოციალური განმარტება, როგორც ცივილიზაციასთან ადაპტირება, განათლებას ძალდატანების გარეგან პროცესად აყალიბებს, რისი შედეგიც ინდივიდის თავისუფლების წინასწარ განსაზღვრულ სოციალურ და პოლიტიკურ სტატუსზე დაქვემდებარებაა.

მე მჯერა, რომ თუ განკერძოებულად განვიხილავთ, ორივე შეხედულება ჭეშმარიტია. იმისათვის, რომ ძალის რეალური მნიშვნელობა გავიგოთ, აუცილებელია მისი მიზანი, გამოყენება თუ ფუნქცია ვიცოდეთ; ამას კი ჩვენ ვერ შევიმეცნებთ, თუ ინდივიდს სოციალურ ურთიერთობებში აქტიურ მონაწილედ არ განვიხილავთ. მაგრამ, მეორეს მხრივ, ერთადერთი შესაძლებელი გავლენა, რაც არსებულ გარემო პირობებში ბავშვზე შეგვიძლია ვიქონიოთ, ის არის, რომელიც ვითარდება მაშინ, როდესაც ბავშვს საკუთარი ძალების სრულად დაუფლების პირობებს ვუქმნით. დემოკრატიისა და თანამედროვე ინდუსტრიის აღმოცენების პირობებში შეუძლებელია იწინასწარმეტყველო თუ რას შეიძლება წარმოადგენდეს საკუთრივ ცივილიზაცია

ოცი წლის შემდეგ. შესაბამისად, შეუძლებელია ბავშვი წინასწარ, საგულდაგულოდ გათვლილი გარემოებებისთვის მოამზადო. მოამზადო მომავალი ცხოვრებისთვის, ნიშნავს საკუთარი თავის ბატონი გახადო; მოამზადო იგი ისე, რომ სრულად და აქტიურად ფლობდეს საკუთარ უნარებს; რომ მისი თვალი, ყური და ხელი განკარგვისთვის შემართული იარაღი იყოს, რომ მის განსჯას შესწევდეს ძალა იმ ვითარებათა გათავისებისა, რომლებშიც მას მუშაობა მოუწევს და რომ აღმასრულებელი ძალები ყაირათიანად და შედეგიანად მოქმედებისთვის იყოს მზად. შეუძლებელია ინდივიდს მსგავსი ადაპტაციის უნარი გამოუმუშავო თუ მუდმივად არ იზრუნე მის პირად შესაძლებლობებზე, გემოვნებასა და ინტერესებზე; ანუ ფსიქოლოგიური თვალსაწიერიდან განათლების მუდმივი გადააზრების გარეშე.

რომ შევაჯამოთ, მე მჯერა, რომ ადამიანი, რომელმაც განათლება უნდა მიიღოს, არის სოციალური ინდივიდი და საზოგადოება ინდივიდთა ორგანულ ერთობას წარმოადგენს. თუ ჩვენ ბავშვს სოციალურ ფაქტორს გამოვაკლებთ, ხელში მხოლოდ აბსტრაქციაღა შეგვრჩება; თუკი საზოგადოებისგან ინდივიდუალურ ფაქტორს გამოვრიცხავთ, ინერტულ და უსიცოცხლო მასას მივიღებთ. მაშასადამე, განათლება, ბავშვის შესაძლებლობების, ინტერესების და ჩვევების ფსიქოლოგიური საფუძვლების წვდომით უნდა დაიწყოს – განათლება, სწორედ ამ საკითხებთან მიმართებით ყოველ ნაბიჯზე უნდა კონტროლდებოდეს. მუდმივად უნდა ხდებოდეს ამ უნარების, ინტერესებისა და ჩვევების ინტერპრეტირება – აუცილებელია გვესმოდეს მათი მნიშვნელობა. ისინი მათი სოციალური ეკვივალენტების შესაბამისად უნდა განიმარტოს – იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წაადგება საზოგადოებას.

მუხლი მეორე: რა არის სკოლა

მე მჯერა, რომ სკოლა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური ინსტიტუტია. იმდენად, რამდენადაც განათლება სოციალურ პროცესს წარმოადგენს, სკოლა უბრალოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმაა, რომელშიც ყველა ის საშუალება იყრის თავს, ბავშვს რომ კაცობრიობის მიერ დანატოვარი რესურსის გაზიარების საშუალებას ყველაზე ეფექტური გზებით შეაძლებინებს და საკუთარი ძალების საზოგადო მიზნებისთვის გამოყენების საშუალებას მისცემს.

მე მჯერა, რომ განათლება თავად ცხოვრების პროცესია და არა მომავალი ცხოვრებისთვის მზადება.

მე მჯერა, რომ სკოლა მიმდინარე ცხოვრების რეპრეზენტაციას უნდა წარმოადგენდეს – იმდენად რეალურს და ცოცხალს ბავშვისთვის, რამდენადაც რეალურია მისი შინ, სამეზობლოსა თუ სათამაშო მოედანზე ცხოვრება.

მე მჯერა, რომ ყოველთვის განათლება, რომელიც სათავეს არ იღებს ცხოვრების იმ ფორმებიდან, რომელთა განცდაც თავისთავად ღირებულია, უტყუარი სინამდვილის უხეირო შემცვლელია და შეზღუდვისა და ჩახშობისკენაა მიდრეკილი.

მე მჯერა, რომ სკოლა, როგორც ინსტიტუტი, არსებულ საზოგადოებრივ ყოფას უნდა ამარტივებდეს – მის ჩანასახობრივ ფორმამ-

დე უნდა დაჰყავდეს იგი. არსებული რეალობა იმდენად რთულია, რომ შეუძლებელია ბავშვი მას დაბნეულობისა თუ შფოთვის გარეშე შეეხოს; ის ან მიმდინარე მოვლენათა მრავალრიცხოვნებით ისე გადაიტვირთება, რომ თავად დაკარგავს თანმიმდევრული უკუქმედების უნარს, ან იმდენად აღეგზნება ამ მრავალფეროვნებით, რომ თავისი უმწიფარი ძალებით დროზე ადრე ჩაებმება ამ თამაშში და გაუმართლებლად სპეციალიზირდება, ან უმიზნოდ ფანტავს საკუთარ შესაძლებლობებს.

მე მჯერა, რომ როგორც გამარტივებული საზოგადოებრივი ყოფა, სასკოლო ცხოვრება ეტაპობრივად, ოჯახური ცხოვრებიდან თანდათან უნდა გამომდინარეობდეს; მან უნდა მოიცვას და გააგრძელოს ის აქტივობები, რომელთაც ბავშვი შინიდანვე იცნობს.

მე მჯერა, რომ სკოლამ ეს აქტივობები ისე უნდა აღადგინოს და ბავშვს ისე უნდა წარმოუდგინოს, რომ მან მათი მნიშვნელობა ნაბიჯ-ნაბიჯ გაიაზროს და ამ აქტივობებში მონაწილეობა თავადვე შეეძლოს.

მე მჯერა, რომ ეს ფსიქოლოგიურ აუცილებლობაა, რამდენადაც იგი ბავშვის თანმიმდევრული ზრდის უზრუნველყოფის ერთადერთ გზას წარმოადგენს და სკოლაში წარმოდგენილი ახალი იდეებისთვის წარსული გამოცდილების წასამძღვარებლად ერთადერთი საშუალებაა.

მე მჯერა, რომ ეს აგრეთვე სოციალური აუცილებლობაცაა, რამდენადაც ოჯახი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმაა, რომლის ფარგლებშიც ბავშვი იზრდება და რომელთან კავშირშიდაც ზნეობრივად იწვრთნება. სკოლის ამოცანას წარმოადგენს გააღრმავოს და განავრცოს იმ ღირებულებათა გაგება, რომელთაც ბავშვი ოჯახში ეზიარება.

მე მჯერა, რომ თანამედროვე განათლების დიდი ნაწილის წარუმატებლობის მიზეზი სწორედ ამ ფუნდამენტური პრინციპის უგულებელყოფაა – განიხილავდეს სკოლას, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმას. არსებული გაგებით, სკოლა არის ადგილი, სადაც მოსწავლეს განსაზღვრული ინფორმაცია უნდა მიეწოდებოდეს, სადაც კონკრეტული გაკვეთილები უნდა ისწავლებოდეს ან სადაც გარკვეული ჩვევები უნდა ყალიბდებოდეს. მათი ღირებულება, ამ მოსაზრებით, შორეულ მომავალში გამოჩნდება; ბავშვმა ეს ყველაფერი უნდა აკეთოს იმიტომ, რომ მომავალში კიდევ რაღაც გააკეთოს – ეს უბრალოდ სამზადისია. შედეგად, ყოველივე ამას არ შესწევს უნარი ბავშვის ცხოვრებისეულ გამოცდილებად იქცეს, ამდენად იგი ჭეშმარიტად საგანმანათლებლო ხასიათს მოკლებულია.

მე მჯერა, რომ ზნეობრივი აღზრდა-განათლება სკოლის, როგორც სოციალური ცხოვრების ფორმის ამ გაგებაზე კონცენტრირდება; რომ საუკეთესო და ყველაზე საფუძვლიანი მორალური წვრთნა არის სწორედ ის, რომელსაც სხვებთან განსჯისა თუ საქმიანობის პროცესში გაერთიანებით მიღებული მჭიდრო ურთიერთობით ვიღებთ.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემები, იმდენად, რამდენადაც სპობენ თუ უგულებელყოფენ ამ ერთიანობას, ნამდვილ, რეგულარულ მორალურ აღზრდას ართულებენ ან შეუძლებელს ხდიან.

მე მჯერა, რომ ბავშვის საქმიანობის სტიმულირება და კონტროლი თავად საზოგადოების ყოფით უნდა ხორციელდებოდეს.

მე მჯერა, რომ არსებულ პირობებში სტიმული და კონტროლი მასწავლებლიდან ზედმეტად მომდინარეობს, რისი მიზეზიც სწორედ სკოლის, როგორც სოციალური ცხოვრების ფორმისიდეის უგულებელყოფაა.

მე მჯერა, რომ სკოლაში მასწავლებლის ადგილის და საქმიანობის განსაზღვრაც სწორედ ამ საფუძვლებიდან უნდა ხდებოდეს. მასწავლებელი არ არის სკოლაში იმისთვის, რომ ბავშვს გარკვეული იდეები მოახვიოს თავს ან ესა თუ ის ჩვევა ჩამოუყალიბოს; არამედ საზოგადოების წევრია, ვინც ის გავლენები უნდა გამოყოს, რომლებიც ბავშვზე ზემოქმედებენ და მიეხმაროს მას ჯეროვნად უპასუხოს ამ გავლენებს.

მე მჯერა, რომ სკოლაში დისციპლინა სასკოლო ცხოვრების მთლიანობიდან უნდა მომდინარეობდეს და არა უშუალოდ კონკრეტული მასწავლებლისგან.

მე მჯერა, რომ მასწავლებლის საქმეა მხოლოდ უპირატეს გამოცდილებასა და ზრდასრულ სიბრძნეზე დაყრდნობით განსაზღვროს, თუ როგორ უნდა ეზიაროს ბავშვი ცხოვრებისეულ დისციპლინას.

მე მჯერა, რომ ბავშვის შეფასებასა და (საფეხურეობრივ) დაწინაურებასთან დაკავშირებული ყველა საკითხიც იმავე სტანდარტის შესაბამისად უნდა წყდებოდეს. გამოცდები საჭიროა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ბავშვის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მზაობის ხარისხს ადგენს და ცხოვრებაში მის იმ ადგილს გამოავლენს, სადაც ის ყველაზე მეტად სასარგებლო იქნება და სადაც ის ყველაზე მეტად შეძლებს დახმარების მიღებას.

მუხლი მესამე: განათლების შინაარსი

მე მჯერა, რომ ბავშვის საზოგადოებრივი ცხოვრება მის წვრთნასა დაზრდაში კონცენტრაციისა თუ მიმართებების მთავარი საფუძველია. სოციალური ცხოვრება არაცნობიერ დონეზე აერთიანებს და განაპირობებს მის ძალისხმევასა და მიღწევებს.

მე მჯერა, რომ სასკოლო კურიკულუმის შინაარსი სოციალური ცხოვრების პრიმიტიული არაცნობიერი ერთიანობიდან საფეხურეობრივ გამოცალკევებას უნდა ასახავდეს.

მე მჯერა, რომ ჩვენ ვარღვევთ ბავშვის შინაგან ბუნებას და ეთიკის კუთხით საუკეთესო შედეგების მიღწევას ვართულებთ იმით, რომ ზედმეტად მეყსეულად ვაწვდით მას სპეციალიზირებული საგნების მთელ რიგს, კითხვას, წერას, გეოგრაფიას და ა.შ., ისე, რომ ამას კავშირი არ აქვს მის სოციალურ ცხოვრებასთან.

მე მჯერა, რომ სასკოლო საგნებს შორის ურთიერთმიმართების ნამდვილი ცენტრი არა ბუნებისმეტყველება, ლიტერატურა, ისტორია ან გეოგრაფია, არამედ თავად ბავშვის სოციალური საქმიანობებია.

მე მჯერა, რომ არ შეიძლება განათლება მხოლოდ ბუნების შემსწავლელი მეცნიერებების სწავლებაში ან ე.წ. ბუნებისმეტყველებაში გაერთიანდეს, რადგან ადამიანის საქმიანობის გამოკლებით, ბუნება თავისთავად არ არის სრული; ბუნება, თავისი არსით, სივრცესა და დროში არსებულ მრავალ განსხვავებულ საგანს წარმოადგენს და თუ შევეცდებით იმას, რომ ის ცენტრალურ სამუშაო საგნად ვაქციოთ, სინამდვილეში კონცენტრირების ნაცვლად, გაფანტვის პრინციპს დავამკვიდრებთ.

მე მჯერა, რომ ლიტერატურა არის სოციალური გამოცდილების ანარეკლი და ინტერპრეტაცია; ამიტომაც, ის ამ გამოცდილების თანმდევი უნდა იყოს, ნაცვლად იმისა, რომ წინ უსწრებდეს მას. მაშასადამე, ის ვერ იქნება საფუძველი, თუმცა შეიძლება საფუძვლების მოკლე აღწერილობად მოგვევლინოს.

მე მჯერა, აგრეთვე, რომ ისტორია საგანმანათლებლო ღირებულების მატარებელია იმდენად, რამდენადაც ის სოციალური ცხოვრების და განვითარების ფაზებს აღწერს. ის სოციალურ ყოფასთან თანხვედრის კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს. თუ მას ავიღებთ, როგორც უბრალოდ ისტორიას, მას შორეულ წარსულში გადავისვრით, რის გამოც უსიცოცხლო და ინერტული გახდება. ხოლო, თუ მას განვიხილავთ, როგორც ადამიანის სოციალური ყოფისა და განვითარების ამსახველ ჩანაწერს, ის უკვე მნიშვნელობით ივსება. მიუხედავად ამისა, ისტორიის ამგვარად გამოყენება არ მიმაჩნია მართებულად თუ მისი საშუალებით ბავშვი სოციალურ ცხოვრებას პირდაპირი გზით არ ეზიარება.

მე მჯერა, რომ განათლების ძირითადი საფუძველი ბავშვის იმ შესაძლებლობებშია, რომლებიც მიყვება იმავე შემოქმედებით გზებს, რომლებმაც ცივილიზაციის განვითარება გამოიწვია.

მე მჯერა, რომ ერთადერთი გზა იმისათვის, რომ მიეხმარო ბავშვს საკუთარი სოციალური მემკვიდრეობა გააცნობიეროს, მისთვის ქცევის იმ ფუნდამენტური ტიპების აღსრულებისთვის საჭირო საშუალების მიცემაა, რომლებიც ქმნიან ცივილიზაციას ისეთად, როგორიც ის არის.

მე მჯერა, მაშასადამე, გამომხატველობითი და შემოქმედებითი აქტივობების მნიშვნელობისა, რომლისკენაც ყურადღება უნდა იყოს მიმართული.

მე მჯერა, რომ ამგვარი მიდგომა განსაზღვრავს საზომს რომლის მიხედვითაც, მზარეულობისთვის, კერვისთვის, ხელსაქმისთვის, ა.შ. მოიძებნება ადგილი სკოლაში.

მე მჯერა, რომ ეს არ არის ის სპეციალური საგნები, რომლებსაც მოსწავლეები უამრავი სხვა საგნებზე დამატებით უნდა ეცნობოდნენ, როგორც განტვირთვისა და დასვენების ან დამატებითი ცოდნის მიღების საშუალებებს. მე მჯერა, რომ, როგორც ტიპები, ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების ფუნდამენტური ფორმებია; მჯერა, რომ შესაძლებელი და სასურველია ბავშვი კურიკულუმის სხვა

უფრო ფორმალურ საგნებს ამ აქტივობათა გაშუალებით გაეცნოს. მე მჯერა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესწავლა საგანმანათლებლო ხასიათისაა იმდენად, რამდენადაც იგი იძლევა ცოდნას იმ საშუალებებისა და პროცესების შესახებ, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებას განაპირობებენ ისეთად, როგორიც ის არის.

მე მჯერა, რომ მეცნიერების თანამედროვე სწავლების ერთერთი უდიდესი დაბრკოლება მასალის წმინდა წყლის ობიექტური ფორმით წარმოდგენა ან სრულიად ახალი და განსაკუთრებული სახის გამოცდილებად მიჩნევაა, რომელიც ბავშვმა მის უკვე არსებულ გამოცდილებას უნდა დაუმატოს.რეალურად, მეცნიერება ფასობს იმით, რომ უკვე არსებული გამოცდილების ინტერპრეტირებისა და წარმართვის საშუალებას იძლევა. მას უნდა ეცნობოდნენ არა როგორც სრულიად ახალ შინაარსს, არამედ როგორც წინარე გამოცდილებაში არსებული ფაქტორების გამოაშკარავების და ამ გამოცდილების უფრო იოლი და ეფექტური რეგულირების საშუალებას.

მე მჯერა, რომ ჩვენ ლიტერატურისა და ენის შესწავლის კუთხით სწორედ სოციალური ელემენტის უგულებელყოფით ბევრ ღირებულს ვკარგავთ. ენას პედაგოგიურ სახელმძღვანელოებში თითქმის ყოველთვის მხოლოდ აზრის გამოხატვის საშუალებად განიხილავენ. მართალია, რომ ენა ლოგიკის საშუალებაა, მაგრამ იგი ძირითადად და პირველ რიგში სოციალური ინსტრუმენტია. ენა ურთიერთობის, საკუთარი აზრებისა და გრძნობების გაზიარების საშუალებაა. როდესაც ენას მხოლოდ კერძო ინფორმაციის მიღების ან ცოდნით თავის მოწონების საშუალებად განვიხილავთ, ის თავის სოციალურ მოტივს და მიზანს კარგავს.

მე მჯერა, რომ იდეალურ სასწავლო პროგრამაში სასწავლო საგნების არანაირი საფეხურეობრივი თანმიმდევრულობა არ არსებობს. თუ განათლება ცხოვრებაა, მთელ ცხოვრებას მეცნიერული, ხელოვნების, კულტურული და საკომუნიკაციო თვალსაზრისები დასაბამიდანვე აქვს; გამომდინარე აქედან, არ შეიძლება სიმართლეს შეესაბამებოდეს აზრი, რომ ერთ საფეხურზე შესწავლისთვის შესაფერის საგნებად უბრალო წერა-კითხვა მოიაზრებოდეს და მხოლოდ შემდგომ დონეზე შემოდიოდეს ლიტერატურა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. პროგრესის პირობას წარმოადგენს არა საგნების თანმიმდევრულობა, არამედ გამოცდილების ფარგლებში ახალი დამოკიდებულებებისა და ახალი ინტერესების განვითარება.

და ბოლოს, მე მჯერა, რომ განათლება გამოცდილების უწყვეტი რეკონსტრუქციის პროცესს უნდა გულისხმობდეს; რომ განათლების პროცესი და მიზანი ერთი და იგივეა.

მე მჯერა, რომ რაიმე მიზნის განათლების გარეთ დასახვა, როგორც მისი ძირითადი ორიენტირისა და სტანდარტისა, განათლების პროცესისთვის მნიშვნელობის წართმევის ტოლფასია და ეს განგვაწყობს, რომ ბავშვთან ურთიერთობისას ყალბ და გარეგან სტიმულებს-დავეყრდნოთ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ავტორთა საყურადღებოდ!
ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებისათვის“ განკუთვნილი
მასალები არ უნდა აღემატებოდეს ჩვეულებრივი ფორმატის
ქაღალდის 12-15 გვერდს. მასალები აკრეფილი უნდა იყოს
„Microsoft Word“-ში და გადმოგზავნილი
ელ. ფოსტაზე: chafidzegari@yahoo.com
მინიშნებით „სკოლა და ცხოვრება“.

წერილებს უნდა ახლდეს ცნობები ავტორების შესახებ:
გვარი, სახელი (სრულად), მისი პროფესია – საქმიანობა,
წოდება, მისამართი, ტელეფონის ნომერი. წინაალმდეგ
შემთხვევაში წერილი არ განიხილება.

9772587455009